

ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებისთვის



This project is funded by
the European Union

Jean
Monnet
Programme



თბილისი 2014

ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო
პოლიტიკა: მოდელი აღმოსავლეთის
პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებისთვის

გამოცემა მომზადებულია
ევროკავშირის მხარდაჭერით



დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

Jean
Monnet
Programme

ასოციაცია
ESIDG

თბილისი
2014

რედაქტორი	იოსებ გოგოძე
ავტორები:	ოლეგ შატბერაშვილი ლევან დადიანი დავით გაბუნია სერგო ესაკია
ლიტერატურული რედაქტორი	დარეჯან ხიდუელი
ტექნიკური რედაქტორი	მზია ლოღელიანი
თარგმანი	ვალერი სარჯველაძე

წინამდებარე გამოცემა მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროკავშირის თვალსაზრისს და მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ასოციაცია *ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის*.

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის ასოციაციას *ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის*. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© ასოციაცია *ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის*, 2014

ISBN 978-9941-0-6582-8

UDC 341.217(4)+339.923:061.1(4)+339.924+330.34+001.8950-35

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

**Publication has been prepared
with the support of the EU**



**This project is funded
by the European Union**

**Jean
Monnet
Programme**

Association
ESIDG

**Tbilisi
2014**

Editor	Joseph Gogodze
Authors:	Oleg Shatberashvili Levan Dadiani David Gabunia Sergo Esakia
Proof-reader	Darejan Khidesheli
Layout	Mzia Ghogheliani
Translation	Valeri Sarjveladze

This publication has been prepared with the support of the EU. The views and opinions expressed in the publication do not necessarily coincide with those of the EU. The contents of this publication is the sole responsibility of **European Studies for Innovation Development of Georgia**.

All rights reserved. No part of this publication may be reproduced in any form or by any means, electronic, mechanical or otherwise without the permission of the copyright owner.

© Association **European Studies for Innovation Development of Georgia**, 2014

ISBN 978-9941-0-6582-8

UDC 341.217(4)+339.923:061.1(4)+339.924+330.34+001.8950-35

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში	12
<i>ოლეგ შატბერაშვილი</i>	
სოციალური ინოვაციები სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში: ორიენტირები საქართველოსთვის	27
<i>ლევან დადიანი</i>	
გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა	55
<i>დავით გაბუნია</i>	
საქართველოში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა და ევროინტეგრაცია	72
<i>სერგო ესაკია</i>	
ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: სლოვაკეთი და თურქეთი	90
<i>ოლეგ შატბერაშვილი</i>	
რეზიუმეები	105
ავტორები	116
დანართი	120

Content

Foreword	9
Innovation Policy in EU and Georgia: Regional Policy <i>Oleg Shatberashvili</i>	12
Agricultural Cooperatives in the European Union and the Rest of the World: Guiding Lines for Georgia <i>Levan Dadiani</i>	27
Protection of Geographical Indications <i>David Gabunia</i>	55
Switchover to Digital Terrestrial Television Broadcasting in Georgia and European Integration <i>Sergo Esakia</i>	72
Regional Innovation Policy of New EU-Member States and Applicant Member States: Slovakia and Turkey <i>Oleg Shatberashvili</i>	90
Summaries	105
Authors	116
Annex	120

წინასიტყვაობა

უწყვეტი განათლების (ზრდასრულთა განათლების) კონცეფცია თანამედროვე დინამიურად ცვალებად მსოფლიოში განვითარების გარანტიას წარმოადგენს. იგი განვითარების პროცესებში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობას უზრუნველყოფს. ის განსაკუთრებით ღირებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, სადაც გადამზადების პროცესი მრავალი მიმართულებითა და მაღალი ინტენსივობით უნდა მიმდინარეობდეს, რათა მოსახლეობა უკეთ ჩაერთოს მისთვის ახალი, დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში. ექვსი ასეთი ქვეყანა (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) მონაწილეობს აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში. მოლდოვა, საქართველო და უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის სურვილს გამოთქვამს, რაც მოითხოვს მოსახლეობის ყველა ჯგუფის ევროკავშირის მოწყობის საკითხებში გაცნობიერებას.

ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებისთვის, ევროკავშირის მხრიდან დახმარების სხვა მექანიზმებთან ერთად, ეფექტურია ჟან მონეს პროგრამა (Jean Monnet Programme), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის უწყვეტი განათლების პროგრამის საერთაშორისო შტოს. იგი ეხმარება მსოფლიოს ქვეყნებს ევროკავშირის შესწავლაში და ამ ქვეყნების მოსახლეობის ინფორმირებას ევროკავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ. პროგრამა უპირველეს ყოვლისა, მიმართავს უნივერსიტეტების პროფესორებსა და მკვლევარებს, როგორც ევროკავშირის შესახებ ცოდნის მულტიპლიკატორებს. მათი მეშვეობით მას ეცნობიან სტუდენტები და საზოგადოების ფართო წრეები. ჩვენ შემთხვევაში ჟან მონეს პროგრამამ მხარი დაუჭირა ჯერ პროექტს „ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის შესწავლის გაუმჯობესება საქართველოში“ (Improvement of the European Innovation Policy Study in Georgia) (2009), ხოლო შემდეგ პროექტს „ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა, როგორც მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის რეგიონებისთვის“ (EU Regional Innovation Policy as a model for Eastern Partnership Country Regions) (2013). პირველ პროექტში განხილული იყო საინოვაციო პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები მთლიანობაში. მისი ადრესატები იყვნენ ეროვნულ დონეზე საინოვაციო პოლიტიკით დაინტერესებული მიზნობრივი ჯგუფები. ამ პროექტმა დასაბამი მისცა საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის მიმართულებით ევროპულ კვლევებს და ხელი შეუწყო საინოვაციო პოლიტიკის მიმართ ინტერესის ზრდას.

წინამდებარე გამოცემა მომზადდა მეორე პროექტის ფარგლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ იგი განხორციელდა იმ დროს, როდესაც ხელისუფლებამ საინოვაციო პოლიტიკა განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აღიარა. ამავე დროს,

გაჩნდა საქართველოს რეგიონებში ინოვაციური განვითარების იდეების გაცნობიერების აუცილებლობა. ამდენად, წინამდებარე გამოცემის ადრესატები არიან რეგიონული ხელისუფლება (თვითმმართველობები და შესაბამისი სამსახურები), უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები, მეწარმეთა და ფერმერთა გაერთიანებები, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტი პირველად წარადგენს ჟან მონეს პროგრამას საქართველოს რეგიონებში.

საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, საქართველომ (და ყველა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყანამ) უნდა შეისწავლოს ევროკავშირში არსებული საინოვაციო პოლიტიკის ინსტრუმენტები და შემდეგ თანდათან აითვისოს. აქამდე ყურადღების ძირითადი საგანი იყო საერთოევროპული საინოვაციო პოლიტიკა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა და შესაბამისად, მიზნობრივი აუდიტორიაც ხელისუფლების ცენტრალური რგოლების წარმომადგენლები, ეროვნული მასშტაბით მომუშავე ორგანიზაციები და მეცნიერთა/პრაქტიკოსთა ჯგუფები იყვნენ. ეს მიმართულება, რასაკვირველია, ახლაც გრძელდება.

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის კიდევ ერთი უმთავრესი შემადგენელი, საერთოევროპულ და ეროვნულ პოლიტიკასთან ერთად, რეგიონული საინოვაციო პოლიტიკაა. მასთანაა დაკავშირებული ევროკავშირის ცალკეული რეგიონების (ქვეყნის შიგნით არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების) განვითარებაში არსებული განსხვავებების აღმოფხვრა, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პირობების დაახლოება, სიღარიბის დაძლევა და სხვა. მისი მიზანი მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანი რეგიონების წარმოქმნაცაა. დადგა დრო, რომ ეს პოლიტიკა უფრო ღრმად იყოს შესწავლილი საქართველოში და ეს ცოდნა ფართოდ გავრცელდეს მის რეგიონებში. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირში მოქმედი რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) პირობებში ერთნაირად არ გამოიყენება. საჭიროა ინსტრუმენტების კრიტიკული შეფასება. ამას, ერთი მხრივ, ჭირდება იმის კარგი ცოდნა, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი, რომლისკენაც ვისწრაფვით, ხოლო, მეორე მხრივ, იმის მკაფიო წარმოდგენა, თუ რა ამოცანები დგას საქართველოს წინაშე ინოვაციური განვითარების სფეროში. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ფრიად საინტერესოა იმ ინოვაციების გაცნობა, რომელიც ევროპაში ან მსოფლიოში ინოვაციას უკვე აღარ წარმოადგენს, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებისთვის.

წინამდებარე გამოცემაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული ყოფილი სოციალისტური ქვეყნების - ამჟამად ევროკავშირის წევრების და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების - რეგიონული ინოვაციური განვითარების გამოცდილება. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის ეს გამოცდილება უაღრესად მნიშვნელოვანია. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია მასალა, რომელიც აღწერს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ და ტექნიკურ ინოვაციებს, რომელიც ევროკავშირს უკვე გავლილი აქვს. ესენია, **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ადგილწარმოშობის ნიშნების გამოყენება და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა**. მთლიანობაში, გამოცემის ამოცანაა ხელი შეუწყოს მკითხველს რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის არსის და მისი განხორციელების ინსტრუმენტების გაცნობასა და საფუძვლიან შესწავლაში.

წინამდებარე გამოცემის და მასში მოცემული მასალის წარდგენა და პრეზენტაცია განხორციელდა ბათუმის, თელავისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში ორგანიზებულ სემინარებზე იმ მიზნით, რომ სწორედ უნივერსიტეტები უნდა გახდნენ რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშემწყობი ინტელექტუალური ცენტრები, რომელთაც რეგიონული ხელისუფლება დაეყრდნობა. უნივერსიტეტებმა უნდა მოამზადონ სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის ინოვაციურ განვითარებას და რომლებიც ჩაატარებენ ასეთი განვითარების რელევანტურ კვლევებს. ეს მიდგომაც სრულად პასუხობს ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის საფუძვლებს.

ასოციაცია „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ მადლობას უხდის ევროკომისიას, განსაკუთრებით კი ჟან მონეს პროგრამის ჯგუფს ჩატარებული სამუშაოს მხარდაჭერისთვის. მადლობას ვუძღვნით ბათუმის უნივერსიტეტის რექტორს ალიოზა ბაკურიძეს, თელავის უნივერსიტეტის რექტორს ავთანდილ დელალუტაშვილს, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორს გიორგი დავთაძეს, ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ნათია წიკლაშვილს, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს შალვა კირთაძეს, თელავის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ნელი ცქიტიშვილს, აგრეთვე ბათუმის, თელავისა და ქუთაისის უნივერსიტეტების თანამშრომლებს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

FOREWORD

The concept of lifelong learning (adult learning) is a guarantee of development in the modern dynamic world. It ensures inclusion of all the age groups in the development processes. It is especially important for the countries under transition, where the retraining process needs to be going in many directions and with high intensity, so that to better involve the population in the building of a new, democratic and market economy-based society. Six such countries (Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine) participate in the Eastern Partnership Programme (EaP). Moldova, Georgia and Ukraine express willingness to sign Association Agreements, which requires familiarization of all the population groups with the issues of organization of the European Union.

In this respect, together with other mechanism of the EU assistance for the countries participating in the EaP Programme, effective is the Jean Monnet Programme – an international branch of the EU's Lifelong Learning Programme. It assists the countries of the world in studying the European Union and informing their population about the processes ongoing in the EU. The Programme addresses primarily the university faculty and researchers as multipliers of the knowledge about the EU. Through them students and wide public get familiarized with it. In our case, the Jean Monnet Programme supported first the Project "Improvement of the European Innovation Policy Study in Georgia" (2009), then the Project "EU Regional Innovation Policy as a Model for East Partnership Country Regions" (2013). In the first project the innovation policy and its instruments were discussed as a whole. Its addressees were the target groups concerned with the innovation policy at the national level. This project has initiated European studies directed at the innovation policy and stimulated interest towards the innovation policy in Georgia.

The present publication has been prepared within the framework of the second project. Particular attention is given to the circumstance that it was being implemented at the time when the government recognized the innovation policy as an important instrument of development. At the same time a necessity for comprehending the ideas of innovation in the regions of Georgia arouse. Thus, the addressees of this publication are the regional authorities (local governments and respective services), universities and research institutions, associations of farmers and entrepreneurs, agricultural advisory services, etc. It is noteworthy that the project will present the Jean Monnet Programme for the first time in Georgian regions.

The innovation policy in the EU is the primary driver of social and economic development. Given that, Georgia (and all the EaP countries) should study the innovation policy instruments available in the EU and then gradually master them. So far, the focus of attention was the All-European innovation policy and the national innovation policy of the EU Member States and, correspondingly, the target audience included representatives of the central government units, organizations and groups of scientists/experts operating at national level. This direction, surely, continues today as well.

Another primary component of the EU's innovation policy together with the All-European and national policies is the regional innovation policy. It is aimed at eliminating differences in the development of individual regions of the EU (administrative territorial units in a Member State), convergence of the socio-economic conditions in towns with those of villages, overcoming poverty, etc. Among its objectives is also the creation of internationally competitive regions. The time has come to study this policy more deeply in Georgia and promote such knowledge in Georgian regions. It should also be considered here that all regional innovation policy instruments operating in the EU cannot be equally applied under conditions of the Eastern Partnership countries (including Georgia). They should be critically assessed and tested. This requires good knowledge of the EU, towards which Georgia aspires, on the one hand, and a clear understanding of the challenges faced by Georgia in the innovative development sphere, on the other hand. It is noteworthy that familiarization with the innovations, which are no longer innovative in Europe or globally, but important for the countries in transition, is rather interesting and useful for them.

The present publication emphasizes special importance of the experience of the regional innovative development of the former socialist countries – now the EU Member States and Candidate States – for the EaP countries. The publication contains the material describing the most important for the EaP countries social and technological innovations, which the EU has already mastered. These are: **agricultural cooperatives, use of the appellations of origin and transition to digital broadcasting**. On the whole, the publication's task is to assist the reader in familiarization with and thorough study of the essence of the regional innovation policy and its implementation instruments.

The presentation of this publication and its contents took place during the seminars organized and held at Batumi, Telavi and Kutaisi universities with the aim that exactly the universities were to become the intellectual centres facilitating the elaboration and implementation of the regional innovation policy, by which the regional government will be guided. The universities should train specialists, who will ensure the innovative development of the region and carry out relevant studies of such a development. This approach is also in full compliance with the EU innovation policy bases.

The Association *European Studies for Innovative Development of Georgia* wishes to thank the European Commission, especially the Jean Monnet Programme Group for supporting the work performed. We also thank the Batumi University Rector Aliosha Bakuridze, the Telavi University Rector Avtandil Ghelagutashvili, the Kutaisi University Rector Giorgi Ghavtadze, the Batumi University Deputy Rector Natia Tsiklashvili, the Kutaisi University Deputy Rector Shalva Kirtadze, the head of Public Relations Service of Telavi University Nelly Tskitishvili, also the staff of the Batumi, Telavi and Kutaisi universities for their support and cooperation.

**საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში:
რეგიონული პოლიტიკა
ოლეგ შატბერაშვილი**

1. შესავალი

მე-20 საუკუნეში ის ქვეყნები განვითარდნენ, რომლებმაც სახელმწიფო მართვა სამეცნიერო ექსპერტიზაზე დააფუძნეს, ხოლო ეკონომიკური პროცესები ინოვაციის გზით წარმართეს. ინოვაციის გზით განვითარება ნიშნავს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას მართვის ყველა დონეზე - როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის. ეს მიდგომა (საერთაშორისო პრაქტიკით, პირველ რიგში ევროპულით, შემოწმებული) ფართოდ უნდა იქნას გაზიარებული საქართველოშიც და კამათს არ უნდა იწვევდეს. საქართველოს ევროინტეგრაციული მისწრაფებები, გამოხატული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მომზადებასა და პარაფირებაში, ამ მოსაზრებას აძლიერებს. ამავე დროს მართვის ყველა დონეზე უნდა არსებობდეს საინოვაციო პოლიტიკის არსისა და მისი მექანიზმების ზუსტი აღქმა. საქართველოში რეგიონებთან შედარებით, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მეტია გაკეთებული. ქვემოთ განხილულია რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის არსი და მექანიზმები.

2. საინოვაციო პოლიტიკის რეგიონული კონტექსტი ევროკავშირში

2.1. საინოვაციო პოლიტიკის არსი

მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფოების მიერ სამეცნიერო საქმიანობისა და მისი შედეგების გამოყენების მხარდაჭერის ტენდენცია და, აგრეთვე, ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას უწოდებდნენ. ამ ხედვის თანახმად, სახელმწიფო ინტენსიურად აფინანსებდა კვლევებს საჯარო სექტორში (უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში). კვლევების შედეგების პრაქტიკაში გადატანა კერძო სექტორის საქმედ ითვლებოდა. მე-20 საუკუნის ბოლოდან, კვლევის შედეგების ათვისების დაჩქარების აუცილებლობამ, რასაც ქვეყნებს შორის კონკურენცია იწვევდა, წარმოშვა ახალი ხედვა და შესაბამისი ღონისძიებების სისტემა, რომლის თანახმად სახელმწიფო ზრუნავს არა მხოლოდ სამეცნიერო შედეგების მიღებაზე (ძველი მიდგომა), არამედ ეკონომიკაში მათ დანერგვაზეც. ეს გულისხმობს:

- საჯარო და კერძო სექტორების ცოდნის გადაცემაში დაინტერესებას, კერძო საწარმოების-თვის დახმარების გაწევას;

- ზემოქმედებას იმპორტსა და ინვესტიციებზე (ტექნოლოგიების შემენის პროცესების ხელშეწყობას, ტექნოლოგიების შემცველი უცხოური ინვესტიციების წახალისებას).

ახალ ხედვას საინოვაციო პოლიტიკას უწოდებენ.

საინოვაციო პოლიტიკა გულისხმობს, რომ სახელმწიფო (ხელისუფლება) არის ინვესტორი, რომელიც ფულს აბანდებს როგორც (და უმთავრესად) განათლებაში, ზოგადად კვლევაში, საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში (კვლევითი ორგანიზაციები, კონსულტაცია, შუამავლობა, საფინანსო ინსტიტუტები), ასევე კონკრეტულ კვლევასა და მისი შედეგების საწარმოო რეალიზაციაში (სიახლეებზე ორიენტირებული სახელმწიფო დაკვეთები, გრანტები საწარმოებისთვის და სხვა ღონისძიებები).

გარდა ამისა, ხელისუფლება არის საინოვაციო პროცესების კატალიზატორი და რეგულატორი, რომლის მიზანია ინოვაციებისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება, როგორცაა:

- კანონმდებლობა (მაგალითად, საგადასახადო);
- გრძელვადიანი გეგმები, პრიორიტეტები, ეროვნული პროგრამების მიმართულებები და მოცულობები - საინოვაციო პროცესებში საჯარო და საზოგადოებრივი სექტორებიდან მონაწილეთა ორიენტირებისთვის;
- მონაწილეთა თანამშრომლობის წახალისება.

ინოვაციის ერთ-ერთ ზოგად განმარტებაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც „ინოვაცია ეკონომიკაში სიახლეების ათვისებაა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს“, ინოვაციური განვითარება შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ (ნახ. 1). საინოვაციო პოლიტიკა ითვალისწინებს სახელმწიფოს ზემოქმედებას ნახ. 1-ზე ნაჩვენებ ყველა არხზე (და არა მხოლოდ ზედაზე, რასაც სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა გულისხმობდა).



ნახ. 1. ინოვაციური განვითარება

2.2. ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა

საინოვაციო პოლიტიკა მთლიანად ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ინსტრუმენტია. 2000-2010 წლებში ევროკავშირი ხელმძღვანელობდა ე.წ. *ლისაბონის სტრატეგიით*¹, ხოლო ამჟამად - „ევროპა 2020“-ით². ეროვნულ საინოვაციო პოლიტიკას ახორციელებს ყოველი წევრი ქვეყანა. საინოვაციო პოლიტიკით განსაზღვრული დონისძიებების დაფინანსებაზე იხარჯება ევროკომისიის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი, აგრეთვე ეროვნული და რეგიონული (ადგილობრივი) მთავრობების ბიუჯეტების მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად ევროკავშირში საინოვაციო პოლიტიკა სამდონიანია: ევროპული, ეროვნული და რეგიონული. ყოველი დონის საინოვაციო პოლიტიკა მისთვის დამახასიათებელ ამოცანებსა და ინსტრუმენტებს მოიცავს. ეროვნული და რეგიონული პოლიტიკების ამოცანები და ინსტრუმენტები დამოკიდებულია ქვეყნის/რეგიონის განვითარების დონეზე, სიდიდეზე და სხვა.

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის მიზანია მისი ეკონომიკის მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან ეკონომიკად ჩამოყალიბება.

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია:

- გრანტები უნივერსიტეტებისა და საწარმოებისთვის;
- საგადასახადო შეღავათები ინოვაციური საწარმოებისთვის;
- არასაფინანსო დახმარება (ტექნიკური დახმარება) უნივერსიტეტების, კვლევითი ორგანიზაციებისა და უმთავრესად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის სქემების ხელშეწყობა და სხვ.).

3. რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირში

3.1. რეგიონების განვითარების პოლიტიკა

წინამდებარე სტატიაში რეგიონი გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა იგი ადმინისტრაციულ ერთეულს ან ტერიტორიული დაყოფის რომელი დონის ერთეულია. ამ თვალსაზრისით „რეგიონული“ და „ადგილობრივი“ აქ ერთი და იგივეა (თუ საგანგებოდ არ არის მითითებული განსხვავება).

¹ Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23-24 March, 2000. (www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm). ქართულად დეტალური მიმოხილვა შეიძლება იხილოს წიგნში: *ევროკავშირის მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევრო-ინტეგრაცია*. რედაქტორები ი. გოგომე და ო. შატბერაშვილი, ასოციაცია ევსიგ, თბილისი, 2010. [www.inovdev.ge].

² http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm. ქართულად შეიძლება იხილოს: ო. შატბერაშვილი. ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა. წიგნში: *აღმოსავლეთის პარტნიორობა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტები საქართველოში*. რედაქტორი კ. გოგოლაშვილი, ებერტის ფონდი, თბილისი. [www.inovdev.ge].

რეგიონული პოლიტიკის ამოცანებია:

- რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა (ჩამორჩენილად ითვლება რეგიონი, რომელშიც სულზე შემოსავალი საშუალო ევროპული შემოსავლის 75%-ზე ნაკლებია);
- რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ (მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო კლასტერების განვითარების გზით);
- ურბანული, მაღალმთიანი, ძნელადმისაწვდომი და მცირედ დასახლებული რეგიონების პრობლემების გადაწყვეტა;
- სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობის აღმოფხვრა (სოფლის განვითარება);
- ადამიანების გადინების შემცირება და სხვა.

რეგიონების განვითარებაზე ევროკომისიის ბიუჯეტის 36% იხარჯება – დაახლოებით 50 მილიარდი ევრო წლიურად. ამ დახმარების დიდი ნაწილი იხარჯება საინოვაციო ღონისძიებებზე.

ევროკომისია რეგიონების დახმარებას ე.წ. **სტრუქტურული ფონდების** მეშვეობით ახორციელებს. ამ ფონდების ჩამონათვალი და ფუნქციები ქვემოთაა მოყვანილი.

რეგიონული განვითარების ევროპული ფონდის (ERDF) ამოცანებია:

- რეგიონებში ეკონომიკური სტრუქტურების მოდერნიზაცია;
- ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;
- ურბანული, მაღალმთიანი, ძნელადმისაწვდომი და მცირედ დასახლებული რეგიონების პრობლემების გადაწყვეტა;
- რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა;
- გარემოზე ზრუნვა (დაბინძურებული რაიონების დასუფთავება, ენერგოეფექტურობის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარება და სხვა);
- რეგიონებში ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციის წვდომის გაუმჯობესება;
- სხვა.

ერთობის (თანადგომის) ფონდის (Cohesion Fund) ამოცანებია:

- ტრანს-ევროპული ტრანსპორტის განვითარება;
- გარემოს დაცვა (ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია, რკინიგზა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი).

ევროპული საინვესტიციო ფონდის (EU Investment Fund) ამოცანაა მცირე ბიზნესის საფინანსო დახმარება.

ევროპული სოციალური ფონდის (European Social Fund) ამოცანაა რეგიონებში ზრდასრულთა გადამზადება (უწყვეტი განათლება), მართვის გაუმჯობესება, ცვლილებების მიმართ ადაპტირების უნარის გაზრდა და სხვა.

ევროპული სოლიდარობის ფონდი (EU Solidarity Fund) ეხმარება მასშტაბური კატასტროფებისგან დაზარალებულ რეგიონებს შედეგების ლიკვიდაციაში.

სოლიდარობის ფონდის გარდა, რომელიც ჩამონათვალის სისრულისთვისაა მოყვანილი, ყველა დანარჩენის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საინოვაციო ღონისძიებებთან, რაც მათი ამოცანებიდანაც ჩანს. თუ ეროვნული მთავრობა რეგიონის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების ჩატარებაში ეხმარება ამა თუ იმ რეგიონს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას დახმარებისათვის მიმართოს სტრუქტურულ ფონდებს. განსაკუთრებით დიდი დახმარების მიმღები რეგიონების შემთხვევაში ევროკომისია აღნიშნული პირობის შესრულებას საგანგებოდ ამოწმებს. ამდენად, დახმარება სტრუქტურული ფონდებიდან ეროვნული ხარჯების დამატებაა, და არა ჩანაცვლება. საშუალოდ, 2007-2013 წლებში ევროკავშირის მიერ გაღებულ 1 ევროზე მოდიოდა 3 ევროს ოდენობით ეროვნული ხარჯი.

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის რეალიზაცია *რეგიონული საინოვაციო სისტემის* ამოცანაა. სისტემა მოიცავს რეგიონში არსებულ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს, მრეწველობაში არსებულ კვლევით ქვედანაყოფებს, პროფესიული განათლების ცენტრებს, საცდელ ლაბორატორიებსა და საცდელ საწარმოებს, საცდელ სადგურებს სოფლის მეურნეობაში, საკონსულტაციო და საშუამავლო სამსახურებს, ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრებს, ტექნოპარკებსა და ბიზნეს-ინკუბატორებს, საპატენტო და საინფორმაციო სამსახურებს, სტანდარტიზაციის სამსახურებს და სხვა.

უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს, მათ შორის კერძო სექტორში არსებულს, გააჩნიათ ევროკომისიისგან დახმარების მიღების კიდევ ერთი წყარო - კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა “Horizon 2020” 2013-2020 წლებისთვის, საერთო მოცულობით 70 მილიარდი ევრო.

3.2. რეგიონული ხელისუფლების როლი საინოვაციო პოლიტიკაში

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს საინოვაციო სისტემის მრავალრიცხოვან მონაწილეთა თანამშრომლობას წინასწარ დასახული მიმართულებებით, რისი ორგანიზებაც რთული ამოცანაა. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება. მათი ფუნქციებია:


- რეგიონული პოლიტიკის შემუშავების ინიცირება, მისი მონაწილეობა მიზნების დასახვა-შემუშავებასა და შესრულებაში.
- საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო სექტორის და უნივერსიტეტების თანამშრომლობის სქემების განვითარება და სხვა). იგი შეიძლება გამოიხატებოდეს მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების გამოყოფაში და გადაცემაში, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შუამდგომლობაში რეგიონული საკითხების ცენტრალიზებულ გეგმებში გათვალისწინების შესახებ და სხვა.
- რეგიონული პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობა. ამ მიმართულებით შესაძლებლობები დამოკიდებულია ქვეყნის ტიპზე - თვითმმართველობის უფლებებზე. მაგალითად, ფედერალური მოწყობის ქვეყანაში, როგორცაა გერმანია, მიწების (რესპუბლიკების) საფინანსო და ფისკალური შესაძლებლობები გაცილებით დიდია, ვიდრე პროვინციებისა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში.
- სამივე მიმართულებით რეგიონულ ინიციატივებს მხარს უჭერენ ევროპული და ეროვნული მართვის ორგანოები.
- რეგიონული ხელისუფლების მხრიდან საინოვაციო პროცესების მართვა ხელისუფლების შესაძლებლობების შესაბამისად, შეიძლება იყოს „ხისტი“ ან „რბილი“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოჩამოთვლილი ამოცანების შესრულება რეგიონული ხელისუფლებისგან მაღალ და სპეციფიურ კომპეტენციას მოითხოვს. ევროკავშირში ეს კომპეტენცია მიღწეულია როგორც კადრების შერჩევით, ასევე მათი სისტემატური გადამზადებით. რეგიონული გეგმების შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგში ადგილობრივ ხელისუფლებას ეხმარება რეგიონული კვლევითი სისტემა, პირველ რიგში - რეგიონული უნივერსიტეტები. სხვა სიტყვებით, კვლევითი სისტემა მონაწილეობს არა მარტო საინოვაციო ღონისძიებების შესრულებაში, არამედ მთლიანად სტრატეგიის შემუშავებაში.


4. საინოვაციო პოლიტიკა განვითარებად ქვეყანაში

4.1. კვლევითი და არაკვლევითი ინოვაციები

საინოვაციო პოლიტიკა განვითარებად (ან სულზე დაბალი შემოსავლის მქონე - მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყანაში არსებითად განსხვავებულია განვითარებულ ქვეყანაში ანალოგიური პოლიტიკისგან. ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ინოვაციების იერარქია, ხოლო ნახ. 3-ზე შედარებულია ევროკავშირის მოწინავე და ნაკლებგანვითარებული ქვეყნის ინოვაციის არხები.



ნახ. 2. ინოვაციების იერარქია



ნახ. 3. კვლევითი და არაკვლევითი ინოვაცია

უმთავრესი ისაა, რომ ინოვაციის ძირითადი არხი განვითარებად ქვეყნებში არაკვლევითია. შესაბამისად, ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში წინ გამოდის:

- იმპორტირებულ (ან ადგილობრივად შექმნილ) ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაცია;

- მიზანშეწონილი ინოვაცია - ინოვაცია, რომელიც არაა დაფუძნებული უახლეს ტექნოლოგიაზე (მაგალითად, პატენტით დაცულზე), მაგრამ სასარგებლოა კონკრეტულ შემთხვევაში;
- ადგილობრივი ინოვაცია - ინოვაცია, რომელიც არ წარმოადგენს მსოფლიო სიახლეს, ან არც წარმოადგენს სხვების ინტერესის საგანს;
- ტრადიციულ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაცია - ინოვაცია, რომელიც ხალხურ გამოცდილებას იყენებს, მაგრამ მას ახალ განზომილებას ანიჭებს (მაგალითად, ღვინის დაყენება ქვევრში, როგორც ამბობენ, საერთაშორისო ინტერესს იწვევს);
- სოციალური ინოვაცია - არატექნოლოგიური, არამედ ორგანიზაციული ინოვაციაა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მსოფლიო სიახლეს, მაგრამ შეიძლება ასეთი დონის სიახლეს არც წარმოადგენდეს (საქართველოში, მაგალითად, სოციალური ინოვაციაა კოოპერაციული მოძრაობა სოფლის მეურნეობაში, თუმცა მსოფლიოში ეს უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტია).

ზემოჩამოთვლილი ინოვაციის სახეობების რეალიზაციისთვის აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა და ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარება. სპეციფიურ ფუნქციას იძენს კვლევითი სისტემა (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები), რომელიც ამ შემთხვევაში არ ქმნის სიახლეებს, მაგრამ გადამწყვეტ როლს თამაშობს მათ ათვისებაში.

4.2. უნივერსიტეტები, საზოგადოება და ხელისუფლება რეგიონებში

კვლევითი სისტემის კონფიგურაცია რეგიონზეა დამოკიდებული. ზოგიერთ რეგიონში ათობით კვლევითი ინსტიტუტი და მრავალი უნივერსიტეტი არსებობს (მაგალითია ბავარია გერმანიაში). მაგრამ, უფრო ხშირად, რეგიონული კვლევითი სისტემის ბირთვს ერთი-ორი უნივერსიტეტი შეადგენს (მაგალითად, საქართველოს რეგიონებში). ზოგადად, რეგიონული უნივერსიტეტის ფუნქციები საინოვაციო პოლიტიკის მიმართ ასეთია:

1. რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება (რეგიონისა და მსოფლიო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე);
2. ტექნოლოგიების სამყაროში ფანჯრის როლის შესრულება;
3. შესაბამისი კადრების მომზადება;
4. იმპორტირებული ტექნოლოგიების ათვისების/ადაპტირების ხელშეწყობა (ტექნოლოგიების შეფასება, საჭირო კვლევების ჩატარება);
5. რეგიონში წარმოებული პროდუქტების/გამოყენებული პროცესების გაუმჯობესება;
6. რეგიონისთვის აქტუალური ტექნოლოგიების შემუშავება;

7. ბიზნესთან თანამშრომლობა და ამისთვის სპეციალური ინსტრუმენტების შექმნა (ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო ცენტრები, გადამზადების ცენტრები და სხვა);

8. რეგიონში ცოდნის დიფუზიის (გავრცელების) ხელშეწყობა.

არაკვლევითი ინოვაციის შემთხვევაში, რაც განვითარებადი ქვეყნისთვის განსაკუთრებით აქტუალურია, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ფუნქციებს 2, 4, 5 და 8. მკვლევარები აღნიშნავენ ადგილობრივი უნივერსიტეტების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას. განვითარებადი ქვეყნებიდან ე.წ. „ტვინების გადინება“ კარგად ცნობილი მოვლენაა. ძლიერ რეგიონულ უნივერსიტეტს შეუძლია გასულ მეცნიერებთან თანამშრომლობის გზით, ეს მოვლენა რეგიონის სასიკეთოდ გამოიყენოს. ამით ხდება დანაკარგის კომპენსაცია და სარგებლის მიღებაც კი.

რეგიონის ინოვაციური განვითარების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთადერთი საშუალების, აუცილებლობა კარგად უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ. დემოკრატიულ ქვეყანაში, არჩეული თვითმმართველობის პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საინოვაციო პოლიტიკის გატარება ხელისუფლების მიმართ დაკვეთის ნაწილი გახდეს. საინოვაციო პროცესში საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრავს მის წარმატებას.

ადგილობრივი მმართველობა რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ინიციატორია. ამავე დროს, საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, გატარება და შეფასება ადგილობრივი მმართველობისგან სპეციალურ კომპეტენციას მოითხოვს. მის შექმნას დრო და განსაკუთრებული მონდომება ესაჭიროება. მეორე მხრივ, საქართველოს ევროინტეგრაციული არჩევანი ამ მოთხოვნას ფორმალურ ხასიათს ანიჭებს. კიდევ ერთი მოთხოვნაა გასათვალისწინებელი - თვითმმართველობის ხელთ არსებული ბერკეტების სრული გამოყენება. ცალკეული ბერკეტი შეიძლება არც ისე ძლიერი იყოს, მაგრამ მათი შეთანხმებული გამოყენება, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, კარგ შედეგს იძლევა. ქვემოთ მოგვყავს სასურველი კომპეტენციებისა და ზემოქმედების ინსტრუმენტების არასრული (საორიენტაციო) ჩამონათვალი:

- საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დავალებების ჩამოყალიბების უნარი (რეგიონში არსებული მთელი ინტელექტუალური რესურსის, პირველ რიგში, უნივერსიტეტების რესურსის სრული გამოყენებით და საინოვაციო პროცესის სხვა მონაწილეთა ჩართვით);

- საინოვაციო ღონისძიებებისთვის შეღავათების სისტემის შემუშავება (მაგალითად, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოებისთვის), მათ შორის საგადასახადო, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- საინოვაციო ღონისძიებებისთვის სხვა დახმარების აღმოჩენა (მაგალითად, ქონების გადაცემა, მიწის გამოყოფა ტექნოპარკებისთვის, ბიზნეს-ინკუბატორებისთვის, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრებისთვის, ინდუსტრიული ზონებისთვის, სასოფლო-სამეურნეო სადგურებისთვის და სხვა). საერთაშორისო პრაქტიკაში (ევროკავშირი, აშშ) ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმი;
- რეგიონში კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- საინოვაციო ღონისძიებების დაფინანსება საკუთარი სახსრებით, ასევე ცენტრალური ხელისუფლების და საერთაშორისო რესურსების მოზიდვა, რასაც შესაბამის პროგრამებთან და მექანიზმებთან ურთიერთქმედების უნარები სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში რეგიონები ერთმანეთს ჯანსაღ კონკურენციას უწევენ. ამ კონკურენციის ასპარეზი სცილდება რეგიონის და ქვეყნის ფარგლებსაც კი. აუცილებელი ხდება ეროვნული და საერთაშორისო დახმარების წყაროების, აგრეთვე, ინვესტორებთან მუშაობის კარგი ცოდნა. წინა წლებისგან განსხვავებით, ხელისუფლება აღიარებს ინოვაციურ განვითარებას. შესაბამისად, იქმნება ახალი ინსტრუმენტები ინოვაციური ღონისძიებების მხარდასაჭერად. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ საინოვაციო გარემოში არსებულ დადებით ცვლილებებს.

5. საქართველოს რეგიონული საინოვაციო სტრატეგია

5.1. რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010-2017 წლებისთვის

საქართველოს მთავრობამ *რეგიონული საინოვაციო სტრატეგია* მიიღო უფრო ადრე, ვიდრე ქვეყნის საინოვაციო სტრატეგია. 2010 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2011-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ“³, რომელშიც არის „თავი IV. ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“. სტრატეგიის რეალიზაციის მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, მაგრამ მისი დებულებები დღესაც აქტუალურია, ამიტომ მოგვყავს მათი მოკლე შინაარსი.

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №172, 25 ივნისი 2010 წელი. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. სტრატეგიაზე მუშაობდა ჯგუფი რევაზ კაკულიას, კობა კიკაბიძისა და სხვათა შემადგენლობით.

ინოვაციის, ახალი ტექნოლოგიების და მეწარმეობის ხელშეწყობა:

უნდა განვითარდეს რეგიონული საინოვაციო სისტემა და, აგრეთვე რეგიონული ეკონომიკური სტრატეგია ორიენტირებული ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციაზე და ახალ ტექნოლოგიებზე.

სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება და ინოვაციის ხელშეწყობა:

- რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის, როგორც განვითარების ახალი მოდელის დანერგვა;
- ინოვაციური პროდუქტების შექმნაზე მიმართული განათლების, ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის განვითარების ღონისძიებები;
- რეგიონული კვლევითი ინსტიტუტებისა და საწარმოების კლასტერების შექმნა, მათი მემვეობით საინოვაციო პოლიტიკის რეგიონული პრიორიტეტების გამოკვეთა;
- ინოვაციური პროცესის დასაჩქარებლად სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება, ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმების სრულყოფა.

რეგიონული საინოვაციო ცენტრების ჩამოყალიბება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს:

- შუამავლობა ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებასა და ხელმისაწვდომ კვლევას შორის;
- მონაცემთა ბაზის შექმნა ტექნოლოგიურ მიღწევებზე, პატენტებზე, პროტოტიპებზე, ლიცენზიებზე;
- მსს და უნივერსიტეტების/კვლევითი ინსტიტუტების ქსელის შექმნა, აგრეთვე მსს დიდ საწარმოებთან და უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირება;
- ტექნოლოგიების კომერციალიზაცია, კონსულტაციები და პროცესის მონაწილეთა გადამზადება.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების დაფუძნება იმ მიზნით, რომ მოხერხდეს:

- რეგიონული საინვესტიციო პროექტების გამოვლენა და უცხოელი ინვესტორების მოძიება;
- რეგიონის ეკონომიკის შესახებ ვებ-გვერდის შექმნა და რუკის შედგენა;
- პრეზენტაციების, ბაზრის ანალიზის, მიზნობრივი სწავლების, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ორგანიზება.

კლასტერების დაგეგმვაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

- ხარჯებს კვლევასა და შემუშავებაზე;
- ადგილობრივი ადამიანური რესურსის გადამზადებასა და გამოყენებას;

- ახალი ტექნოლოგიების შემოტანასა და ადგილობრივი ბაზრიდან წარმოების მომარაგებას.

ექსპორტისა და ექსპორტზე ორიენტირებული მსხმარდაჭერა:

- იმ ნაწარმის სიების შედგენა, რომელიც შეიძლება იწარმოოს ადგილობრივად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ჩაანაცვლოს იმპორტი და მოკლე პერიოდში მოახდინოს გავლენა ადგილობრივ ბაზარზე;
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.

რეგიონის ბრენდის დამკვიდრება - რეგიონული ნაწარმის მიმართ მომხმარებლის ნდობის მოპოვება.

5.2. საინოვაციო გარემოს მიმდინარე მდგომარეობა საქართველოში

2013 წელს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება საინოვაციო გარემოს მიმართ სწრაფად შეიცვალა უკეთესობისკენ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სტრატეგიებზე დაფუძნებული განვითარების აღიარება. შესაბამისად, ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა. 2014 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ის“ პროექტი⁴, რომელიც შეიცავს ქვეთავს „ინოვაცია და ტექნოლოგიები“. პარალელურად, მსოფლიო ბანკის დახმარებით, ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს საქართველოს საინოვაციო სტრატეგიაზე. ინოვაციური განვითარებისთვის საჭირო ზოგიერთი პრაქტიკული ინსტრუმენტი უკვე შექმნილია, კერძოდ, 2014 წელს მთავრობამ დააფუძნა:

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო. მისი ფუნქციაა ისეთი კვლევითი და ორგანიზაციული სამუშაოების ხელშეწყობა, რომელიც მთავრდება საბაზრო ღირებულების მქონე ახალი პროდუქტის ან პროცესის შექმნითა თუ გაუმჯობესებით (მიუხედავად იმისა, ტარდება ეს სამუშაოები უნივერსიტეტში, მცირე საწარმოში თუ ორივეში ერთობლივად). ასევე მისი საქმიანობა უნდა ვრცელდებოდეს იმპორტირებული ტექნოლოგიების ათვისების სფეროზე, როდესაც ათვისება ადაპტირებასთანაა დაკავშირებული. სააგენტოს საქმიანობა ვრცელდება ყველა დარგზე (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო).

მეწარმეობის განვითარების სააგენტო, მისი ფუნქციაა მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება და ამ ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება. მისი საქმიანობა, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, მჭიდროდ უკავშირდება საინოვაციო საქმიანობას.

⁴ www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10742

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, რომლის ამოცანაა საეთერო ტელემაუწყებლობის გადაყვანა ანალოგურიდან ციფრულ ტექნოლოგიაზე, რაც საქართველოსთვის სერიოზული და ძვირადღირებული ინოვაციაა. ახალი მაუწყებლობის ტევადობა მრავალჯერ აღემატება ანალოგური მაუწყებლობის ტევადობას, რაც საშუალებას იძლევა გამოთავისუფლებული სამაუწყებლო სიხშირეები გამოყენებულ იქნას დამატებითი სერვისების განვითარებისთვის (მობილური კავშირი, ინტერნეტი და სხვა).

ამ სამი ინსტრუმენტის განვითარებაზე 2014 წლის ბიუჯეტში თითქმის 30 მლნ ლარია გამოყოფილი.

2013 წლიდან ამუშავდა (1) მცირე *ფერმერთა დახმარების სქემები*, (2) *შეღავათიანი კრედიტები სოფლის მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების სფეროში* და დაიწყო (3) *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაცია*. სამივე ინსტრუმენტი მნიშვნელოვანი საორგანიზაციო (სოციალური) ინოვაციაა საქართველოსთვის. ამავე დროს, ეს ინსტრუმენტები, მეწარმეობის განვითარების და ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სააგენტოების ინსტრუმენტებთან ერთობლიობაში, შეიძლება ეფექტიანად იყოს გამოყენებული რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის განსახორციელებლად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც დადებით გავლენას მოახდენს საინოვაციო გარემოზე ზოგადად, კერძოდ კი, რეგიონულ პოლიტიკაზე არის ხელმოწერისთვის გამზადებული (პარაფირებული) *ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება*, რომელშიც ყურადღების ცენტრშია კვლევისა და ინოვაციის საკითხები ეკონომიკის მრავალი მიმართულებით (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემო, ენერგეტიკა, წარმოება და წიაღისეულის მოპოვება, მეთევზეობა და ზღვის პრობლემები). ხელშეკრულება ითვალისწინებს კვლევისა და ინოვაციისთვის განკუთვნილი ევროკავშირის სახსრების უკეთეს წვდომას ქართული უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და მცირე საწარმოებისთვის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა Horizon – 2020-ს მეშვეობით. ხელშეკრულება დიდ ყურადღებას აქცევს, აგრეთვე, კვლევითი მომსახურების ღონისძიებებს, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პროდუქციის ლაბორატორული ტესტირება და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2014 წლიდან არსებითად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები კვლევისა და შემუშავებაზე (დაახლოებით 20%-ით). პოტენციურად, ეს ქმნის შესაძლებლობას კვლევითი ორგანიზაციების გეგმებში რეგიონული პრობლემები ავსახოთ.

საჭიროა, რომ რეგიონებმა ამ მოძრაობას თვალი ადევნონ და ახალწარმოქმნილი შესაძლებლობები ეფექტიანად გამოიყენონ, თუმცა ამას სპეციალური კომპეტენცია ესაჭიროება, რაც ზემოჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან სისტემატური მუშაობით იქნება შეძენილი.

6. დასკვნა

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ნაწილი და პირობაა. საქართველოში, მიუხედავად 2010 წელს მთავრობის მიერ რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიღებისა, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით წინსვლა არ ყოფილა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ხსენებული სტრატეგია დონორების კატეგორიული მოთხოვნით იყო მიღებული. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ცნობილ და მრავალჯერ დადასტურებულ ფაქტს: მუშაობს მხოლოდ ის სტრატეგია, რომელიც (1) დაკვეთილია ქართული საზოგადოების მიერ და (2) შემსრულებლებიც ქართველი ავტორები არიან (საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით, მათ შორის, უცხოელი ექსპერტების ჩართვით). ამას ხაზს ვუსვამთ, რადგანაც დღესაც ვისმენთ თანამდებობის პირებისგან, რომ ამა თუ იმ სტრატეგიას უცხოელებს დაუკვეთავენ და პრობლემას გადაწყვეტენ. საქართველოს პრობლემები გადაწყდება მხოლოდ ქართული საზოგადოების და ქართველი სპეციალისტების ჩართულობის შემთხვევაში. ანალოგიურად, რეგიონების განვითარების საკითხები, მათ შორის საინოვაციო პოლიტიკის საკითხები, ვერ გადაწყდება ადგილობრივი საზოგადოებისა და თვითმმართველობის ჩართულობის გარეშე.

არსებობს მრავალი საერთაშორისო მაგალითი (პირველ რიგში ევროკავშირში, რომლისკენაც ისწრაფვის საქართველო) იმისა, რომ რეგიონული მმართველობა, დაინტერესებული ინსტიტუტებისა და საზოგადოების ჩართულობის პირობებში, ახერხებს რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსების მობილიზაცია (უნივერსიტეტების, კერძო ბიზნესის, სხვა დაინტერესებული მოთამაშეების) საშუალებას იძლევა საერთაშორისოდ აღიარებულიდან გადაირჩეს და განვითარდეს ის ადგილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც მიზანშეწონილია და რეალიზებადია კონკრეტულ ადგილობრივ პირობებში. იგივე მობილიზაცია იძლევა საშუალებას თანდათან, სულ უფრო მეტი ეფექტურობით, გამოყენებულ იქნას ეროვნული და საერთაშორისო დახმარების მექანიზმები.

წარმატების ერთ-ერთი საწინდარია რეალიზმი სტრატეგიების შემუშავებისას, იმის გათვალისწინება, რომ საქართველო ამჟამად განვითარებადი ქვეყანაა. რაც არ უნდა შორს ვიყურობოდე (რაც მისასაღმებელია), დღეს უნდა გადავდგათ რეალიზებადი ნაბიჯები (მაგალითად, დაბალი და საშუალო ტექნოლოგიების მიმართულებით). ამავე დროს, პილოტურ დონეზე, დღესვე, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება. პირიქით მოქმედება, ძირითადი რესურსების მაღალ ტექნოლოგიებში კონცენტრაცია შეიძლება ქვეყნისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს, რადგან გამოიწვევს საზოგადოების გულგატეხილობას საინოვაციო პოლიტიკის მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში: ორიენტირები საქართველოსთვის

ლევან დადიანი

1. შესავალი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის დანერგვისა და განვითარების გარდაუვალი საჭიროების შესახებ აქტიური საუბარი და განხილვა ქვეყანაში წარმოდგენილ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებსა და განვითარების სააგენტოებს შორის 2012 წლის გაზაფხულის მიწურულს დაიწყო; მას შემდეგ, რაც ევროკავშირის დაკვეთით გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) ჩაატარა და გამოაქვეყნა კვლევა (Toloraia, Angelowski, 2011), რომლის თანახმადაც საქართველოში სოფლად არსებულ 800,000-მდე მცირე ოჯახურ მეურნეობას დარგის მიმართ არსებული ულტრა-ლიბერტარიანული სახელმწიფო პოლიტიკის შენარჩუნების პირობებში, მოკლე და საშუალოვადიან მომავალში სრული კოლაფსი ემუქრებოდა, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ დაცემას, სურსათის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების კიდევ უფრო გაზრდას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სტატუსის კიდევ უფრო გაუარესებას, სოფლად მოსახლეობის შემდგომ გაღარიბებასა და სოფლიდან ქალაქად მიგრაციული პროცესების დაჩქარებას. გვერდითი ეფექტის სახით ამას დაემატებოდა სოფლად „ფეოდალიზაციის“ პროცესების აქტივაცია, ხოლო მსხვილი ბიზნესის მხრიდან – მონოპოლისტური პრაქტიკის დანერგვა.

კვლევის რეკომენდაციების თანახმად, აღნიშნული საშიშროებების თავიდან ასაცილებლად ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ საპროგრამო და პოლიტიკის პრიორიტეტად მთავრობისთვის სოფლად კოოპერაციული სისტემების დანერგვა-განვითარება დასახელდა, თუმცა, მაგ დროისთვის (2012 წლის დასაწყისი), აღნიშნულის განსახორციელებლად არც სათანადო პოლიტიკური ნება არსებობდა და არც შესაბამისი საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზა.

აღნიშნულის თანადროულად, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის მიერ შემუშავდა სპეციალური პროგრამა „საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების მხარდაჭერისთვის“ (ENPARD). პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერების ჯგუფების

განვითარებას. დარგში ამ მიმართულებით, პირდაპირი ინვესტიციების ხელშეწყობის გარდა, პროგრამაში გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო დარგში შესაბამისი უწყებრივი სტრუქტურების განვითარებისა და სათანადო სახელმწიფო პროგრამების შემუშავების მიმართულებით, თუმცა აღნიშნული საბიუჯეტო მხარდაჭერის მისაღებად აუცილებელ წინაპირობად დასახელდა საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის მიღება.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია სოფლის მეურნეობის დარგის დონორთა საკოორდინაციო საბჭოს (DCG) ფარგლებში სხვადასხვა უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტის მიერ შემუშავდა, თუმცა ნიშანდობილია, რომ საქართველოს მაშინდელი მთავრობის არც ერთ უწყებას აღნიშნულ პროცესში რამდენადმე ქმედითი მონაწილეობა არ მიუღია და არც ინტერესი გამოუხატავს, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის შემდგომ განხილვაში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოებამ ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღო. აღნიშნული, სხვა მრავალ ფაქტთან ერთად, დამატებით ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო დარგში და სოფლად არსებული სავალალო მდგომარეობისა, მთავრობისთვის იგი ქვეყნის განვითარების რამდენადმე საგულისხმო პრიორიტეტს საერთოდ არ წარმოადგენდა.

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღის წესრიგი მკვეთრად შეცვალა. სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ უმთავრეს დარგად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის დანერგვა-განვითარება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა აღიარებული. მთავრობამ შეიმუშავა და ამჟამად ახორციელებს სოფლად ხვწა-თესვის სამუშაოებისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტებზე საპროცენტო სარგებლის სუბსიდირების პროგრამებს. სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დარგისთვის ასიგნებები თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. 2013 წლის ივლისში ერთწლიანი აქტიური სამოქალაქო და უწყებრივი განხილვების უპრეცედენტოდ საჯარო პროცესის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“. ამასთანავე ხელი მოეწერა, დამტკიცდა და განხორციელება დაიწყო პროგრამამ „საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების მხარდაჭერისთვის“ (ENPARD).

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ძვრებისა, სოფლად ეკონომიკისა თუ მთლიანობაში სასოფლო-სამეურნეო დარგის გამოცოცხლების კუთხით რაიმე წარმატებაზე საუბარი ნაადრევია. მართალია, საკანონმდებლო დონეზე მცირე გლეხობის, როგორც სოფლად

ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ინტერესები წინა პლანზე არის წამოწეული, თუმცა განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად მხოლოდ საკანონმდებლო მხარდაჭერა საკმარისი ნამდვილად არ არის. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გრძელვადიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რასაც საკმაოდ საგულისხმო ექსპერტიზა, ცოდნა, გამოცდილება და სხვა სათანადო რესურსი სჭირდება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოკრძალებული წვლილი შეიტანოს სოფლად კოოპერატიული სისტემის დანერგვა-განვითარების მხარდაჭერის გრძელვადიანი ეროვნული პოლიტიკის გააზრებასა და შემუშავებაში.

2. რა არის კოოპერატივი და წარმოადგენს თუ არა იგი ინოვაციას საქართველოსთვის?

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში კოოპერატივის ცნების მრავალგვარ და ურთიერთგამომრიცხავ განმარტებას შეხვდებით. ზოგი მას კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან აიგივებს, ზოგი „ცეკავშირთან“ და „პერესტროიკის“ პერიოდში დაშვებულ კერძო წარმონაქმნებთან - ე.წ. „პერესტროიკის კოოპერატივებთან“, თუმცა ვერც ერთი მათგანი ამ ცნების ნამდვილ დეფინიციას ვერ უახლოვდება. ცნებათა ამგვარ აღრევას თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია, ეს მიზეზია სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების ამგვარ სისტემასთან მიმართებაში პრაქტიკული გამოცდილების არქონა. საქმე იმაშია, რომ კოოპერატიული სისტემა სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის პირობებში ვერ განვითარდებოდა, რადგან თავისუფალი ბაზრის პირობებში ის წარმოადგენს მწირი ეკონომიკური ბაზის მქონე დაბალკონკურენტუნარიან კერძო საწარმოო ძალთა თავდაცვით რეაქციას და მსხვილი, ძლევამოსილი კორპორატიული კაპიტალის საპირწონეს.

დასავლეთ ევროპაში, დაახლოებით ორი საუკუნის წინ, ინდუსტრიული რევოლუციის გვიანდელ პერიოდში, როდესაც არნახული ტექნიკური პროგრესის შედეგად განვითარდა კერძო მრეწველობა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მსხვილი კორპორატიული კაპიტალის დაგროვებას, წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება მსხვილ კაპიტალსა და მცირე საწარმოო ძალთა (მაგ. გლეხური/საოჯახო მეურნეობები) შორის. კერძოდ, კორპორატიული კაპიტალის ინტერესს წარმოადგენდა იაფი და ამასთანავე ხარისხიანი, მასშტაბური და სტაბილური შრომითი და სანედლეულო ბაზის არსებობა, მცირე საწარმოო ძალები კი ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული ძირითადი საწარმოო საშუალებების შენარჩუნებას,

მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების თვითღირებულების მინიმიზაციასა და მისი რეალიზაციისთვის სტაბილური და მომგებიანი ბაზრების უზრუნველყოფას. ამ პირობებში ცალ-ცალკე მოქმედი „გათითოკაცებული“ მცირე მეურნეობები/საწარმოები ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდნენ ვერც კორპორატიული სექტორის მოთხოვნილებების შესრულებას და ვერც საკუთარ დამოუკიდებლობასა და მდგრადობას შეინარჩუნებდნენ მსხვილი კაპიტალის ბუნებრივი ზეწოლის პირობებში. ამდენად, მცირე მეურნეობები/საწარმოები დადგნენ ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების ისეთი სისტემის განვითარების საჭიროების წინაშე, რომელიც ერთსა და იმავე დროს:

- უზრუნველყოფდა ინდივიდუალური/საოჯახო მეურნეობების თვითმყოფადობას, დამოუკიდებლობას და მათ მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური ბაზის შენარჩუნებას;
- ხელს შეუწყობდა პროდუქციის წარმოების თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას;
- უზრუნველყოფდა ხარისხიანი საწარმოო კომპონენტებისა და წარმოების მოწინავე ეფექტიანი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას;
- ხელს შეუწყობდა პროდუქტიულობისა და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას; ე.ი. უზრუნველყოფდა სარეალიზაციო ბაზრებზე მისი პროდუქციის სავაჭრო პოზიციების გაძლიერებასა და გამყარებას;
- უზრუნველყოფდა მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე მდგარ მეურნეობათა/საწარმოთა/მეწარმეთა შორის თანასწორუფლებიანობის, ერთობის, ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის პრინციპების დამკვიდრებას.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ განვითარდა წარმოებისა და სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვრების იმ დროისთვის სრულიად ახალი და უნიკალური ფორმა - კოოპერატივი (ლათინურად co-operatio - თანაქმედება, თანამშრომლობა).

კოოპერაციულ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის თავში მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს ნიშან-თვისებებს აერთიანებს. ბიზნეს ორგანიზაციის მსგავსად, კოოპერატივის წევრები ფლობენ პაის, თუმცა თითოეულ წევრზე გაპიროვნებული პაის ოდენობა განსაზღვრავს მხოლოდ დივიდენდის ოდენობას და არა წევრის უფლებამოსილებას ორგანიზაციის მართვაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში მეპაიეთა სამმართველო ხმების რაოდენობა თითოეულ მეპაიეზე მისი პაის ოდენობის პროპორციულია,

კოოპერატივის შემთხვევაში, წევრს, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებული პაის ოდენობისა, აქვს მხოლოდ ერთი ხმა. ამ პრინციპს **მართვის დემოკრატიული კონტროლის სისტემა** ეწოდება (ე.წ. „ერთი წევრი - ერთი ხმა“), მისი მეშვეობით კოოპერატივის წევრები ერთი მხრივ თავს იცავენ მსხვილი კაპიტალის მონოპოლისტური ინტერვენციისგან და მეორე მხრივ უზრუნველყოფენ სოციალური სამართლიანობის, ერთობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვას.

გარდა ამისა, სპეკულაციური პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად, რაც მსხვილი კაპიტალის მონოპოლისტური ინტერვენციის საფუძველს წარმოადგენს, როდესაც ერთი კონკრეტული მეპაიე შესაძლებელია მხოლოდ თანხის დაბანდებითა და დივიდენდების მიღებით შემოიფარგლოს (როგორც შპს-სა და/ან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში), კოოპერატივის წევრები თანხმდებიან, რომ წევრად კოოპერატივში მიიღება ინდივიდი, რომელიც **ეკონომიკურ მონაწილეობას** ღებულობს კოოპერატივის საქმიანობაში, ანუ კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობის მიღების გარდა, ეწევა შრომით საქმიანობას, ქმნის გარკვეულ პროდუქციას და ამ პროდუქციის საწარმოებლად, მისთვის დამატებითი ღირებულების შესაქმნელად და ხელსაყრელი სარეალიზაციო ბაზრების მოსაპოვებლად იყენებს კოოპერატივის სერვისებს. კოოპერატივის კიდევ ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს **ღია და ნებაყოფლობითი წევრობა** წარმოადგენს. ამ პრინციპის დასაცავად, როგორც წესი, კოოპერატივების წევრები თანხმდებიან, რომ არაწევრთათვის სერვისის გაწევა შესაძლებელია, თუმცა გარკვეულ ზღვრამდე, რაც კოოპერატივის წლიური ბრუნვის გარკვეულ პროცენტს (ყველაზე ხშირად 20-30%) არ უნდა აჭარბებდეს. აღნიშნული მექანიზმით იქმნება ორმხრივი მოტივაცია: ერთი მხრივ, კოოპერატივი დაინტერესებულია წევრთა რაოდენობის გაზრდით, რაც მისთვის ეკონომიკური ბაზისა და კლიენტურის ზრდას ნიშნავს, ხოლო, მეორე მხრივ, არაწევრი ინდივიდი დაინტერესებულია გახდეს კოოპერატივის წევრი, რაც მას საშუალებას აძლევს შეუზღუდავად ისარგებლოს კოოპერატივის მიერ შეთავაზებული სერვისით.

კოოპერატივის ფუნდამენტური საოპერაციო პრინციპების ზემოთ აღწერილი ერთობლიობა ქმნის მომგებიანი ბიზნეს ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს უნიკალურ სინთეზს. სამართლებრივი ფორმითა და საქმიანობის მიმართულებებით კოოპერატივი მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნეს ორგანიზაციას წარმოადგენს, თუმცა მმართველობის დემოკრატიული სისტემა, წევრთა ეკონომიკური მონაწილეობის აუცილებლობა და მათი რაოდენობის ზრდისკენ მიმართული სამოტივაციო სქემები კოოპერატივს უმთავრესად წევრთა მოგებაზე ორიენტირებულ სერვის ორგანიზაციად აყალიბებს და არა კორპორატიული კაპიტალის გენერირების პლატფორმად, როგორც ეს ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში.

კოოპერაციული სისტემის წარმოშობისა და განვითარების თითქმის ორასწლიან პერიოდში ამ მოძრაობამ გლობალურ მასშტაბს მიაღწია და მეცნიერულ-დისციპლინარული ჩარჩოებშიც მოექცა. ჩამოყალიბდა კოოპერატივების მრავალი ეროვნული და საერთაშორისო გაერთიანება, რომელთა ძირითადი მიზანი კოოპერატიული პრინციპებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ინტერესთა დაცვაა. სწორედ მათ 1995 წელს მიიღეს ე.წ. „კოოპერატივების იდენტობის განაცხადი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია კოოპერატიული პრინციპების განსაზღვრება და განმარტებები, რასაც შეუერთდა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

ამგვარად, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე *კოოპერატივი წარმოადგენს ინდივიდთა ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნილ ავტონომიურ გაერთიანებას, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს წევრთა ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნა საჭიროებანი საერთო მფლობელობაში არსებული და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის გზით (ICA, 1995).*

კოოპერატივის საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური საოპერაციო პრინციპებია:

ნებაყოფლობითი და ღია წევრობა - კოოპერატივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა; მისი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ინდივიდი სქესის, რასის, რელიგიური რწმენის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, რომელსაც აქვს მისი მომსახურებით სარგებლობის სურვილი და რომელიც მზად არის აღიაროს მის წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

წევრთა მართვის დემოკრატიული სისტემა - კოოპერატივი დემოკრატიული ორგანიზაციაა, რომელიც იმართება პრინციპით: „ერთი წევრი - ერთი ხმა“. კოოპერატივის წევრთა მიერ არჩეული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ანგარიშვალდებულები არიან წევრთა წინაშე.

წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა - წევრები დემოკრატიული პრინციპების თანახმად, მონაწილეობას იღებენ კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებასა და მართვაში. ამ კაპიტალის გარკვეული ნაწილი კოოპერატივის წევრთა ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს. წევრობის ერთ-ერთი წინაპირობაა კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მისი მონაწილეობა. წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით კოოპერატივის მოგების განაწილება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: (ა) კოოპერატივის განვითარება, (ბ) რეზერვების ფორმირება, რომლის გარკვეული ნაწილი განაწილებას არ ექვემდებარება, (გ) წევრებისთვის დივიდენდების განაწილება კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მათი მონაწილეობის პროპორციულად, აგრეთვე წევრთა გადაწყვეტილების შესაბამისად სხვა კანონიერი მიზნებისთვისაც.

ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა - კოოპერატივი დამოუკიდებელი და ავტონომიური ორგანიზაციაა, რომელიც კონტროლდება მისი წევრების მიერ. კოოპერატივის მიერ მესამე პირთან (მთავრობის ჩათვლით) რაიმე გარიგების გაფორმების ან სხვა წყაროდან კაპიტალის მოზიდვის შემთხვევაში კოოპერატივი ხელმძღვანელობს წევრთა დემოკრატიული კონტროლისა და კოოპერატივის ავტონომიურობის პრინციპების დაცვით.

განათლება, ტრენინგი და ინფორმაცია - კოოპერატივი უზრუნველყოფს თავისი წევრების, არჩეული წარმომადგენლების, მენეჯერებისა და დაქირავებული თანამშრომლების განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა შემდგომში საკუთარი წვლილი შეიტანონ კოოპერატივის განვითარებაში. კოოპერატივი ინფორმაციას აწვდის ფართო საზოგადოებას კოოპერაციული პრინციპების რაობისა და სარგებლიანობის შესახებ.

კოოპერაცია კოოპერატივებს შორის - კოოპერატივი მოწოდებულია გააუმჯობესოს თავისი წევრების მომსახურების ხარისხი კოოპერაციული მოძრაობის გამლიერებისა და სხვა კოოპერატივების ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო გაერთიანებებთან თანამშრომლობით.

საზოგადოებაზე ზრუნვა - კოოპერატივი ზრუნავს მისი საქმიანობის გეოგრაფიულ არეალში მოსახლე საზოგადოებაზე/თემზე/სოფელზე მის წევრთა მიერ შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელების გზით.

კოოპერაციულ საწყისებზე დაფუძნებული და მოქმედი საწარმოები/გაერთიანებები ეკონომიკის ყველა დარგს მოიცავს, თუმცა ამ ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობა და უპირატესობა, აგრეთვე სუსტი მხარეებიც.

რაც შეეხება შეკითხვას - „წარმოადგენს თუ არა კოოპერაციული სისტემა ინოვაციას საქართველოსთვის?“ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში, სრულიად გასაგები მიზეზებისა და გარემოებების გამო, რამდენადმე საგულისხმო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება ამ სისტემასთან მიმართებაში არ არსებობს და შეუძლებელიცაა რომ არსებობდეს, რადგან სამოცდაათი წლის მანძილზე ხელოვნურად რეგულირებული გეგმიური ეკონომიკის, თავისუფალი ბაზრის აკრძალვის, კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის დათრგუნვისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით ძალმომრეობითი „საწარმოო კოოპერაციის“ დანერგვის პირობებში აღნიშნული სისტემა ვერანაირად ვერ განვითარდებოდა. მეტიც, 1991 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ოცწლიან პერიოდშიც დარგის განვითარებასთან დაკავშირებული რამდენადმე გააზრებული და გრძლევადიან სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული პოლიტიკა არც შემუშავებულა და არც გატარებულა.

3. რატომ მაინცდამაინც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები?

როგორც ზემოთ აღინიშნა, კოოპერატიული სისტემა წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის პირობებში მწირი ეკონომიკური ბაზის მქონე დაბალკონკურენტუნარიან საწარმოო ძალთა თავდაცვით რეაქციას და მსხვილი და ძლევამოსილი კორპორატიული კაპიტალის საპირწონეს. სოფლის მეურნეობის კონტექსტში ხშირ შემთხვევებში კოოპერატივებს ქმნიან მცირე საოჯახო მეურნეობები/ფერმები თავისუფალი ბაზრის გამოწვევების დასაძლევად. ეს გამოწვევები ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მსხვილი ბიზნესი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მიმართულია ფერმერთა არაკეთილსინდისიერი ექსპლუატაციისკენ და ამას იგი გარკვეული მონოპოლისტური პრაქტიკის დანერგვის გზით ახერხებს; ან სხვა შემთხვევაში მსხვილი ბიზნესი საერთოდ უგულვებელყოფს მცირე ფერმერულ მეურნეობებს, რადგან მათი დაბალი მსყიდველობითუნარიანობისა და შეზღუდული მწარმოებლურობის გამო ცალკეულ მცირე მეურნეობებთან ეკონომიკური თანამშრომლობა არამომგებიანია. მსოფლიოს მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლად სერვის კოოპერატივების განვითარება ხელს უწყობს სამომხმარებლო და სარეალიზაციო ბაზრებზე მცირე ფერმერების წვდომის გაუმჯობესებას და ორივე სახის ზემოთ აღწერილი გამოწვევის დაძლევას (Schrader, 1989).


მცირე მეურნეობები/ფერმერები ბაზარზე საკუთარი სავაჭრო პოზიციების გასაძლიერებად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სერვის კოოპერატივების მომსახურებას. ისინი ერთიანდებიან იმისთვის, რომ საჭირო საწარმოო საშუალებების, კომპონენტებისა და სერვისების (როგორცაა მექანიზაცია, სასუქები, შხამქიმიკატები, კრედიტები, კონსულტაციები და მისთ.) მსხვილ მწარმოებლებთან, მომწოდებლებთან თუ შუამავლებთან მოლაპარაკებისას ერთიანი ძალით გამოვიდნენ. ამით ისინი ახერხებენ ე.წ. „სიმცირის სინდრომის“ დაძლევას, რაც ბაზარზე ცალკეული მცირე მეურნეობების ნაკლებად მოწინავე სავაჭრო პოზიციებში გამოიხატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო სერვის კოოპერატივის სახით ბაზარზე წარმოდგენილია შედარებით მსხვილი „ეკონომიკური აგენტი“, რომელიც თავის თავში აერთიანებს გარკვეული რაოდენობის ცალკეული მცირე მეურნეობების შესაძლებლობებს, მოთხოვნილებებსა და პოტენციალს და რომელიც თავის მხრივ ეხმარება მას ბაზარზე მცირე მეურნეობებისთვის დამახასიათებელ სისუსტეთ ავტომატურად დაძლევაში (Abele & Frohberg, 2003). ზემოქმულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია სერვის კოოპერატივების როლი სოფლად ეკონომიკის გამოცოცხლებასა და

განვითარებაში. განვითარებულ საბაზრო ქვეყნებში არსებული კოოპერაციული სისტემების უმრავლესობა სოფლად სწორედ სერვის კოოპერატივების სახით არის წარმოდგენილი.

მთლიანობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ორ ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს: **საწარმოო კოოპერატივები**, სადაც წევრები ერთობლივად აწარმოებენ პროდუქციას; ისინი ერთობლივად იყენებენ კოოპერატივის საერთო მფლობელობაში არსებულ ძირითად საწარმოო საშუალებებს, როგორცაა მაგალითად მიწა და მექანიზაციის საშუალებები. საბჭოთა კოლმეურნეობები და ებრაული „კიბუცები“ პრინციპში საწარმოო კოოპერატივებს წარმოადგენენ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ ეფუძნებიან კოოპერატივების ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ საერთაშორისო თანამეგობრობა კოოპერატივებად არ ცნობს. საწარმოო კოოპერატივებში ეკონომიკური საქმიანობა ეფუძნება კონსოლიდირებულ საწარმოო საშუალებებს, რაც, ზოგიერთების აზრით, მათ ინდივიდუალურ მცირე მეურნეობებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოებული მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ დიდი მასშტაბის ეკონომიკა პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეზე შედარებით არ გვხვდება. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ირკვევა, რომ საწარმოო კოოპერატივები ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით ნაკლებ ეფექტიანია. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიოს კოოპერატივების ალიანსის (ICA) მონაცემებით სამეწარმეო კოოპერატივების ხვედრითი წილი გლობალურ კოოპერაციულ სისტემაში 5%-ს არ აღემატება.

სერვისის კოოპერატივები კოოპერატივების ყველაზე მრავალრიცხოვან და ტიპურ კატეგორიას წარმოადგენს. ეს კოოპერატივები საკუთარ წევრებს წევრთა ქონებისა და მათ საკუთრებაში არსებულ ძირითადი საწარმოო საშუალებების კონსოლიდაციის გარეშე ეხმარებიან საჭირო საწარმოო აქტივებისა და კომპონენტების შეძენაში, პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე საჭირო სასოფლო-სამეურნეო და მარკეტინგული კონსულტაციების მიღებაში. ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე არასაბანკო სადეპოზიტო ფინანსური კოოპერატივები, თუმცა მათი საქმიანობის საბანკო ხასიათის გამო მათ, როგორც წესი, ცალკე ქვე-კატეგორიად გამოყოფენ. სერვის კოოპერატივების ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ტრანზაქციებში ყველაზე დიდია; მაგალითისთვის აშშ-ში იგი საშუალოდ 30%-ს შეადგენს, ევროკავშირში – 50%-ს, ხოლო იაპონიაში თითქმის 85%-ს.

რატომ კოოპერატივი?



ნახ. 1. კოოპერირების განმსაზღვრელი ფაქტორები

საქართველოში წინა საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ ქოტურად და არაგეგმაზომიერად წარმოებულმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმამ წარმოშვა 800,000-მდე მცირე გლეხური მეურნეობა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე თავისი ეკონომიკური ბაზის სიმწირიდან, დაბალი მსყიდველობით და კრედიტუნარიანობიდან გამომდინარე მსხვილ ბიზნეს ოპერატორებთან შედარებით მეტად არათანაბარ პირობებში იდგა; სწორედ ამიტომ ამ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა დღესაც ნატურალურ, არაკომერციულ მეურნეობას მისდევს. ქვეყნის სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მდგარი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი სწორედ რომ ამ გლეხური მეურნეობებით არის წარმოდგენილი. ნახ. 1. გვიჩვენებს თუ რა ფაქტორები განაპირობებს ინდივიდუალური გლეხური/ფერმერული მეურნეობების კოოპერირების სისტემის დანერგვის აუცილებლობას.

**ცხრილი 1. საოჯახო მეურნეობების საშუალო ზომა
საქართველოსა და დსთ ცალკეულ ქვეყანაში¹**

ქვეყანა	მიწის ფართობი (ჰა)	ნაკვეთების რაოდენობა (სამოსახლოს წინამდებარე ნაკვეთის გამოკლებით)
საქართველო	0.96	1.3
აზერბაიჯანი	1.86	1.4
ყირგიზეთი	3.80	1.2
ტაჯიკეთი	3-5	1.3
უკრაინა	4.6	1.7

მოწინავე საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და მწირი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური ბაზის პირობებში დარგის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საწყისეზზე დაფუძნებული ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს ყველაზე სიცოცხლისუნარიან სისტემას, რომლის პირობებშიც აგრო ბიზნეს სუბიექტებს და მათ შორის განსაკუთრებით მცირე ფერმერებს, საშუალება ეძლევათ მაქსიმალურად აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა, ხოლო სამომხმარებლო და სარეალიზაციო ბაზრებზე გაამყარონ თავიანთი სავაჭრო პოზიციები შემდეგი სახის ეკონომიკურ საქმიანობათა წარმატებული განხორციელების გზით: *კრედიტები და ანაზრები; მარკეტინგი; წარმოების მომარაგება; დამატებითი ღირებულების შექმნა (შენახვა, გადამამუშავება, შეფუთვა).*

ცხრილი 2. სერვის კოოპერატივების განვითარება ცალკეულ ქვეყნებში²

ქვეყანა	წელი	სერვის კოოპერატივების რაოდენობა	წევრთა რაოდენობა	ფერმების რაოდენობა	ფერმები თითო წევრზე გადაანგარიშ.	ფერმები თითო კოოპერატივზე გადაანგარიშ.
საფრანგეთი	2010	2900	500,000	516,100	1	178
უნგრეთი	2007	58	20,177	626,300	31	10,798
იტალია	2008	5,800	900,000	1,679,400	2	290
ნიდერლანდები	2010	60	100,000	70,000	1	1,167
ესპანეთი	2010	3,989	1,160,300	967,290	1	242

¹ წყარო: Lerman Z.&Sedik D. 2014

² წყარო: France: (Eurostat, 2013), (Filippi, 2012); Hungary: (Szabo, 2012); Italy: (Bono, 2012); Netherlands: (Bijman, van der Sangen, Poppe and Doorneweert, 2012); Spain: (Giagnocavo and Vargas-Vassero 2012) and (Eurostat 2013)

4. ფერმერები და მათი ორგანიზაციები ევროკავშირში

ფერმერთა ორგანიზაციებსა და გაერთიანებებთან მიმართებაში ძალიან ხშირად ადგილი აქვს ფუნდამენტურ შეცდომას, კერძოდ, თითქოს მათი სამმართველო სტრუქტურების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, მათდამი მხარდამჭერი პოლიტიკის გამომუშავებაც უნიფიცირებულ მიდგომას საჭიროებს. სინამდვილეში, ფერმერთა ორგანიზაციები მეტად მრავალფეროვანია და მათი მიზნები და მისიაც ერთმანეთისგან ხშირად განსხვავდება. ზოგადად შესაძლებელია ფერმერთა გაერთიანებები ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს: *კომერციულ და არაკომერციულ* გაერთიანებებად, თუმცა ორივე კატეგორია გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს კერძო სამართლის, ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებულ სუბიექტებთან, რომლებიც მოქმედებენ მათი წევრების სახელით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ფერმერთა კომერციული გაერთიანებების მიზანია ხელი შეუწყოს საწარმოო ხარჯების მინიმუმადე დაყვანას, საერთო შემოსავლების ზრდასა და ბიზნეს რისკების შემცირებას, რაც უზრუნველყოფს წევრი ფერმერების ინდივიდუალურ წარმოებათა გაფართოებას, მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასა და ბაზრებზე სავაჭრო პოზიციების გამყარებას. ეს გაერთიანებები უმთავრესად წევრთა ინდივიდუალური სოციალური და ეკონომიკური ინტერესების მიხედვით ოპერირებენ და არა კორპორატიული კაპიტალის დაგროვების მიზნით. ამდენად მათი მოაზრება სხვა კაპიტალზე ორიენტირებული ბიზნეს ფორმებისგან განსხვავებით უნდა მოხდეს.

ფერმერთა კომერციული გაერთიანებები 5 ძირითად ქვეტიპად იყოფა:

- მწარმოებელთა ჯგუფები;
- საწარმოო კომპონენტებით მომმარაგებელთა ჯგუფები (სასუქები, მექანიზაცია, კრედიტი და მისთ.);
- სერვის ჯგუფები (ხელოვნური განაყოფიერება, ვეტერინარია, მარკეტინგი და მისთ.);
- სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები (ახალგაზრდა ფერმერთა კლუბები, სახალხო მრეწველთა ჯგუფები და მისთ.)


დასავლეთ ევროპაში ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს რამდენიმე ძირითადი სტრატეგიული მახასიათებელი აერთიანებს; კერძოდ, ისინი: ა) მარტივი, ნათელი და რეალისტური მიზნებით ხელმძღვანელობენ; ბ) გამოირჩევიან ფინანსური გამჭვირვალობით და ორიენტირებულნი არიან ბაზრის მოთხოვნილებაზე; და გ) საქმიანობის საწყის ეტაპზე მაინც, ორიენტირებულნი არიან ერთ სპეციფიურ საწარმოო მიმართულებაზე (მაგ. ყველის, ღვინის, თხილის წარმოება და მისთ.) და ამ საწარმოო მიმართულების შესაბამისი პროდუქტის სარეალიზაციო

ბაზრებზე. ამგვარი ჯგუფების წევრები სარგებელს უმთავრესად არა მათ მიერ ინვესტირებული კაპიტალის, არამედ ჯგუფის ფარგლებში გაწეული მომსახურების მეშვეობით იღებენ.

დროთა განმავლობაში აღნიშნული ჯგუფების დიდი ნაწილი განვითარდა და გაიზარდა, რაც უფრო მეტად მათ მიერ გარკვეული რეზერვების მობილიზებისა და კარგად გააზრებული სტრატეგიის საფუძველზე ამ რეზერვების ინვესტირებით იქნა მიღწეული. სტრატეგიისა და ინვესტირების გეგმის გააზრებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდათ და ეკუთვნით ჯგუფის წევრ იმ ფერმერებს, რომელნიც გამორჩეულნი არიან ლიდერისა და სტრატეგიული აზროვნებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით. ამ ჯგუფებში გაწევრიანება ნებაყოფლობითია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომია. თითოეული კონკრეტული ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე მისი წევრები აწესებენ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს.

დასავლეთ ევროპაში კომერციული ფერმერული მეურნეობის საშუალო ზომა 18,7 ჰა-ს შეადგენს და იგი, როგორც წესი, ერთ, შთამომავლობით ფერმერულ, ოჯახს ეკუთვნის. იმის მიუხედავად, რომ ფერმერული მეურნეობის საშუალო მასშტაბი შესაძლებელია აშშ-ს ანალოგიებთან შედარებით საკმაოდ მცირედ მოგვეჩვენოს, იგი მაინც მაღალი კომერციული ეფექტიანობით გამოირჩევა. ამ ფერმერულ მეურნეობათა მომარაგებისა და მათი პროდუქციის რეალიზაციის 50% სწორედ ფერმერულ კომერციულ ორგანიზაციებზე - კოოპერატივებზე მოდის. დასავლეთ ევროპაში დაახლოებით 40,000 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 660,000 კაცს ასაქმებს (წევრების გარდა) და მისი ნაერთი წლიური ბრუნვა საშუალოდ 300 მილიარდ ევროს აჭარბებს.

სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოოპერატივების ხვედრითი წილი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება (იხ. ნახ. 2.), თუმცა ზოგიერთი მსხვილი ევროპული აგრო-ბიზნეს სუბიექტი, მათ შორის რამდენიმე მსხვილი ბანკი, წარმოადგენს ფერმერთა კოოპერატივების საკუთრებას და იმართება ფერმერების მიერ. ასეთია მაგალითად: „კრედი აგრიკოლი“, „უნიონ ინ ვივო სირილზ“ (საფრანგეთი); „რაბობანკი“, „ვიონ მითი“, „ფრისლანდ კამპინა დეირი“, „ფლორა“ (ნიდერლანდები); „ქრაუნ მითი“ (დანია); „არლა ფუდს, მილკ ენდ დეირი“ (შვედეთი/დანია); „სვენსკა ლენტმანენ ანიმალ ფიდს“ (შვედეთი); „მეცელიიტო“ (ფინეთი); „ბაი ვა და აგრავის“ (გერმანია); „ქერი დეირი“ (ირლანდია) და სხვ. თითოეული ამ კოოპერაციული კომპანიის წლიური ბრუნვა 2 მილიარდ ევროს აჭარბებს, ხოლო მათი განვითარება დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ პირველადი კომერციული ჯგუფის შექმნიდან დაიწყო.



ნახ.2. სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოოპერატივების საბაზრო ხვედრითი წილი³

რაც შეეხება ფერმერთა არაკომერციულ გაერთიანებებს, ისინი სამ ძირითად სახეობად იყოფა: წარმომადგენლობითი, პროფესიული და ე.წ. „ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები“ (LAGs).

წარმომადგენლობითი ორგანიზაციები წარმოადგენენ ფერმერთა ინტერესების დამცველ ლობისტურ ორგანიზაციებს და ისინი მთელ ევროკავშირში გვხვდება. ზოგი ქვეყანა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ეროვნული გაერთიანებით და მთლიანად ფერმერების მიერ ფინანსდება, მაგ. ინგლისისა და უელსის ფერმერთა ეროვნული კავშირი (NFU), ანალოგიური გაერთიანებები შვედეთსა (LRF) და გერმანიაში (DBV); ზოგი კი ორ-ორი ეროვნული გაერთიანებით, მაგ., საფრანგეთში APCA და FNSEA, ესტონეთში EPKK და EPTK და ა.შ. ეროვნული გაერთიანებების გარდა არსებობს პან-ევროპული გაერთიანება COPA-COGECA, რომელიც 50 წლის წინ შეიქმნა და მის ძირითად მიზანს ფერმერთა გაერთიანებების ინტერესთა დაცვა წარმოადგენს ევროკომისიის და აგრეთვე გლობალურ დონეზე.

ცხრილი 3. ევროკავშირის 10 უმსხვილესი ს/სამეურნეო კოოპერატივი (2008 წ.)⁴

#	დასახელება	ქვეყანა	სექტორი	ბრუნვა (მლრ. ევრო)	წევრთა რაოდენობა	დასაკმებელი მუშახელი
1	FrieslandCampina	NL	რძე	9,481	15,837	20,568
2	Bay Wa	DE	მომარაგება	8,795	:	15,540
3	VION, Son en Breugel	NL	ხორცი	8,540	:	35,583
4	Metsaliitto	FI	ხე-ტყე	6,434	129,270	17540
5	Arla Foods	DK-SE	რძე	6,200	7,625	16,200
6	Danish Crown	DK	ხორცი	6000	10,700	23,500
7	AGRAVIS	DE	მომარაგება	5,811	:	4,000
8	Union IN VIVO	FR	მარცვლეული, მომარაგება	5,200	:	1,500
9	KERRY	IE	რძე	4,700	9,700	22,300
10	DLG	DK	მომარაგება	4,600	28,000	5,000

³ წყარო: (Copa-Cogeca 2010)

⁴ წყარო: (Copa-Cogeca 2010)

პროფესიული გაერთიანებები წარმოადგენს ფერმერთა, მეწარმეთა და მოვაჭრეთა დაჯგუფებებს კონკრეტული სამეწარმეო მიმართულების ან სპეციფიური პროფესიულ-დისციპლინური თემატიკის გარშემო. დასავლეთ ევროპაში ამ მხრივ განსაკუთრებით საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია გამოირჩევა, სადაც ვხვდებით მეღვინეობასთან, ყველისა და სხვა ბრენდული ხასიათის საწარმოო მიმართულებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და ადგილობრივ რეგიონულ გაერთიანებებს. ამგვარი გაერთიანებების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სპეციფიური პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა ამ პროდუქციის სტანდარტიზაციისა და ხარისხის დაცვის, გეოგრაფიული ადგილწარმოშობისა და დასახელების კონტროლის სისტემების ხელშეწყობის, აგრეთვე მარკეტინგისა და ბრენდირების სისტემების დანერგვა-განვითარების გზით.

„ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები“ (LAGs) ევროკავშირის მიერ განიხილება, როგორც სოფლად განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გაერთიანებები, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული, მარგინალური (მაგ. მაღალმთიანი) რეგიონებისთვის. აღნიშნულ გაერთიანებებში ფერმერებისა და მეწარმების გარდა წარმოდგენილი არიან საჯარო მოხელეები, კერძო სექტორი, ბიზნეს მენეჯერები, იურისტები, პედაგოგები და მისთ. ამ ჯგუფების საქმიანობა ძირითადად მიმართულია განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში ადგილობრივი სასოფლო თემების ჩართულობის უზრუნველყოფისკენ.

5. ფერმერთა ორგანიზაციები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - მსგავსება საქართველოს რეალობასთან

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნებაყოფლობითობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებულ ფერმერთა ორგანიზაციებს თეორიულად განვითარების პროცესებში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეკისრებოდეთ, თუმცა, პრაქტიკულად, ამ გაერთიანებათა ხვედრითი წილი ეკონომიკის განვითარებაში მეტად მცირეა და იგი 5%-ს არ აღემატება. როგორც ირკვევა ამ რეალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ კი ის, რომ გეგმიური ეკონომიკის პირობებში ძალმომრეობით დანერგილი „კოოპერაციული“ სისტემების კრახით გამოწვეული უნდობლობა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაძლეული, ასევე გარკვეული დრო დასჭირდება სოფლად სოციალური კაპიტალის ხარისხოვნების ამაღლებას, რომლის ამჟამინდელი დონე, ნეგატიური წარსულის გამო დღესაც საკმაოდ დაბალია.

ევროკავშირის სამეზობლო არეალის ბევრ ქვეყანაში საწარმოო და გადამამუშავებელი სიმძლავრეების უმრავლესობა დღესაც ვერ პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს. საწარმოო ძალები ფრაგმენტირებულია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ გარკვეულ რეგიონებში არის კონცენტრირებული. ადგილი აქვს მოძველებული და არაეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებას. დარგში ინვესტირების დონე მეტად დაბალია, რადგან თავად დარგი ინვესტორებისთვის მიმზიდველად არ ითვლება. კრედიტისა და ხარისხიანი საწარმოო კომპონენტების ხელმიუწვდომლობა იწვევს წარმოების დაბალ დონეს, რის გამოსასწორებლადაც საჭიროა კომერციული ფერმების კაპიტალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ფერმერული მეურნეობები ამ სახის ამოცანების გადაწყვეტას დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს და მათი ცხოვრების დონე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობები, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, მეტად დაბალია. ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს, რასაც განსაკუთრებით ამწვავებს მოსახლეობის და უფრო მეტად ახალგაზრდობის ქალაქად მიგრაციის განხორციელების ტენდენციები. სასოფლო ინფრასტრუქტურას (გზებს, კომუნიკაციებს, ჯანდაცვისა და სხვა სოციალურ დაწესებულებებს) ტრადიციულად ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ადგილობრივი წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობის პირობებში, ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე არსებული საკმაოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობების მიუხედავად, ადგილი აქვს სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების უწყვეტ ზრდას. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი ჯეროვან გამოყენებას საჭიროებს. აქ მეტად პერსპექტიული იქნებოდა ფერმერთა ორგანიზაციების განვითარება, თუმცა ეს უკანასკნელი მეტად დაბალი ტემპებით ვითარდება და ამის მიზეზი, ძირითადად, სახელმწიფო პოლიტიკის ან არაადეკვატურობაში ან არ არსებობაში მდგომარეობს.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების ბევრი ქვეყნის მთავრობა დღემდე ვერ აცნობიერებს და სკეპტიკურად უყურებს მცირე გლეხობისა და მისი დაჯგუფებების მნიშვნელობას დარგის, მთლიანობაში კი ქვეყნის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივასთან მიმართებაში. ამ ქვეყნებში განვითარების პოლიტიკა უფრო მეტად მიმართულია ისეთი სფეროებისკენ როგორცაა: ფასებისა და ბაზრების ლიბერალიზაცია, მიწების პრივატიზაცია, სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მორგება, რაც თავისთავად აუცილებელია, თუმცა ეკონომიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალის - მცირე გლეხობის უგულვებელყოფას არაფრით არ ამართლებს.

საქართველოს მსგავსად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობა კოოპერაციას ჯერ კიდევ აღიქვამს, როგორც კოლექტიური წარმოების ფორმას, რომელიც უნდა მოემსახუროს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ბაზრებს, თუმცა 1991 წლიდან მოყოლებული ამ ქვეყნების უმრავლესობამ მკვეთრად გამიჯნა მთავრობის როლი კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან მიმართებაში და დღეს რიგ ქვეყნებში საჯარო ადმინისტრაცია საერთოდ არ ერევა სოციალისტური დროის კოოპერატივების შიდა საქმეებში. რიგ ქვეყნებში (მაგ. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები, რუმინეთი, ბულგარეთი და მისთ.) კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დღემდე არსებობს, თუმცა ბოლო ოცი წლის მანძილზე მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ბევრ ქვეყანაში ნებადართულია სოფლად არსებული კოლექტიური აქტივების ყოფილი წევრებისთვის და მათი შთამომავლებისთვის გადაცემა. ხსენებულ აქტივებზე დაყრდნობით მათ საშუალება მიეცათ დამოუკიდებლად გაეგრძელებინათ ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა მათი უმრავლესობა უმოკლეს ხანში ან გაკოტრდა, ან ლიკვიდირებულ იქნა (როგორც საქართველოს შემთხვევაში).

ცალკეული ფერმერებისთვის ადეკვატური დახმარების გაწევის გარანტირება მხოლოდ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან მწარმოებელთა ჯგუფებს შეუძლიათ, თუმცა საწარმოო აქტივებისთვის საჭირო კაპიტალური რეზერვების აკუმულირება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს და დღემდე მათი მცირე რაოდენობის დაგროვება თუ მოხერხდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყოფილი სოციალისტური „კოოპერატივების“ ხელთ არსებული აქტივები მათი ახლებურ კოოპერაციულ სტრუქტურებში რეინვესტირების ნაცვლად ან ჩამოიწერა, ან ცალკეული ინდივიდების ხელში გადავიდა. აღნიშნულის შედეგად, მწარმოებლები ნაკლებად არიან ჩართული პროდუქციისთვის ღირებულების დამატების, მოსავლის შემდგომი გადამუშავებისა და ბაზრებთან ინტეგრირების პროცესებში. წარმატებული ტრანსფორმაციის მაგალითებს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში თუ შევხვდებით, მაგ., პოლონეთში, ესტონეთსა და სლოვენიაში რძის მწარმოებელი და გადამამუშავებელი კოოპერატივების სახით და ისიც იმიტომ, რომ მოხდა ძველი აქტივების გააზრებული და კანონიერი რეინვესტირება კოოპერირების ახლებურ სტრუქტურებში (ამასთან ნუ დაგვა-ვიწყდება, რომ სამივე ჩამოთვლილი ქვეყანა ამჟამად ევროკავშირის წევრია).

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფერმერთა ახლებური ორგანიზაციების განვითარებას ხშირ შემთხვევაში აფერხებს არასათანადო საკანონმდებლო ბაზა, ადმინისტრაციული ბიუროკრატია და დამაბრკოლებელი საგადასახადო კანონმდებლობა. ზოგიერთ ქვეყნებში ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო წარმოება გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებისგან, თუმცა საკმარისია ინდივიდუალური ფერმერული მეურნეობები ერთ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ, რომ ისინი

ჩვეულებრივი მომგებიანი ორგანიზაციის მსგავსად, მომენტალურად ექცვიან დამატებითი ღირებულების, საშემოსავლო და მოგების დასაბეგრ რეჟიმში. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული მოწყობის განვითარებას, დარგის კომერციალიზაციასა და დამატებითი ღირებულების შექმნას.

ფერმერთა ჯგუფებისთვის პრობლემას არა მხოლოდ კაპიტალური რეზერვების მობილიზება, არამედ კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებიც წარმოადგენს. აღნიშნულს ძირითადად განაპირობებს სათანადო საგირავნო უზრუნველყოფის შეუძლებლობა. ხშირ შემთხვევაში, ფერმერთა ჯგუფების ფორმირება მოტივირებულია მხოლოდ გარკვეული საგრანტო დაფინანსებისა და სუბსიდიების მიღების პერსპექტივით (აღნიშნულს საქართველოშიც ჰქონდა და აქვს ადგილი), რაც ფერმერებისთვის სიცოცხლისუნარიან და გრძელვადიან მოტივაციას არ წარმოადგენს. სახელმწიფოს მხრიდანაც სუბსიდირების სქემების ზემოქმედების შეფასებისას ხშირად ადგილი აქვს ცალსახა ინდიკატორების გამოყენებას, რაც ფერმერთა კომერციული ჯგუფების რაოდენობის უბრალოდ დათვლაში გამოიხატება და არა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ანალიზსა და შემდგომი მხარდაჭერისთვის შესაბამისი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებაში. ზემოთ ხსენებული მოტივაციით შექმნილ ჯგუფებს ხშირად არ გააჩნიათ განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და გეგმა, რაც მათ გარე დახმარების შეწყვეტის შემთხვევაში დაშლისა და ლიკვიდაციის რისკის წინაშე აყენებს.

მცირე მიწის ნაკვეთებზე დაფუძნებული ინდივიდუალური ფერმერული მეურნეობების წარმოების ორგანიზების დაბალი დონის მთავარი ნეგატიური შედეგი ამ მწარმოებლების დაბალ კონკურენტუნარიანობაში გამოიხატება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. წარმოების ორგანიზების დაბალი დონე ასევე მოასწავებს ბაზრების, მყიდველებისა და ფასების შესახებ ინფორმაციის დაბალ სანდოობასაც. ხშირად პროდუქცია ღირებულების დამატების გარეშე, პირდაპირ მინდვრიდან იყიდება. წარმოების ორგანიზების შემთხვევაში კი შესაძლებელი გახდებოდა პროდუქციის სათანადოდ შენახვა, დახარისხება და შეფუთვა.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) მარკეტინგული სისტემა ძირითადად არაფორმალურ ხასიათს ატარებს და იგი მეტწილად დამოუკიდებლად მოქმედი ინდივიდუალური მყიდველების სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, მოსავლის აღების სეზონის დადგომისას სპონტანურად ყალიბდება მცირე არაფორმალური ბაზრები, უფრო მეტად საავტომობილო გზების გასწვრივ. ბევრ ქვეყანაში მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა ფერმერებისთვის და გამოყო „საბითუმო“ საბაზრო სივრცე, სადაც ფერმერებს შეეძლოთ გამოეტანათ და გაეყიდათ პროდუქცია საცალო

და საბითუმო მყიდველებზე. ამ ბაზრებზე მოეწყო სასაწყობო ინფრასტრუქტურაც. ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ. პოლონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი) ამგვარი ბაზრების ორგანიზება სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსებით განხორციელდა და ამ პროცესში მწარმოებლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. უკრაინა), ამგვარი ბაზრების ორგანიზება მწარმოებლების მონაწილეობის გარეშე, კერძო კაპიტალის მეშვეობით განხორციელდა.

მცირე მწარმოებლებს ინდივიდუალურად არ შეუძლიათ მაქსიმალურად ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიკის შესაძლებლობებით, რაც, მაგალითად, საწარმოო კომპონენტების მომწოდებლებისგან საბითუმო ფასდაკლების მიღებაში გამოიხატება. ინდივიდუალური მეწარმე ცხადია ვერ ისარგებლებს ამგვარი შეღავათით, რადგან მისი ინდივიდუალური მოთხოვნილება ამა თუ იმ საწარმოო კომპონენტზე (სასუქი, შხამქიმიკატი, საწვავი და მისთ.) იმდენად დაბალია, რომ მომწოდებლის მხრიდან საბითუმო მოთხოვნად ვერ განიხილება.

დასავლეთ ევროპაში ფერმერთა ბევრი გაერთიანება სწორედ იმიტომ გაძლიერდა, რომ ინდივიდუალური ფერმერების საწარმოო მოთხოვნილებათა ერთ პოზიციად გაერთიანების ხარჯზე მსხვილ საბითუმო მომწოდებელთათვის მიმზიდველ კლიენტად იქცა; მეტიც, მათ გარკვეულ კომპონენტებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკუთარი ბიზნეს სისტემებიც კი შექმნეს, მაგალითად საწვავით, ფურაჟით, სათესლე და სანერგე მასალით მომარაგების, კრედიტებისა და ანაზრების, მექანიზაციის, რისკების დაზღვევის, ვეტერინარული, აგრონომიული და სხვა საკონსულტაციო სერვისების მიმართულებით.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფერმერთა ორგანიზაციების განვითარების მხარდასაჭერად საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მათთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა აუცილებელია, თუმცა, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის. თავისუფალი მეწარმეობა, დამოუკიდებლობა და მიწაზე კერძო საკუთრება თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომ, დღესაც სიახლეს წარმოადგენს და ამიტომ კოოპერატივებისა და კოოპერაციის მიმართ ბევრი ამჟამადაც სკეპტიკურად არის განწყობილი. საჭიროება მოითხოვს, რომ განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში უზრუნველყოფილ იქნეს ფერმერებისა და სასოფლო თემების მაქსიმალური ჩართულობა და ამ ჩართულობის ინსტიტუციონალიზაცია, რათა მათ როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე შეძლონ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ფინანსურ გადაწყვეტილებებზე ეფექტიანი ზემოქმედების მოხდენა.

6. ფერმერთა ორგანიზაციების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა ევროკავშირში

ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ნებაყოფლობით წევრობას ეფუძნება და ფერმერები თავიანთ ორგანიზაციებს დამოუკიდებლად აფინანსებენ. დაფინანსების წყაროს, ძირითადად, ჯგუფის წევრ ფერმერთა მიერ ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხები და წევრთათვის გაწეული სერვისისთვის გადახდილი საფასური წარმოადგენს. გარდა ამისა, კოოპერატივის ფარგლებში ფერმერები ახდენენ კაპიტალური რეზერვების აკუმულირებას, რაც მათ საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მოახდინონ ინვესტირება ან საჭირო კრედიტების ასაღებად საგირავნო გარანტიის უზრუნველყოფა. ბოლო ასი წლის განმავლობაში სახელმწიფო დამატებით, სხვადასხვა საფინანსო და არაფულადი მექანიზმების გამოყენებით, გარკვეულ დახმარებას უწევს კოოპერატივებს, განსაკუთრებით მათი არსებობის საწყის ეტაპზე.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში რძის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდასაჭერად 1933 წელს შეიქმნა რძის ე.წ. მარკეტინგული საბჭო. მის მიზანს ფერმერთათვის რძეზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა. საბჭოს მიერ ყოველწლიურად წარმოებდა ფერმერთაგან გარკვეული ხარისხის მიხედვით რძის შესყიდვა გარანტირებულ ფასად. ამ მექანიზმის წყალობით რძის მწარმოებელ კოოპერატივებს მიეცათ საშუალება, მიეღოთ სტაბილური შემოსავალი, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დააჩქარა მათ მიერ კაპიტალური რეზერვების აკუმულირებისა და წარმოების პროდუქტიულობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში სათანადო ინვესტირების პროცესები. კონკურენციის დაცვის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, 1994 წელს საბჭო გაუქმდა, რითაც ფერმერებს ერთი მხრივ მიეცათ სარეალიზაციო ბაზრების თავისუფლად და დამოუკიდებლად შერჩევის საშუალება და მეორე მხრივ, გაადვილდა ფერმერთა რეორგანიზება ახლებური კოოპერაციული სტრუქტურების გარშემო.

საფრანგეთში სახელმწიფო მხარდაჭერა უფრო მეტად მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირების განვითარებისკენ, იტალიაში - ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მწარმოებელთა ფედერირების მხარდაჭერისკენ, ბელგიაში აქცენტი გაკეთდა განათლებასა და საბითუმო ვაჭრობის ხელშეწყობაზე, ხოლო პორტუგალიაში სახელმწიფომ ხელი შეუწყო პროფესიული კავშირების ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში.

კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერის თვალსაზრისით სახელმწიფოს მინიმალური როლი ევროკავშირის ქვეყნებს შორის მხოლოდ ნიდერლანდებსა და დანიაში შეიმჩნევა. ამ ქვეყნებში საბაზრო კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბდა კონკრეტული პროდუქტის წარმოებასა და გადამუშავებაზე ორიენტირებული კოოპერატივები, რომლებიც მხოლოდ

გარკვეულ ბაზრებზე ოპერირებენ (მაგალითად „დენიშ ქრაუნი“ - ღორის ხორცის მწარმოებელთა კოოპერატივია, რომელიც, ძირითადად, ბრიტანულ ბაზარზე არის ორიენტირებული), თუმცა სახელმწიფოს მინიმალური როლი ამ პატარა ქვეყნებში იმით აიხსნება, რომ სოფლის მეურნეობა მათი ეკონომიკური განვითარებისა და საექსპორტო პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტია და „კოოპერირების“ კულტურა საუკუნეების განმავლობაში ამ საზოგადოებების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტიანი სისტემის არსებობა ხანგრძლივი და მშვიდობიანი განვითარების უწყვეტ პროცესს უკავშირდება. ამ პროცესში სოციალური და ეკონომიკური ფორმაციის კატაკლიზმური ხასიათის ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია, როგორც ეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოხდა.

ევროკავშირის დონეზე კოოპერატივებთან დაკავშირებით რაიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტი არ არსებობს. სათანადო კანონმდებლობა ევროკავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. ესპანეთსა და გერმანიაში, მაგალითად, არსებობს კოოპერატივების შესახებ კანონი, რომელიც ყველანაირი ფორმისა და დარგის კოოპერაციულ გაერთიანებას მოიცავს. სხვა ქვეყნებში კოოპერატივების მხარდამჭერი საკანონმდებლო დებულებები ან სამოქალაქო და კომერციულ (ბელგია), ან ე.წ. „სასოფლო“ კოდექსებში (საფრანგეთი) გვხვდება. ბრიტანეთში კოოპერატივების სარეგულაციო მექანიზმები კორპორატიულ კანონმდებლობაში გვხვდება, ხოლო დანიაში კოოპერატივების შესახებ სპეციფიური კანონმდებლობა საერთოდ არ არსებობს. მეორე უკიდურესობას წარმოადგენს იტალია და ესპანეთი, სადაც კოოპერატივების მხარდამჭერი დებულებები ამ ქვეყნების კონსტიტუციებშია (!) ასახული. ზოგიერთ ქვეყნებში შექმნილია და ფუნქციონირებს კოოპერაციის სათათბირო საბჭო (ბელგია, საფრანგეთი), რომელიც სხვადასხვა რეკომენდაციას აწვდის მთავრობას.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ საზოგადოებებში კოოპერაციის სარეგულაციო კანონმდებლობა კერძო მეწარმეობასთან დაკავშირებული ფართო საკანონმდებლო ბაზის ნაწილია და იგი მაქსიმალურად მოწოდებულია, არ ჩაერიოს კოოპერატივების მმართველ და საორგანიზაციო ასპექტების დეტალურ რეგულირებაში და ამით ხელი შეუწყოს ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობას. ბოლო წლებში დასავლეთ ევროპაში კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყო სურვილით, რომ კოოპერაციული ორგანიზაციებისთვის მიენიჭებინათ გარკვეული მოქნილობა, რათა ისინი გამკაცრებული კონკურენციის პირობებს მორგებოდნენ, თუმცა ყოველივე ეს განხორციელდა

დემოკრატიული კონტროლის კოოპერაციული პრინციპის განუხრელი დაცვით. მაგალითისთვის, საფრანგეთის კანონმდებლობით კოოპერატივებს საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საშუალება მიეცათ, თუმცა მსხვილი კორპორატიული კაპიტალის ინტერვენციის თავიდან აცილების მიზნით განისაზღვრა სამმართველო ხმების განაწილების გარკვეული კვოტები. ზოგიერთ კანონში კოოპერატივებს მიეცათ სხვა ბიზნეს ორგანიზაციებად გარდაქმნისა და რეორგანიზების უფლება (მაგ., შვედეთში 1987 წ. გერმანიაში კი 1994 წელს).

1957 წლის 25 მარტს რომში ხელმოწერილი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა ევროპის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა (CAP) და ევროკავშირის საერთო ბაზრის ორგანიზაციის (CMO) ფუნდამენტური პრინციპები და წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისთვის, და რომელთა შეცვლა მხოლოდ ყველა წევრი ქვეყნის თანხმობით არის შესაძლებელი.

CAP-ის ფარგლებში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ბაზრისა და შემოსავლების პირდაპირი მხარდაჭერის მექანიზმი (2012 წელს მთლიანობაში ამ ასიგნებებმა 43 მილიარდი ევრო შეადგინა), რომელიც თანადაფინანსების პრინციპით პირდაპირ სუბსიდიებს გასცემს ფერმერთა ორგანიზაციებზე. ამ სახსრებიდან საშუალოდ 7 მილიარდი ევრო ხმარდება სოფლად არასასოფლო-სამეურნეო და გარემოს დაცვითი საქმიანობით დაკავებულ ფერმერთა ორგანიზაციებს. ამ მექანიზმის მეშვეობით ფერმერთა ჯგუფებს ხელი მიუწვდებათ შედარებით იაფ ინვესტიციებზე, რომლის გამოყენებაც მათ შეუძლიათ კონკურენტული მარკეტინგული სტრუქტურების, დამატებითი ღირებულების შექმნის, პროდუქციის ბრენდირებისა და გეოგრაფიული დასახელების დაცვის სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით.

7. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ევროკავშირის წევრობის კანდიდატ და სამეზობლო არეალის ქვეყნებში

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისთვის მათი სასოფლო-სამეურნეო განვითარების პოლიტიკის ძირითად ორიენტირს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებისა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული (ე.წ. „Acquis Communautaire“) წარმოადგენს, თუმცა თითოეული კანდიდატი ქვეყნის სპეციფიკისა და მოთხოვნილებების, აგრეთვე მათი განვითარებისთვის სასოფლო-სამეურნეო დარგის გადამწყვეტი მნიშვნელობისა და არსებული სტრუქტურული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გათვალისწინებით, მათ მიეცათ დრო განვითარებინათ ისეთი ინსტიტუციური და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა თანდათანობით მოეხდინათ ევროკავშირთან

ინტეგრირება. 1999 წლიდან ევროკავშირის მიერ კანდიდატი ქვეყნებისთვის შემუშავდა სასოფლო-სამეურნეო სფეროში ინტეგრირების სპეციალური დახმარების პროგრამა - SAPARD, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შესაბამისი ბაზრების განვითარების მიმართულებით დაუახლოვდებოდნენ ევროკავშირის სტანდარტებს. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა განვითარების 7 წლიანი გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, რომლის ღირებულების 25%-ს დააფინანსებდა კანდიდატი ქვეყანა, ხოლო დანარჩენ 75%-ს – ევროკავშირი. ამ პროგრამის განსახორციელებლად თითოეულ კანდიდატ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ან განისაზღვრა სპეციალური სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო სექტორში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვასა და განვითარებაზე. პროგრამა მოიცავს ინვესტიციებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ფერმერთა ჯგუფების, მარკეტინგული და გადამამუშავებელი სიმძლავრეების განვითარების, მიწათსარგებლობის პოლიტიკის, განათლებისა და სასოფლო-სამეურნეო ინფრატრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით.

რაც შეეხება ევროკავშირის სამეზობლო არეალის ქვეყნებს (საქართველოს ჩათვლით), ევროკავშირის მიერ შემუშავდა სპეციალური სამეზობლო პოლიტიკის პროგრამა (ENP), რომლის მიზანია მეზობლებთან დაახლოების პროცესების ინიცირება. იგი ეფუძნება საერთო ფუნდამენტური ფასეულობების (დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ეფექტიანი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება) დანერგვასა და შესაბამისი ინსტიტუტების განვითარების მხარდაჭერას. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის მიერ შემუშავდა სპეციალური პროგრამა „საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების მხარდაჭერისთვის“ (ENPARD). ეს პროგრამა სამეზობლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერთა ჯგუფების განვითარებას. დარგში ამ მიმართულებით პირდაპირი ინვესტიციების ხელშეწყობის გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო დარგში შესაბამისი უწყებრივი სტრუქტურების განვითარებისა და დარგის საინვესტიციო მხარდაჭერის სათანადო სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით. აღნიშნული პროგრამის პირველი ფაზის განხორციელება უკვე დაწყებულია და 2015 წლისთვის დაგეგმილია მეორე ფაზის დაწყებაც, რომელიც ანალოგიური ხასიათის ინვესტიციებს გულისხმობს, ოღონდ მარგინალური და ნაკლებად უპირატესი (მაგ. მაღალმთიანი) რეგიონების დასახმარებლად.

ევროკავშირის სამეზობლო არეალის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის განსაზღვრის დამატებით სტიმულს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებების (DCFTA) დადების პერსპექტივაც წარმოადგენს, ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. აღნიშნული შეთანხმების დადება იგეგმება მიმდინარე 2014 წლის განმავლობაში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, რომელსაც ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერება.

8. პოლიტიკის ორიენტირები საქართველოსთვის

ნებისმიერ ქვეყანაში ფერმერთა ორგანიზაციების განვითარება დიდწილად დამოკიდებულია თვითონ ფერმერთ სურვილსა და მზაობაზე ითანამშრომლონ ერთმანეთთან საკუთარი ცხოვრების პირობებისა და წარმოების გაუმჯობესების მიზნით. იდეალურ შემთხვევაში სოფლად მწარმოებლები არ უნდა იყონ დიდად დამოკიდებულნი მთავრობის კეთილ პოლიტიკურ ნებაზე, მაგრამ მეორე მხრივ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ფერმერებს აუცილებლად სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა მათ შედარებით დროის მცირე მონაკვეთში შეძლონ საჭირო რესურსების მობილიზება, გააუმჯობესონ ცოდნა, უნარ-ჩვევები და ისწავლონ საბაზრო კონკურენციის პირობებში მოქმედება. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ კოოპერაცია თვითმიზანი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს სოფლად ეკონომიკის გამოცოცხლებისა და განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს, ამიტომ თვიდანვე უნდა განისაზღვროს, რომ კოოპერატივების მხარდაჭერა სოციალური დახმარების სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ იგი ბიზნესზე ორიენტირებული კომერციული ჯგუფების განვითარებას ემსახურება.

საქართველოში 2013 წლის ივლისში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის მიღებისა და ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნის (2013 წლის ნოემბერი) თანადროულად, ამ სისტემის განვითარების მხარდამჭერი გეგმაზომიერი ეროვნული პოლიტიკის შესამუშავებლად და განსახორციელებლად საკმაოდ ფუნდამენტური წანამდღვრები ჩამოყალიბდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ სპეციალური კანონის გარდა შესაბამისი ცვლილებები შევიდა სამეწარმეო და საგადასახადო კოდექსებში, აგრეთვე კანონში „გრანტების შესახებ“. ამ საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ფრიად შეღავათიან საკანონმდებლო და საგადასახადო რეჟიმში მოექცა, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზა და გატარებული ინსტიტუციონალური ღონისძიებები პოსტ-საბჭოთა სივრცისა და ევროკავშირის კანდიდატ ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით მეტად პროგრესულია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ინიციატივები მოქმედი პოლიტიკური თუ უწყებრივი ისტებლიშმენტის მიერ დამოუკიდებლად არ ყოფილა შემუშავებული, მის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყანაში არსებული საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციები და ექსპერტები. ამ თვალსაზრისით მთავრობისა და პარლამენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა საერთაშორისო დონორებთან, განვითარების სააგენტოებთან და ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და დიალოგისთვის უპრეცედენტო მზაობასა და ღიაობას, რის შედეგადაც მივიღეთ საწყისი ეტაპისთვის საკმაოდ მოწინავე საკანონმდებლო და სარეგულაციო ჩარჩოები.

პოლიტიკის განსაზღვრისთვის მთავრობის როლი შემდეგ საპროგრამო მიმართულებებსა და პრინციპებს უნდა დაეფუძნოს:

- ფერმერების საქმიანობაში ჩაურევლობა და კოოპერაციული პრინციპების დაცვა;
- ხელშემწყობი საკანონმდებლო და სარეგულაციო ბაზა;
- პოლიტიკური მხარდაჭერა;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეკონსტრუქცია;
- ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერა;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა (ფასები, ინფლაცია და მისთ.);
- საკონსულტაციო და სამეცნიერო მხარდაჭერა.

რაც შეეხება პროგრამულ ორიენტირებს, იგი სამ ძირითად ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ:

- ცნობიერების ამაღლება და განათლება;
- ინვესტიციები, სერვისები და ექსტენსია;
- ლობირება და ადვოკატირება.

მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თვითონ კოოპერაციული სისტემის მრავალფეროვნება და სირთულე მოითხოვს, სამივე აღნიშნულ სფეროში მხარდაჭერის პროგრამები პარალელურად დაიგეგმოს და განხორციელდეს.

ცნობიერების ამაღლება და განათლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ნეგატიური საბჭოთა მემკვიდრეობის, აგრეთვე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში (1991-2012) დარგის მნიშვნელობის უგულვებელყოფის გამო, რამდენადმე საგულისხმო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება

კოოპერაციულ სისტემასთან მიმართებაში არ არსებობს და შეუძლებელია რომ არსებობდეს, ამიტომ მხარდამჭერი პოლიტიკის ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფო მართვის სისტემის, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე უწყებრივი უნარიანობის გაძლიერება უნდა წარმოადგენდეს.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის როგორც წარმატებული ასევე წარუმატებელი მაგალითებისა და გამოცდილების გაცნობა. ამ მხრივ მეტად ეფექტიანია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ კარგად გააზრებული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული სახელმწიფო მოხელეებისა და ფერმერებისთვის სასწავლო და გაცნობითი ტურებისა და სადემონსტრაციო დღეების მოწყობა და ამ მიზნით შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება.

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვისას მედიისა და პუბლიკაციების როლი მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ აღნიშნულის გათალისწინება პროგრამული დაგეგმვისას აუცილებელია.

დამატებით ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების შემუშავებისა და განხორციელების საჭიროებას ისეთ სფეროებში როგორცაა: ა) ბიზნეს-დაგეგმვა; ბ) მენეჯმენტი (ფინანსური და საოპერაციო); გ) მარკეტინგი და მოლაპარაკებათა უნარ-ჩვევები.

ინვესტიციები, სერვისები და ექსტენსია

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ფერმერთა კომერციულ ჯგუფებში საჭირო კაპიტალის შექმნასა და რეზერვების დაგროვებას, რომელიც საკანონმდებლო-სარეგულაციო ბაზის დახვეწის გარდა მხარდაჭერილი იქნება კაპიტალური ინვესტიციების თანა-დაფინანსების სქემების შემუშავებისა და განხორციელების გზით. ინვესტიციებმა უნდა მოიცვას წარმოებისთვის დამატებითი ღირებულების შექმნისთვის აუცილებელი მიმართულებები, როგორცაა: ა) გადამამუშავებელი, დამხარისხებელი, სასაწყობე და შესაფუთი სიმძლავრეები/დანადგარები, საწარმოო ხაზები და მექანიზაციის საშუალებები; ბ) პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველმყოფი სისტემების დანერგვაში ინვესტირება (სერტიფიცირება, ბრენდირება, ლოგისტიკა და მისთ.); გ) კოოპერატივების ორგანიზაციულ განვითარებაში ინვესტირება (საბუღალტრო და ანგარიშგების სისტემების განვითარების, ბიზნეს-დაგეგმვის, აუდიტისა და იურიდიული მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება).

ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელების დაგეგმვისას უნდა შემუშავდეს ბენეფიციართა შერჩევის ისეთი კრიტერიუმები, რომელიც გამოარჩევს სათანადო პოტენციალის და/ან ცოდნისა და უნარის მქონე ინდივიდებსა და მათ ჯგუფებს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მთავრობამ ხელი შეუწყოს ვიწრო სპეციალიზაციის ჯგუფებს, რომლებიც

ორიენტირებულნი არიან გარკვეული პროდუქტის წარმოებაზე, გადამუშავებასა და რეალიზაციაზე (მაგ. მარცვლეული, კარტოფილი, თხილი, რძე, ვაშლი, მეცხვარეობა და მისთ.). ეს მიდგომა ხელს უწყობს კონკრეტული პროდუქტების საწარმოო-სარეალიზაციო ციკლის განვითარებას და საბაზრო ინტეგრაციის პროცესების გაძლიერებას.

ასევე, მნიშვნელოვანია ამ პროცესებში მთავრობამ მოახდინოს დარგში მოქმედი დონორების ძალისხმევების კოორდინაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული წინააღმდეგობრივი და ხშირად დამაბნეველი საპროგრამო გზავნილების შეტანა საზოგადოებაში. სწორედ ამ მიზნისთვის აუცილებელია მთავრობის კარგად გააზრებული გრძელვადიანი პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული ექსტენსიისა და აგრო-კონსულტაციების სისტემის განვითარებას შესაბამისი სატრენინგო და ტექნოლოგიური სახელმძღვანელოების, მეგზურებისა და სხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების შემუშავების, გამოცემისა და გავრცელების გზით. გრძელვადიან პერსპექტივაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ სისტემის განვითარებაში ახალგაზრდობის ჩართულობის უზრუნველყოფას. ასევე საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ორგანიზაციული მართვის სპეციალისტების მომზადება-გადამზადების სისტემის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაკვეთის სქემების განვითარება, რომელიც ფერმერთა ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა იმართოს.

გარდა ამისა, ადგილობრივ ადმინისტრაციებში ყურადღებით უნდა განიხილონ სასოფლო-სამეურნეო სამსახურების განვითარების საკითხები და მათი ე.წ. სოფლის მეურნეობის პალატებით ჩანაცვლების შესაძლებლობები, რომლებიც სავაჭრო პალატის მსგავსად გაცილებით უფრო ინკლუზიურ და ქმედით სტრუქტურას წარმოადგენს. ფერმერთა ჯგუფების ექსტენსიის მიმართულებით მხარდაჭერა ასევე შესაძლებელია სპეციალისტ ფერმერთა კლუბების, ახალგაზრდა ფერმერთა და ფერმერთა სპეციალიზებული ასოციაციების განვითარების მხარდაჭერით.

ლობირება და ადვოკატირება

მთავრობამ ღრმად უნდა გააცნობიეროს განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში ფერმერებისა და სასოფლო თემების მაქსიმალური ჩართულობის უდიდესი მნიშვნელობა. ამდენად, აუცილებელია ეროვნულ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ფერმერთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, ლობისტური ჯგუფებისა და სამოქალაქო მონიტორინგის ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერა. საჭიროა ხელი შეეწყოს სხვადასხვა მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი ფორუმების შექმნასა და

განვითარებას, რაც მთავრობას ერთი მხრივ საშუალებას მისცემს მუდმივი დიალოგის რეჟიმში იმყოფებოდეს მოსახლეობასთან და მეორე მხრივ საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი პრობლემები და ამოცანები. დამატებითი ორიენტირებისთვის რეკომენდებულია შრომის მსოფლიო ორგანიზაციის 2002 წლის რეკომენდაცია #193 „კოოპერატივების ხელშეწყობა“ (ILO, 2002) და კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსის „განაცხადი კოოპერატივების იდენტობის შესახებ“ (ICA, 1995) გამოყენება.

ბიბლიოგრაფია

- Abele, S. and Frohberg, K., eds. 2003 Subsistence Agriculture in Central and Eastern Europe: How to Break the Vicious Circle, Studies on the Agricultural and Food Sector in Central and Eastern Europe, Vol. 22, IAMO, Halle.
- Bijman, J., G. van der Sangen, K.J. Poppe and B. Dooreweert (2012). “Support for Farmers’ Cooperatives; Country Report The Netherlands”. Wageningen: Wageningen UR.
- Bono, P. (2012). “Support for Farmers’ Cooperatives; Country Report Italy”. Wageningen: Wageningen UR.
- Copa-Cogeca (2010) Agricultural Cooperatives in Europe. Main issues and trends Brussels, Belgium
- Eurostat. (2013), Agricultural Holdings, 2000-2010.
- Filippi, M. (2012). “Support for Farmers’ Cooperatives; Country Report France”. Wageningen: Wageningen UR.
- Giagnocavo, C., Vargas-Vasserot, C.,(2012), “Support for Farmers’ Cooperatives; Country Report Spain”. Wageningen: Wageningen UR.
- ICA (1995) Statement of Cooperative Identity
<http://www.caledonia.org.uk/papers/ICA%20Statement%20of%20Cooperative%20Identity.pdf>
- ILO (2002). Recommendation R193 – Promotion of Cooperatives Recommendation, 2002 (No. 193)
- Lerman Z.& Sedik D. (2014), Agricultural Cooperatives in Eurasia FAO, March 2014.
- Schrader, L. 1989. “Economic Justification” in D.Cobia, ed., Cooperatives in Agriculture (Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall), pp. 121-136.
- Szabo, G.G. (2012). “Support for Farmers’ Cooperatives: Country Report Hungary”. Wageningen: Wageningen UR.
- Toloraia I., Angelovski D. October (2011). Assessment of the constraints faced by selected farmer organizations and legal entities owned by small scale farmers in Georgia to achieve their potential. FAO.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

დავით გაბუნია

1. შესავალი

პროდუქტის მახასიათებლები, წარმოების ნოუ-ჰაუ და მოხმარებასთან დაკავშირებული გამოცდილება დროთა განმავლობაში იძენს მაღალ რეპუტაციას, აკუმულირდება უნიკალური პროდუქტის დასახელებაში და იქცევა ამ პროდუქტის ღირებულ არამატერიალურ აქტივად. თუ ეს აქტივი დაკავშირებულია პროდუქტის წარმომავლობის გეოგრაფიულ ადგილთან, მაშინ ამ აქტივის აღიარება ხდება ამ პროდუქტის მიმართ გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებით. დღესდღეობით მსოფლიოში ცნობილია ათი ათასამდე გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 50 მლრდ დოლარს. ზოგიერთი მათგანი მაგ.: შამპანური, კონიაკი, პარმასანი, როქფორი, ბორდო ან ბურგუნდი დიდი ხანია საყოველთაოდ არის ცნობილი მსოფლიოში, თუმცა ბოლო ათწლეულებში სულ უფრო მეტი ახალი გეოგრაფიული აღნიშვნა ხდება აღიარებული და პოპულარული როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული აღნიშვნების ძირითადი რაოდენობა (90%) ჯერ-ჯერობით მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალ 30 ქვეყანაზე¹. ამ ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციები უკავიათ საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს და სხვა ევროპულ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ მაღალხარისხიანი და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოების განსაკუთრებით მდიდარი და მრავალსაუკუნო ტრადიციები. მაგალითად, გეოგრაფიული აღნიშვნებით მონიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საფრანგეთში წელიწადში შეადგენს 19 მლრდ. ევროს და მოიცავს 600-ზე მეტ დასახელებას. ამ პროდუქციის წარმოებაში ჩართულია 138 000 საწარმო. საფრანგეთის ღვინის ექსპორტის 85% მოდის გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოებზე². ბოლო პერიოდში განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი გეოგრაფიული აღნიშვნებისადმი. ის აღიქმება როგორც ეფექტური ინსტრუმენტი,

¹ Guide to Geographical Indications (Linking Products and Their Origins), International Trade Center 2009, <http://www.intracen.org/WorkArea/DownloadAsset.aspx?id=37595>

² Summary of European legislation on protection of Geographical Indications, http://www.ipr2.org/storage/European_legislation_on_protection_of_GIs1011.pdf

რომელიც ემსახურება ბუნებრივ პირობებთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ადგილობრივი უნიკალური პროდუქციის ცნობადობის ზრდას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას. ამის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს იამაიკის ყავა, ბასმაჩის (ინდოეთი) ბრინჯი, ტეკელა (მექსიკა) და სხვა.

2. გეოგრაფიული აღნიშვნის არსი

2.1. გეოგრაფიული აღნიშვნის ზოგადი დეფინიცია

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებსა და ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში ჩვენ გვხვდება გეოგრაფიული აღნიშვნის განსხვავებული დეფინიციები, უცვლელი რჩება მისი არსი, რომელიც შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს - გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოადგენს გეოგრაფიული ადგილის სახელს, რომელიც გამოიყენება ისეთი პროდუქტის აღსანიშნავად, რომლის განსაკუთრებული ხარისხი, თვისებები ან რეპუტაცია განპირობებულია წარმოების ადგილისათვის დამახასიათებელი გარემო პირობებითა და ადამიანური ფაქტორით. გარემო პირობებში იგულისხმება ნიადაგისა და წყლის შემადგენლობა, კლიმატი, ლანდშაფტი და სხვა ბუნებრივი მახასიათებლები. ადამიანური ფაქტორი მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული წარმოების ტრადიციულ ცოდნასა და გამოცდილებას.

გეოგრაფიული აღნიშვნის არსიდან და არსებული დეფინიციებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი სამი ძირითადი წინაპირობა:

- განსაკუთრებული ხარისხის, თვისებების ან რეპუტაციის პროდუქტი.
- პროდუქტის წარმოების ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი.
- პროდუქტის ხარისხისა და მახასიათებლების ნათლად გამოკვეთილი კავშირი კონკრეტული ადგილის ბუნებრივ პირობებთან და ადამიანურ ფაქტორთან.

გეოგრაფიული აღნიშვნების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ორმაგი ბუნება. ერთი მხრივ გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს და შესაბამისად მოითხოვს ისეთივე დაცვას, როგორც პატენტები, სასარგებლო

მოდელები, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი და ა.შ.³. მეორე მხრივ ეს არის ნებაყოფლობითი სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გეოგრაფიული აღნიშვნით მონიშნული პროდუქტის მახასიათებლები და მისი წარმოების პირობები⁴.

2.2. გეოგრაფიული აღნიშვნა - ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი

ნებისმიერი სხვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მსგავსად⁵, გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია მხოლოდ მის მფლობელს. გეოგრაფიულ აღნიშვნაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობა უმნიშვნელოვანესი პირობაა გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირების, განვითარებისა და ფართოდ აღიარებისათვის განხორციელებული ინვესტიციების დასაცავად. გეოგრაფიული აღნიშვნის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის მეშვეობით ხდება ერთი პროდუქტის მეორისაგან განსხვავება. გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს რიგი ძირეული განსხვავება:

- გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებს პროდუქტის წარმოშობის გეოგრაფიულ ადგილს და არა მწარმოებელ კომპანიას;
- გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოადგენს კოლექტიურ საკუთრებას (ფერმერები, მწარმოებლები, კომერციული ორგანიზაციები და სხვ.);
- გეოგრაფიული აღნიშვნა არ არის ტრანსფერებადი, დაუშვებელია წარმოების სხვა გეოგრაფიულ არეალში გადანაცვლება.

გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვა ხორციელდება სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანიზაციაში რეგისტრაციის, საერთაშორისო ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

2.3. გეოგრაფიული აღნიშვნა – ნებაყოფლობითი სტანდარტი

გეოგრაფიულ აღნიშვნას, როგორც სტანდარტის საფუძველს, მისი სპეციფიკაციები წარმოადგენს⁶ ⁷. ამ სპეციფიკაციებს მიეკუთვნება:

³ The Agreement on Trade Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS), http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips_01_e.htm

⁴ The official quality and origin signs, http://developpementdurable.ac-dijon.fr/IMG/pdf/Fiches_Siqo_version_anglaise.pdf page 3.

⁵ ინტელექტუალური საკუთრება. ისმო-საქპატენტი. თბილისი. 2001.

⁶ Regulation (EU) No 1151/2012 Of The European Parliament and of the Council of 21 November 2012 on quality schemes for agricultural products, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:343:0001:0029:en:PDF>

⁷ Protection of Geographical Indications, Designations of Origin and Certificates of Specific Character for Agricultural Products and Foodstuffs, Working Document of the Commission Services 2004. ec.europa.eu/agriculture/publi/gi/broch_en.pdf

- პროდუქტის დასახელება.
- პროდუქტის აღწერა;
- პროდუქტის დამზადების პროცესის აღწერა;
- პროდუქტის წარმოების გეოგრაფიული არეალის საზღვრები;
- პროდუქტის განსაკუთრებული თვისებების ამ ადგილთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტები;
- პროდუქტის ეტიკეტირება;
- პროდუქტის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების სრული ჯაჭვის კონტროლის (შიდა და გარე) მექანიზმის აღწერა.

გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სპეციფიკაციებით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ,

პროდუქტის დასახელება: ძირითადად გამოიყენება შესაბამისი არეალის გეოგრაფიული სახელი ან სხვა აღნიშვნა, რომელიც ამ ადგილთან ასოცირდება. გეოგრაფიული სახელის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითებია: ბორდო, ბურგუნდი, ხვანჭკარა, ქინძმარაული. გეოგრაფიულ ადგილთან ასოცირებული სახელის მაგალითს წარმოადგენს „ფეტა“, რომელიც გამოიყენება როგორც ცნობილი ბერძნული ყველის გეოგრაფიული აღნიშვნა.

პროდუქტის აღწერა: უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს

- უშუალოდ პროდუქტის ძირითად ფიზიკურ, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს;
- ინფორმაციას ნედლეულსა და ინგრედიენტებზე, რომლებიც უნდა ან არ უნდა გამოიყენებოდეს პროდუქტის წარმოებისას;
- პირველადი პროდუქტის (მაგ. ყურძნის) მოყვანის აგროტექნოლოგიური საშუალებების და ტექნიკური ხერხების შესახებ;
- ცხოველური პროდუქტებისათვის – ჯიშების, ცხოველთა მოშენების, დაკვლის ასაკის და სხვ. შესახებ;
- მცენარეული პროდუქტებისათვის – ჯიშების, მოსავლის აღების, შენახვისა და სხვ. შესახებ.

პროდუქტის წარმოების აღწერა:

- უნდა ეხებოდეს დამზადების პროცესის ყველა ეტაპს (ნედლეულის დამზადება, ტრანსპორტირება, გადამუშავება და ა.შ.): საჭირო კონდიციამდე მიყვანა, შეფუთვა, ეტიკეტირება და სხვ.;

- საჭიროების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს პროდუქტის წარმოებაში გარკვეული ინგრედიენტების გამოყენების დაუშვებლობა.

გეოგრაფიული არეალის საზღვრები: საზღვრების დადგენა ხდება ოთხი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით:

- ფიზიკური კრიტერიუმი – ნიადაგი, კლიმატური პირობები, ტოპოგრაფია, წყლის მიწოდება და სხვ.;
- ადგილობრივი პრაქტიკა – კულტივაციის წესები, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, მოსავლის აღებისა და გადამუშავების პრაქტიკა და სხვ.
- პროდუქციის წარმოების ისტორია და რეპუტაცია;
- პროდუქციის მწარმოებლების დისლოკაცია.

პროდუქტის კავშირი ადგილობრივ პირობებთან: გეოგრაფიულ აღნიშვნად აღიარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის განსაკუთრებული თვისებების შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ბუნებრივ და კლიმატურ პირობებთან კავშირის გამოვლენასა და აღწერას. კავშირის დასადასტურებლად უნდა აღიწეროს გეოგრაფიული ადგილის ის მახასიათებლები, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს პროდუქტის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე. გარემოს ასეთი მახასიათებელთაგან უმნიშვნელოვანესია:

- სეზონური ტემპერატურული რეჟიმი, ტენიანობა, ქარი, ნიადაგისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები, ნაკვეთების ექსპოზიცია, სამოვრების მცენარეული შემადგენლობა;
- ადგილობრივი გენეტიკური რესურსი – მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც ადაპტირდნენ ადგილობრივ პირობებთან და განაპირობებენ პროდუქტის განსაკუთრებულ ხარისხს;
- ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული პროდუქტის წარმოების ტრადიციული ცოდნა და გამოცდილება.

სპეციფიკაციებთან შესაბამისობის კონტროლი: გეოგრაფიული აღნიშვნის სისტემის ეფექტურობას მეტწილად განსაზღვრავს კონტროლის სისტემის არსებობა, რომლის მეშვეობით მოწმდება პროდუქტის მახასიათებლების შესაბამისობა დადგენილ სპეციფიკაციებთან. პროდუქტის შესაბამისობის შემოწმება ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს:

- ნედლეულსა და დამზადების პროცესებს, როგორც ეს დადგენილია სპეციფიკაციებში;

- პროდუქტის მიკვლევადობას, რომელიც ადასტურებს მის წარმოშობას დადგენილი გეოგრაფიული არეალიდან;
- საბოლოო პროდუქტის შეფუთვას, ეტიკეტირებასა და ორგანოლეპტიკას.

კონტროლის განხორციელება საჭიროებს სპეციფიკაციებით დადგენილი მოთხოვნების გაზომვადობას, რომელიც წარმოადგენს პროდუქტის პარამეტრების დადგენილ მახასიათებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საფუძველს. ასეთ მოთხოვნებში უნდა შედიოდნენ საბოლოო პროდუქტში შეუმჩნეველი, მაგრამ პროდუქტის ხარისხისა და იმიჯისათვის მნიშვნელოვანი ელემენტები. მაგ.: მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, ადგილობრივ ლანდშაფტთან მისადაგებული აგროკულტურული პრაქტიკა, გამოყვანა/დამწიფების ხანგრძლივობა, მცენარეების განლაგების სიხშირე, მოსავლის რაოდენობა ერთ ჰა-ზე და სხვა. დადგენილი მოთხოვნების მონიტორინგი და ინსპექტირება უნდა ხორციელდებოდეს საკონტროლო (შიდა და გარე) გეგმის საფუძველზე. საკონტროლო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა შემოწმდეს პროდუქტის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. საკონტროლო გეგმა განსაზღვრავს პროდუქტისა და მისი დამზადების პროცესის სენსიტიურ წერტილებს და მათი შემოწმების საშუალებებს. გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტების შემთხვევაში პროდუქტის ავთენტურობის შესაფასებლად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ორგანოლეპტიკურ (გრძნობის ორგანოებით – გემო, სუნი, ფერი, ტექსტურა და ფორმა) ტესტირებას, რომელსაც ატარებს მაღალკვალიფიციური ჟიური.

3. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

3.1. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მნიშვნელობა

გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენებას და დაცვას ახლავს სამი ძირითადი დადებითი მომენტი⁸:

- **ეკონომიკური** – კონკურენტუნარიანობის ზრდა, მაღალი ფასები, ბაზრის გაფართოება;
- **ბუნებადაცვითი** – ლანდშაფტის, ადგილობრივი ჯიშების, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

⁸ Fao guide, linking people, products and places, www.fao.org/docrep/013/i1760e/i1760e.pdf

- **სოციალური** – მოსახლეობის წარმოების ერთიან ჯაჭვში ჩართვა, დამატებული ღირებულების სამართლიანი განაწილება, შემოსავლების ზრდა და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის ადგილებზე დამაგრების ხელშეწყობა.

როგორც გამოკვლევები აჩვენებს, გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცულ პროდუქტებზე ბაზარზე მაღალი მოთხოვნილებაა და შესაბამისად, მყიდველი მზადაა გადაიხადოს მეტი თანხა მათ შესაძენად. ევროპულ ბაზრებზე გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული სხვადასხვა ყველის ფასი საშუალოდ 30%-ით აჭარბებს დანარჩენი სხვადასხვა ყველის ფასს. გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ღვინოები სარგებლობენ მაღალი პოპულარობით და სხვა ღვინოებთან შედარებით გაცილებით მაღალ ფასში იყიდება. მსოფლიო ბაზარზე გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი ყავის მარცვლების ფასი სამჯერ-ოთხჯერ აღემატება მათ საშუალო ფასს, ხოლო, მაგალითად BLUE-MO – (იამაიკა) ფასი ერთ ფუნტში, შეადგენს დაახლოებით 45 დოლარს, რაც 15-ჯერ აღემატება ყავის საშუალო საბაზრო ფასს.

გეოგრაფიული აღნიშვნების როლი მნიშვნელოვანია ტრადიციული ცოდნის შენარჩუნებაში, აგრეთვე გარემოს დაცვისა და რესურსების კეთილგონივრულ გამოყენებასა და ეკონომიკის მდგრად განვითარებაში.

გეოგრაფიული აღნიშვნების პოზიტიური გავლენა გარემოს შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებაზე განპირობებულია გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის წარმოებისათვის ადგილობრივი პირობების შენარჩუნების აუცილებლობაში. სწორედ ადგილობრივი პირობების შენარჩუნება არის უმთავრესი გარანტია გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი პროდუქტის მდგრადი წარმოებისთვის, რადგან სწორედ ამ პირობების უნიკალური შეხამება იძლევა უნიკალური პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას და პრაქტიკულად გამორიცხავს ანალოგიური პროდუქტის სხვაგან დამზადების საშუალებას. გეოგრაფიული აღნიშვნები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნების რეგიონალურ განვითარებაში, კერძოდ მათი გამოყენება:

- შესაბამის რეგიონებში ხელს უწყობს ახალი **სამუშაო ადგილების შექმნას** და **შემოსავლების ზრდას**;
- შესაბამის რეგიონებში ამცირებს **სამუშაო ძალის გადინებას** და სტიმულს აძლევს **სამუშაო ძალის მოზიდვას**;
- ზრდის რეგიონის **ცნობადობას** და ხელს უწყობს **აგრარული ტურიზმის** განვითარებას.

3.2. გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციები

გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური გამოყენების საშუალებას წარმოადგენს გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციების ფორმირება. ასეთი ორგანიზაციები ყალიბდება გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტთან დაკავშირებული ყველა ძირითადი მოთამაშის – მწარმოებლების, გადამამუშავებლების, დისტრიბუტორების, საცალო სავაჭრო ორგანიზაციების, რეგიონალური მართვის სტრუქტურებისა და სხვათა მონაწილეობით. დამატებული ღირებულების სხვა ჯაჭვებისაგან განსხვავებით, რომლის მონაწილეებს საზოგადოდ მრავალი დამოუკიდებელი აქტივი შეიძლება გააჩნდეთ, გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციების შექმნის განმსაზღვრელ ფაქტორს მათი საერთო აქტივი – გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაცია წარმოადგენს. ასეთი საერთო აქტივის არსებობა საჭიროებს მაკოორდინირებელი სტრუქტურის ფუნქციონირებას, რადგან ერთიანი ჯაჭვის თითოეული მონაწილის კომერციული საქმიანობა გავლენას ახდენს გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციაზე, ხოლო პროდუქტის რეპუტაციას, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მონაწილის წარმატებულ საქმიანობაზე. გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკაციების ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველყოფა;
- გეოგრაფიული აღნიშვნის სარეგისტრაციო მასალების მომზადება და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში რეგისტრაციისათვის წარდგენა;
- შინაგანი კონტროლის განხორციელება და გარეშე მაკონტროლებელ ორგანოსთან ურთიერთქმედება;
- მონაწილეებს შორის სპეციფიკაციების დაცვასთან დაკავშირებული სადავო საკითხების დარეგულირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
- მონაწილეებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, მათი უზრუნველყოფა სპეციალური ინფორმაციით და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა;
- გეოგრაფიული აღნიშვნის სისტემის მონაწილეების საქმიანობის კოორდინაცია და ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობა;
- გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებით განპირობებული დამატებითი ფასის მონაწილეთა შორის განაწილება.

გეოგრაფიული აღნიშვნების კოლექტიური მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს დამატებითი ღირებულების წარმოქმნისა და სამათლიანი განაწილებისათვის; იგი მცირე ფერმერებსა და მეწარმეებს საშუალებას აძლევს მიიღონ აუცილებელი სერვისები და შეაღწიონ ახალ ბაზრებზე.

არსებობს გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის ინტერპროფესიონალური და პროფესიონალური; ინტერპროფესიონალური ორგანიზაციის მაგალითს წარმოადგენს კონიაკის ინტერპროფესიონალური ბიურო, რომელშიც გაერთიანებული არიან მევენახეები, კონიაკის მწარმოებელი კომპანიები და პროდუქციის დისტრიბუტორები. ინტერპროფესიონალური ორგანიზაცია აქვთ დაარსებული ყველ „კომტეს“ მწარმოებლებსა და რძის დამამზადებელ ფერმერებსა და კოოპერატივებს.

4. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ევროკავშირში

4.1. ზოგადი პრინციპები

საქონლის მოსანიშნად გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს. ეს აიხსნება მეწარმის ბუნებრივი სურვილით, მიანიშნოს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, რაც სწორედ ამ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკით არის გაპირობებული. აქ აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, ასეთი სახის საქონლის მაღალმა ხარისხმა და რეპუტაციამ და მეორე მხრივ, წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბების გაფართოების პირობებში, სპეციალური კანონების არარსებობამ, გამოიწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი სახელების უკონტროლო გამოყენება. ამგვარი ფალსიფიცირების მოზღვავებამ აიძულა საფრანგეთი 1919 და 1935 წლებში მიეღო სპეციალური კანონები ღვინისა და სპირტიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ. ამგვარად შექმნა სამართლებრივი საფუძველი თითოეული დასახელების ღვინისათვის მკაცრად დადგენილიყო ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების პირობები და ადგილმდებარეობის ზუსტი საზღვრები⁹. სწორედ კანონის მიღებამ უზიარა საფრანგეთში ღვინოების, „შამპანურისა“ და „კონიაკის“ წარმოების აღმავლობას. შემდგომში ასეთი კანონები ამოქმედდა სხვა ქვეყნებშიც. ამჟამად გეოგრაფიული

⁹ summary of European legislation on protection of Geographical Indications, p. 38
http://www.ipr2.org/storage/European_legislation_on_protection_of_GIs1011.pdf

აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის სპეციალური კანონები მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ამჟამად ევროკავშირში გეოგრაფიულ აღნიშვნების დაცვასთან მიმართებაში მოქმედებს სამი რეგულაცია:

- რეგულაცია აგრო და კვების პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის სქემების შესახებ N1151/2012 (ჩაანაცვლა რეგულაცია N 510/2006);
- რეგულაცია ღვინოების ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ - N 1234/2007;
- რეგულაცია სპირტიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ – N 110/2008.

ევრორეგულაციების რეგულირების საგანს წარმოადგენს:

- დაცვის ობიექტების (ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნები) დეფინიციები;
- ურთიერთდამოკიდებულება გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის;
- უფლებამფლობელთა უფლებები;
- გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციები;
- გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაცია;
- პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციებთან შესაბამისობის კონტროლი.

4.2. გეოგრაფიული აღნიშვნების სახეობები ევროპაში

ევროპის კანონმდებლობა ცნობს გეოგრაფიული აღნიშვნების ორ სახეობას: დაცული ადგილწარმოშობის დასახელება (PDO-protected denomination of origin) და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა (PGI-protected geographical indication). ქვემოთ მოყვანილია (იხ. ცხრილი 1.) ამ ორი ობიექტის დეფინიციები. როგორც ვხედავთ მოყვანილი დეფინიციებიდან ადგილწარმოშობის დასახელების შემთხვევაში კავშირი პროდუქტის მახასიათებლებსა (ხარისხი და თვისებები) და გეოგრაფიულ ადგილს შორის უფრო მკაცრია, ვიდრე გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში. ამავე დროს თუ ადგილწარმოშობის დასახელების აღიარებისათვის პროდუქტის წარმოების ყველა ეტაპი უნდა ხორციელდებოდეს დელიმიტირებული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში. გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში საკმარისია რომელიმე ერთი ეტაპი დადგენილი არეალის ფარგლებში განხორციელდეს.

გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში იკრძალება გეოგრაფიული სახელის რეგისტრირება სასაქონლო ნიშნად. იმ შემთხვევაში თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, ნებადართულია ამ სასაქონლო ნიშნის შედგომი გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში კი რეგისტრაციის განახლება.

ცხრილი 1. გეოგრაფიული აღნიშვნების სახეობები ევროპაში

დაცული ადგილწარმოშობის დასახელება	დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა
<p>ადგილწარმოშობის დასახელება არის სახელი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება პროდუქტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოშობილი სპეციფიკური ადგილიდან, რეგიონიდან, გამონაკლის შემთხვევებში – ქვეყნიდან; • რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია განსაკუთრებული გეოგრაფიული გარემოთი მისგან განუყოფელი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების ჩათვლით; • რომლის წარმოების ყველა სტადია ხორციელდება მოცემულ გეოგრაფიულ ადგილას. 	<p>გეოგრაფიული აღნიშვნა არის სახელი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება პროდუქტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოშობილი სპეციფიკური ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან; • რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან; • რომლის წარმოების ერთი სტადია მაინც ხორციელდება დადგენილი გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

უფლებამფლობელებს გააჩნიათ განსაკუთრებული უფლება გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენებაზე. გეოგრაფიული აღნიშვნები დაცულია:

- გამოყენებისაგან ისეთ პროდუქციაზე, რომელიც არ არის დარეგისტრირებული;
- არასათანადო გამოყენებისა და იმიტაციისაგან იმ შემთხვევაშიც კი თუ პროდუქტის ნამდვილი წარმომავლობაა მითითებული. აგრეთვე ამ სახელების გამოყენებისაგან თარგმანში ან ისეთი სიტყვების თანხლებით, როგორებიცაა „სტილი“, „ტიპი“, „მეთოდით“, „დამზადებულია ისე როგორც“ და სხვა მსგავსი აზრის მატარებელი გამონათქვამები. ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, თუკი ასეთი დასახელებების მატარებელი პროდუქტები გამოყენებულია როგორც ინგრედიენტები.

გეოგრაფიული აღნიშვნის დასახასიათებლად გამოიყენება შემდეგი სპეციფიკაციები:

- **დასახელება.** სახელი, რომელიც გამოიყენება კომერციაში ან საერთო მოხმარების ენაში და წარმოდგენილია იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება ან ისტორიულად გამოიყენებოდა ამ სპეციფიკური პროდუქტის აღსაწერად დადგენილ გეოგრაფიულ არეალში;
- **პროდუქტის აღწერა.** უნდა აღიწეროს როგორც უშუალოდ პროდუქტი, ისე ნედლეული, რომლისგანაც ის არის დამზადებული. დასახელდეს პროდუქტის ძირითადი ფიზიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლები;
- **გეოგრაფიული არეალი.** გეოგრაფიული არეალი უნდა განისაზღვროს იმ კავშირის საფუძველზე, რომელიც არსებობს პროდუქტის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციას, აგრეთვე სხვა მახასიათებლებსა და გეოგრაფიულ გარემოს შორის. იმ შემთხვევაში, როცა ნედლეულად გამოიყენება ცოცხალი ცხოველი, ხორცი ან რძე, მათი დამზადების არეალი შეიძლება გაფართოვდეს დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით;
- **პროდუქტის წარმომავლობა.** უნდა არსებობდეს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დეფინიციებთან თანხვედრაში მყოფი პროდუქტის გეოგრაფიული წარმომავლობის დამადასტურებელი მონაცემები;
- **პროდუქტის დამზადება.** პროდუქტის დამზადების აღწერილობა უნდა მოიცავდეს წარმოების მთელ ჯაჭვს – დაწყებული ნედლეულიდან ვიდრე საბოლოო პროდუქტამდე, მათ შორის აღიწერება დამზადების ტრადიციული ხერხები და ინფორმაცია შეფუთვისა და ეტიკეტირების შესახებ;
- **კონტროლი.** რეგისტრაციისათვის მაკონტროლებელი ორგანოს მითითება სავალდებულოა;
 - ეს შეიძლება იყოს საჯარო ორგანიზაცია (მაგ. სტანდარტების ბიურო) ან კერძო სამართლის პირი, რომელიც აკრედიტირებულია ევროპული სტანდარტით EN 45011(ISO guide 65);
 - მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებს პროდუქტის მახასიათებლების შესაბამისობას გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციებთან;
 - კონტროლი მოიცავს პროდუქტის წარმოების სრულ ჯაჭვს – მინდვრიდან, სავაჭრო დაწესებულებამდე.

4.3. გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაცია ევროკავშირში

ევროკავშირში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა შესაძლებელია ორგვარად: პიდაპირი რეგისტრაციის ან სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე (მაგ. ასეთ ხელშეკრულებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა 2010 წელს). ევროკავშირში რეგისტრაციის უფლება გააჩნიათ როგორც ევროკავშირის, ისე მესამე ქვეყნების მოქალაქეებს.

ევროკავშირის მწარმოებლების შემთხვევაში რეგისტრაცია შედგება ორი ეტაპისგან – ეროვნული და საერთოევროპული პროცედურებისაგან. განაცხადს, რომელშიც აღიწერება პროდუქტის სპეციფიკაციები, შეისწავლიან უფლებამოსილ ეროვნულ სამსახურში, შემდეგ კი გადაგზავნიან ევროკომისიაში. ევროკომისიაში განაცხადი ექვსი თვის განმავლობაში გადის ესპერტიზას, რის შემდეგ ხდება მისი გამოქვეყნება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. შედაგების პერიოდის (3 თვე + 2 თვე) გასვლის შემდეგ ევროკომისიის მიერ მიიღება გადაწყვეტილება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრირების ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

ევროკომისიაში მესამე ქვეყნების მწარმოებლების მიერ განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნას როგორც პირდაპირ, ისე ეროვნული სამსახურის მეშვეობით. ამჟამად ევროკავშირში რეგისტრირებულია სამი ათასზე მეტი ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა. 2013 წლის 15 აგვისტოს მონაცემებით რეგისტრირებული იყო **1124** სხვადასხვა აგროპროდუქტი¹⁰, **1723**-ღვინო¹¹ და **331**-სპირტიანი სასმელი¹². ხოლო აგროპროდუქტებთან დაკავშირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციაზე განხილვის სტადიაში იყო **266** განაცხადი.

ცხრილი 2. ცალკეული მონაცემები

ევროკავშირში რეგისტრირებულ აგროპროდუქტებსა და ღვინოზე

რეგისტრირებული აგროპროდუქტები	
ადგილწარმოშობის დასახელებები	557
რეგისტრაციათა რაოდენობა ძირითადი აგროპროდუქტების მიხედვით	
ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული	314
ხორცის ნაწარმი	132
კარაქი, მარგარინი, ზეთი	118
ყველი	205

¹⁰ <http://ec.europa.eu/agriculture/quality/door/list.html>

¹¹ <http://ec.europa.eu/agriculture/markets/wine/e-bacchus/index.cfm?event=pwelcome&language=EN>

¹² <http://ec.europa.eu/agriculture/spirits/>

აგროპროდუქტების რეგისტრაციათა რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით	
იტალია	254
საფრანგეთი	200
ესპანეთი	164
პორტუგალია	118
საბერძნეთი	99
გერმანია	91
დიდი ბრიტანეთი	49
ადგილწარმოშობის ღვინოების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით	
იტალია	476
საფრანგეთი	376
ესპანეთი	97
გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით	
იტალია	129
საბერძნეთი	97
საფრანგეთი	75

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირში დაცულია 18 ქართული ადგილწარმოშობის ღვინო. ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების იდენტიფიცირებისათვის ევროკავშირმა დააწესა სპეციალური ლოგოები, რომლის გამოყენება 2014 წლიდან სავალდებულო გახდა.

5. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა საქართველოში

საქართველოში 1999 წ. მიიღეს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“¹³. კანონი ეფუძნება ევროკავშირში მოქმედ სამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს. კანონი აწესრიგებს საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებას, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს¹⁴. როგორც ღვინისა და სოფლის

¹³ http://www.sakpatenti.org.ge/imgs/print_head_geo.jpg

¹⁴ D.GABUNIA “Review of Industrial Property legislation in Georgia; Trademarks and Geographical Indications”, Trademark World, London, June 2000.

მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნისათვის, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, იგი ქმნის სამართლებრივ ბაზას ჩვენს ქვეყანაში ელიტარული, მაღალი ხარისხისა და ღირებულების პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის, აგრეთვე მისი არაკეთილ-სინდისიერი კონკურენციისაგან დასაცავად.

კანონის მიხედვით ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე და რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანთა ფაქტორით. ამასთან, ამ პროდუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

ადგილწარმოშობის დასახელებისაგან განსხვავებით, გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, პროდუქციის კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან შედარებით სუსტია. ამ შემთხვევაში სავალდებულო არ არის, რომ ნედლეულის დამზადება, დამუშავება და წარმოება ხდებოდეს ერთსა და იმავე ადგილას. საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი პირობის დაცვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გადამწყვეტი უნდა იყოს საქონლის თვისებების და რეპუტაციის ფორმირებისას.

საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის აღიარებისა და რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა „საქპატენტში“ უნდა წარადგინოს სათანადო მასალები, რომელშიც უნდა იყოს მონაცემები პროდუქციის განსაკუთრებული ხარისხის, თვისებების და ამ ნიშან-თვისებების გეოგრაფიულ ადგილთან კავშირურობის შესახებ, აგრეთვე წარმოების სპეციფიკური პირობებისა და ხერხების აღწერა (ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში). ამასთან, აღნიშნული მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ კვლევას და დადასტურებული იყოს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებების მქონე ორგანიზაციის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად წარმოდგენილი მასალები ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში.

ადგილწარმოშობის დასახელებად და გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება ისეთი სახელი, რომელიც საქონლის გვარეობით სახელად იქცა და რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ, შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, ტრადიციასა და ზნეობრივ ნორმებს.

კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შემდეგ, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, რეესტრის მონაცემებთან წარმოების პირობებისა და წარმოებული პროდუქციის თვისებების შესაბამისობის დადგენილი წესითა და პერიოდულობით შემოწმების შემდეგ გაცემული ნებართვის საფუძველზე. შემოწმების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე აკრძალულია: რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთ საქონელთან კავშირში, რომელზეც არ ვრცელდება რეგისტრაცია, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ისეთი გამოყენება, რომელიც სიტყვა-სიტყვით სწორად მიუთითებს საქონლის წარმოების, მისი ნედლეულის დამზადების ან დამუშავების ადგილს, მაგრამ ქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის წარმოშობის შესახებ, ისეთი სახელის ან აღნიშვნის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის მიბადვას, იმიტაციას, თუნდაც თარგმანში, ან ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორცაა „ტიპის“, „სტილის“, „მსგავსი“, „ნაირი“, „მეთოდით“ და ა.შ.

გარდა რეგისტრაციისა, კანონით გათვალისწინებულია იმ ქვეყნების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, რომლებიც ნაცვალებების პრინციპის საფუძველზე უზრუნველყოფენ ანალოგიურ დაცვას საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნებისათვის. გარდა ამისა საქართველო 2004 წლიდან არის ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციის ლისაბონის შეთანხმების მონაწილე¹⁵, რომლის მეშვეობით ქართული პროდუქციის სახელები დაცული იქნება ამ ხელშეკრულების მონაწილე 28 ქვეყანაში. ამჟამად საქართველოში დაცულია ქართული პროდუქციის 35 ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა.

¹⁵ http://www.wipo.int/lisbon/en/legal_texts/lisbon_agreement.html

ცხრილი 3. ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები¹⁶

პროდუქტის სახეობა	რაოდენობა	უფლებამფლობელი
ღვინო	18	სამტრესტი – 2005 წ.
მინერალური წყალი	3	სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2011
ყველი	11	სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2012
ჭაჭა	1	სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2012
მაწონი	1	სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2012
ჩურჩხელა	1	სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2012

6. დასკვნა

ამჟამად საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უფლებამფლობელებად და მკონტროლებელ ორგანოდ გვევლინება „სამტრესტი“ ღვინოებისათვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დანარჩენი პროდუქტებისათვის. თუ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ორგანიზაციების უშუალო ჩართვა გეოგრაფიული აღნიშვნების მენეჯმენტში იყო აუცილებელი და სასარგებლო, შემდგომში ამ სისტემის რეალური განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც გეოგრაფიული აღნიშვნების კოლექტიური საკუთრების ბუნება, ისე ამ ობიექტის მართვის საერთაშორისო, უპირველეს ყოვლისა ევროპული გამოცდილება. სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში დაიწყო მუშაობა სოფლის მეურნეობის რამდენიმე პროდუქტის გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირების და რეგისტრაციის, მათი სპეციფიკაციების დადგენის და გეოგრაფიული აღნიშვნის მენეჯმენტისთვის ფერმერთა და მწარმოებელთა თვითმართვადი გაერთიანებების შექმნის მიმართულებით. პირველ ეტაპზე შეირჩა სამი ობიექტი: ახალციხის კარტოფილი, ქუთაისის (წყალტუბოს) მწვანილი და მაჭახელას (აჭარა) თაფლი. ეს ობიექტები შეირჩა ამ ბრენდების ცნობადობის, მათი საექსპორტო პოტენციალისა და ადგილებზე კოლექტიური ორგანიზაციების შექმნისადმი ინტერესის არსებობის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, სამომავლოდ უნდა შეიქმნას გეოგრაფიული აღნიშვნების თვითმართვადი გაერთიანებები როგორც უკვე რეგისტრირებული აღნიშვნების, ისე ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების მენეჯმენტის მიზნით. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის ეფექტურობა ასევე მოითხოვს ორ ან სამდონიანი გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციებთან პროდუქტების მახასიათებლების შესაბამისობის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

¹⁶ http://www.sakpatenti.org.ge/imgs/print_head_geo.jpg

საქართველოში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა და ევროინტეგრაცია

სერგო ესაკია

1. შესავალი

დღეს მსოფლიოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა და დღის წესრიგში დააყენა სიხშირული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ამოწურვად და შეზღუდულ რესურსს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ასევე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებლობა მოგვცა სიხშირეთა ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო ტელევიზიის გავრცელებისათვის, გამოვიყენოთ მობილური, მაღალი სიჩქარისა და უსადენო დაშვების ტექნოლოგიების გასავრცელებლად, რომელზეც სულ უფრო მზარდი მოთხოვნაა.

გასული საუკუნის 40-50 წლებიდან მოყოლებული, გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ და კომპიუტერული ტექნიკის მზარდი სრულყოფის კვალობაზე ჩვენი ცხოვრების და საქმიანობის სულ უფრო მრავალ სფეროში ხდებოდა ანალოგური სიგნალების ციფრულად, ე.ი. ნულისა და ერთის კომბინაციის იერარქიად ჩანაცვლება, ვინაიდან ციფრული ნაკადი ბევრად უფრო ადვილი და მოსახერხებელია როგორც დასამუშავებლად, ასევე გადასაცემად.

ტელევიზიის შემთხვევაში, გამოსახულება ობიექტიდან ე.ი. ტელეკამერიდან ჩვენს ტელევიზორებამდე ამჟამად გადაიცემა ანალოგურ ფორმატში და ამიტომაც სიგნალი გარეშე ხელშემშლელი სიგნალების გავლენით მახინჯდება. ის იკავებს ფართო სიხშირულ სპექტრს და ა.შ. ციფრული ტექნიკის გამოყენებით კი შესაძლებელია გამოსახულების და ხმის მრავალჯერადად შეკუმშვა, გამოსახულების და ხმის ხარისხი არის გაცილებით მაღალი, მდგრადი გარე ხელშემშლელი სიგნალების მიმართ და გააჩნია მთელი რიგი სხვა სერვისების მიწოდების საშუალება.

ასევე, ციფრული მაუწყებლობის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ერთ ანალოგურ სატელევიზიო გადამცემის სიხშირულ 8 მეგაჰერციან ზოლში, სადაც გადაიცემა ერთი სატელევიზიო არხი, შესაძლებელია 15 ციფრული სტანდარტული გარჩევადობის(SD) სატელევიზიო არხის გადაცემა. ასევე:

- შესაძლებელია მაღალი გარჩევადობის (HD) 4-6 არხის გადაცემა.

- გაცილებით მაღალია გამოსახულებისა და თანხლები ხმის ხარისხი.
- ციფრული არხები მდგრადია გარე ხელშემშლელი სიგნალების მიმართ.
- მრავალარხიანი ხმის თანხლების შესაძლებლობა.
- გადამცემი სადგურების დაბალი სიმძლავრე და გამოსხივება.
- ფართოეკრანიანი ფორმატის გამოსახულების შესაძლებლობა.
- „პროგრამული მეგზურის“ ინტერფეისის შესაძლებლობა.
- სიხშირული სპექტრის უფრო ეფექტური გამოყენება.
- მობილური და პორტატული მიმღებებით მიღების შესაძლებლობა.
- დამატებითი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა: ტელეპროგრამა, ამინდი, განცხადებები, რეკლამები და სხვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობის პოლიტიკურ ჭრილში არსებული უპირატესობა ანუ:

- გამოხატვის თავისუფლება და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა.
- სამაუწყებლო ბაზრის, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის განვითარების ხელშეწყობა.
- საეთერო სამაუწყებლო ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანა.
- შეზღუდული ბუნებრივი რესურსის - რადიოსიხშირეების მაღალეფექტურად გამოყენების ხელშეწყობა.
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.
- მრავალფეროვან და მაღალხარისხიან საეთერო სამაუწყებლო პროგრამებზე მოსახლეობის წვდომის შესაძლებლობა.
- საქართველოში ინფორმირებული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ანალოგური მიწისზედა მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა და მისი წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კოორდინირებულ და ეფექტურ მუშაობაზე.

ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულზე გადასვლის პროცედურის მთავარი მოთხოვნაა, რომ ამ პროცესის არც ერთ ეტაპზე მოსახლეობას მაუწყებლობა არ უნდა გაეთიშოს. ეს კი

ნიშნავს იმას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანალოგური და ციფრული მაუწყებლობა პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. ზოგ ქვეყნებში ასეთი პარალელური მაუწყებლობა 4-5 წელს, ზოგან კი მეტ ხანსაც მიმდინარეობდა. ჩვენთან კი შესაბამისი სამსახურების (კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია და ეკონომიკის სამინისტრო) მიერ ამ პროცედურის დაგვიანებით დაწყების გამო აღმოვჩნდით ცაიტნოტში და პროექტის განსახორციელებლად დარჩენილი გვაქვს დაახლოებით ერთ წელზე ოდნავ მეტი. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ ციფრული მაუწყებლობა არა თუ არ დაწყებულა, უფრო მეტიც, არც სიხშირეების გაცემის და არც შესაბამისი აპარატურისა და მოწყობილობების შესყიდვის კონკურსია გამოცხადებული. ესე იგი მთელი ინფრასტრუქტურა, სადისტრიბუციო ქსელი, გადამცემები და მულტიპლექსორები ჯერ კიდევ შესაძენია. ინფრასტრუქტურის მონტაჟს, აწყობა-რეგულირებას კი განსაზღვრული დრო სჭირდება. დრო კი ძალიან ცოტაა და ეს საფრთხის ქვეშ აყენებს ამ პროცესის წარმატებით დასრულებას.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 2012 წლის 5 დეკემბერს შესაბამისი ბრძანებით შექმნა სპეციალური სათათბირო ორგანო – „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ტელემაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების წარმომადგენლები.

შედეგად შეიქმნა დოკუმენტი, რომლის სრულყოფაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა პირმა, ადგილობრივმა და ეროვნულმა საეთერო მაუწყებლებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის აქტიურად იყო ჩართული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IBRD), გათვალისწინებული იყო მისი საერთაშორისო გამოცდილება. შედეგად 2014 წლის 7 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები“¹ (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“). ქვემოთ გაგაცნობთ ამ გეგმის ძირითად რეკომენდაციებს.

¹ იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები. www.economy.ge

2. „სამოქმედო გეგმის“ საერთო მიმოხილვა

2.1. საერთაშორისო და ევროპული ვალდებულებები

ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულების GE-06² ფარგლებში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU-International Telecommunication Union)³ წევრი ქვეყნების, მათ შორის - საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით (რომელიც არეგულირებს ციფრული და ანალოგური მაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გამოყენების ნორმებს, ვადებს და კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) 1-ლი რეგიონისათვის (სადაც საქართველოსთან ერთად შედის ევროპა, აფრიკა და აზიის დიდი ნაწილი), 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის ვადა; ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ ანალოგური მაუწყებლობა უნდა გაითიშოს და ქვეყნების ფარგლებში მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები აღარ იქნება სამართლებრივად დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან წარმოქმნილი ხელშეშლებისგან.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა რთული პროცესია. კერძოდ, ვინაიდან ყოველი ქვეყანა ვალდებულია (როგორც საკუთარი, ასევე მეზობელი ქვეყნების), 2015 წლის 17 ივნისამდე ანალოგური სამაუწყებლო სიგნალი დაიცვას ხელშეშლებისაგან და ამავდროულად, უზრუნველყოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (რაც თავის მხრივ, გულისხმობს გარდამავალ ეტაპზე, ე.წ. "Simulcast"-ის პერიოდში, ანალოგური და ციფრული სამაუწყებლო სიგნალების პარალელურ რეჟიმში გავრცელებას), ამიტომ საჭიროა არსებული სიხშირული რესურსის ფარგლებში სამაუწყებლო არხები განაწილდეს ისეთი პრინციპით, რომ გარდამავალ ეტაპზე არ მოხდეს ციფრულ და ანალოგურ სამაუწყებლო სიგნალებს შორის ხელშეშლა, როგორც ერთი, ასევე მეზობელი ქვეყნების მასშტაბით.

ევროკავშირთან ასოცირების პარაფირებული ხელშეკრულების ფარგლებში⁴, საქართველო იღებს ვალდებულებას, მაუწყებლობის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამისობაში

² იხ. <http://www.itu.int/pub/R-ACT-RRC.14-2006/en>

³ იხ. www.itu.int

⁴ იხ. http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17011

მოიყვანოს ევროპის აუდიოვიზუალური მედია სერვისის დირექტივასთან, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა დაუახლოოს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულზე გადასვლის პროცედურა უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვთ და ბევრ ქვეყანაში დაასრულეს კიდევ. ე.ი. ანალოგური მაუწყებლობა უკვე გათიშეს (იხ. ნახ.1).



ნახ.1. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ევროპაში

შენიშვნა: მუქი ფერით შეფერილი ქვეყნები უკვე გადასული არიან ციფრულ მაუწყებლობაზე

2.2. სტანდარტები

საქართველო რადიოსიხშირების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების მიზნით, აგრეთვე ეროვნული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დასაწერად გამოიყენებს დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და აპრობირებულ DVB-T2 სტანდარტს, მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 4 ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთი მულტიპლექს პლატფორმისათვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის

ფარგლებში, გავრცელდეს საშუალოდ 15-მდე სტანდარტული გარჩევადობის (SD) ან 4-დან 6-მდე მაღალი გარჩევადობის (HD) სატელევიზიო პროგრამა.

აღნიშნული სტანდარტი სავალდებულო იქნება ყველა ეროვნული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმისთვის, თუმცა ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისას შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს DVB-T სტანდარტი და მონაცემთა შემჭიდროვების როგორც MPEG 4, ასევე MPEG 2 ტექნოლოგია, რაც მას გაცილებით იაფს და შესაბამისად, ხელმისაწვდომს გახდის ადგილობრივი მაუწყებლებისათვის.


2.3. სიხშირეთა განაწილება

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამაუწყებლო სიხშირეთა ნაწილი (კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან, ხოლო 700 მჰც დიაპაზონი 2015 წლის შემდგომ) გამოყენებული იქნება უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დასანერგად, რაც ხელს შეუწყობს მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, სერვის-დეფიციტურ რეგიონებში ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარებასა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სიხშირე	სიხშირული დიაპაზონი	დანიშნულება
VLF Very Low Frequency ძალიან დაბალი სიხშირე	3 კჰც-30 კჰც	ზუსტი დროის სიგნალი; მეტეოროლოგიური რადარები
LF Low Frequency დაბალი სიხშირე	30 კჰც-300 კჰც	საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის გარეთის ურთქცეფური აპარატურისა და სხვა სიგნალები
MF Medium Frequency საშუალო სიხშირე	300 კჰც-3 მჰც	საშუალო სიხშირის რადიოსადგურები საჰაერო მიმოსვლა: GPS
HF High Frequency მაღალი სიხშირე	3 მჰც-30 მჰც	მოკლეტალღოვანი რადიოსადგურები
VHF Very High Frequency ძალიან მაღალი სიხშირე	30 მჰც-300 მჰც	ტელევიზია; FM რადიო
UHF Ultra High Frequency ულტრა მაღალი სიხშირე	300 მჰც-3 გჰც	ტელევიზია; მობილური კავშირი; ინტერნეტი; WiFi; საშხედრო კავშირი
SHF Super High Frequency ზემაღალი სიხშირე	3 გჰც-30 გჰც	რადიოსარელეო ხაზები; თანამგზავრული კავშირი

ნახ. 2. სიხშირეთა გამოყენება

UHF ულტრამაღალი სიხშირის დიაპაზონი, კერძოდ - 470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში არსებული რესურსი ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ გამოთავისუფლება და ხანგრძლივი პერიოდით გახდება ხელმისაწვდომი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებისათვის.



ნახ. 3. მიწისზედა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლელად ჩასატარებელი აუცილებელ სამუშაოთა თანმიმდევრობა

ანალოგური მაუწყებლობის გათიშვამდე, სიხშირეების სიმწირის გამო, ე.წ. 700 მჰც, კერძოდ, 694-790 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსი გამოყენებული იქნება გარდამავალ ეტაპზე ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფუნქციონირებისათვის.

ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 17 ივნისის შემდეგ, VHF III, კერძოდ, 174-230 მჰც სიხშირულ დიაპაზონში არსებული რესურსი გამოყენებული იქნება ადგილობრივი (DVB-T ან T2 სტანდარტის) მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისთვის. მოცემული გადაწყვეტილება გულისხმობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი სიხშირეების ათვისებას.

2.4. ორგანიზაციული ასპექტები

„სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა ციფრულ მაუწყებლომაზე გადასვლის სააგენტო. ამ სააგენტომ მუშაობა 2014 წლის 14 თებერვლიდან დაიწყო. ნახ.3-ზე წარმოდგენილია მიწისზედა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასავლელად ჩასატარებელი აუცილებელ სამუშაოთა თანმიმდევრობა.

3. მულტიპლექს პლატფორმები

3.1. ზოგადი მიმოხილვა

ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისათვის გრძელვადიანი პერიოდით ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, იმ რესურსის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის შემდგომ (470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ექსპერტების დახმარებით, განხორციელდა შვიდი (სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის) ეროვნული დაფარვის შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელისა და შესაბამისი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის დაგეგმარება.

2015 წლის 17 ივნისამდე, კერძოდ, გარდამავალ (პარალელური მაუწყებლობის) პერიოდში, სიხშირეების სიმწირის გამო, ზემოხსენებული შვიდი მულტიპლექს პლატფორმიდან მოხდა

მხოლოდ ორი პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო „დროებითი“ სიხშირული რესურსის დაგეგმარება, რომელთა საშუალებითაც, ერთ-ერთი მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში, პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, განხორციელდება არსებული ღია საეთერო სატელევიზიო პროგრამების ციფრულ ფორმატში გავრცელება.

გარდამავალი პერიოდის ამოწურვისას, მას შემდეგ, რაც გაითიშება ანალოგური ტელემაუწყებლობა და გამოთავისუფლდება შესაბამისი სიხშირული რესურსი, წინასწარ განსაზღვრული დაგეგმარების შესაბამისად, განხორციელდება გარდამავალ პერიოდში აგებული ორი მულტიპლექს პლატფორმისათვის „დროებით“ გამოყოფილი სიხშირული რესურსის ჩანაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ პერიოდში ხელმისაწვდომია მხოლოდ ორი ეროვნული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისთვის საჭირო სიხშირული რესურსი, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების-თანავე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გასცემს ექვსი ეროვნული პლატფორმის უზრუნველსაყოფად საჭირო სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას, ისევე როგორც ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმებისათვის განკუთვნილ რესურსს.

3.2. მულტიპლექს პლატფორმების სახეობები

მულტიპლექს პლატფორმები 1, 2, 3, 4 და 5: სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის (ეროვნულ დონეზე დაფარვის შესაძლებლობის მქონე) ხუთი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი ხელმისაწვდომი გახდება ღია კონკურსის წესით. მოცემული ხუთი მულტიპლექს პლატფორმიდან მხოლოდ ერთი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო „დროებითი“ სიხშირული რესურსი იქნება ხელმისაწვდომი გარდამავალ პერიოდში კონკურსში გამარჯვებული სუბიექტისათვის.

მულტიპლექს პლატფორმა 6: საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმაში განთავსების უზრუნველყოფის მიზნით, მეექვსე მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი („დროებითი“ და ასევე განკუთვნილი შემდგომი პერიოდისათვის) სიხშირული რესურსი უსასყიდლოდ მიენიჭება შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ეროვნული მაუწყებლების პროგრამების გავრცელებაზე.

ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმები: ადგილობრივი მაუწყებლების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, რომლებიც მცირე სამაუწყებლო ზონაში ვრცელდებიან, შეთავაზებული იქნება VHF III (ძალიან მაღალი სიხშირის მესამე დიაპაზონის) სიხშირულ დიაპაზონში არსებული რადიოსიხშირული რესურსი ადგილობრივი (DVB-T ან T2 სტანდარტის) მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის. ადგილობრივი მაუწყებლებისათვის ამ სიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება უსასყიდლოდ და ხელმისაწვდომი იქნება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ.

მულტიპლექს პლატფორმა 7: მეშვიდე (ეროვნულ დონეზე დაფარვისა და ათი გეოგრაფიული ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი (რომელიც ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 17 ივნისის შემდეგ და რომელიც განკუთვნილი იქნება ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული – (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) – სატელევიზიო პროგრამების გავრცელებისათვის) დარეზერვებული იქნება შემდგომი პერიოდისათვის, რომლის სარგებლობის უფლების გაცემაც განხორციელდება მხოლოდ ღია კონკურსის ჩატარების შემდგომ, მისი შედეგების გათვალისწინებით.

4. ღია კონკურსი

4.1. ლოტი A (მულტიპლექს პლატფორმა 1)

აღნიშნული ლოტის ფარგლებში, კონკურსის დასრულებისთანავე, ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული დაფარვისა და ათი ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი „დროებითი“ სიხშირული რესურსი.

მოცემული სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (ღია კონკურსში გამარჯვებული) ვალდებული იქნება, 2015 წლის 17 ივნისამდე, უზრუნველყოს ეროვნული დაფარვისა და ათი ციფრული ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირება.

2015 წლის 17 ივნისის (ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის) შემდგომ, მოცემული ლოტის ფარგლებში, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით, ხელმისაწვდომი

გახდება სიხშირული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ათი ციფრული ზონისა და თითოეული ზონის ქვეზონების ფარგლებში (ადგილობრივ დონეზე) განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებას.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდეგ:

- ეტაპობრივად, ლიცენზიით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ჩაანაცვლოს გარდამავალ პერიოდში აგებული მულტიპლექს პლატფორმისათვის „დროებით“ გამოყოფილი სიხშირული რესურსი წინასწარ დაგეგმარებული და ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით ხელმისაწვდომი შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსით;
- უზრუნველყოს, ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის შესაბამისად, ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მოდიფიცირება და ციფრული ზონების ქვეზონების ფარგლებში (ადგილობრივ დონეზე) განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე პლატფორმის ფორმირება.

ლოტი A-ს ფარგლებში ფორმირებულმა ქსელმა უნდა უზრუნველყოს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იმავე ტერიტორიაზე გავრცელება, რა ტერიტორიაზეც დღეს ანალოგურ ფორმატში ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რათა მოცემული პლატფორმით გავრცელებული სამაუწყებლო კონტენტი ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის. მოცემული მულტიპლექს პლატფორმა, პირველ რიგში, განკუთვნილი უნდა იყოს ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად.

ლიცენზიის მფლობელმა, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება.

მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი

კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების (ტრანზიტული მაუწყებლობის) მისაწოდებლად, თუმცა მოცემული გულისხმობს, რომ მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა, ლიცენზიის მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული იქნება, უპირობოდ უზრუნველყოს მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება.

4.2. ლოტი B (მულტიპლექს პლატფორმა 2)

აღნიშნული ლოტის ფარგლებში მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის (2015 წლის 17 ივნისის) შემდგომ, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული დაფარვისა და ეროვნულ დონეზე ერთი და იმავე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსი.

სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (ღია კონკურსში გამარჯვებული) ვალდებული იქნება 2015 წლის 17 ივლისამდე, უზრუნველყოს ეროვნული დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირება (ფორმირებულმა ქსელმა უნდა უზრუნველყოს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იმავე ტერიტორიაზე გავრცელება, რა ტერიტორიაზეც დღეს ანალოგურ ფორმატში ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რათა მოცემული პლატფორმით გავრცელებული სამაუწყებლო კონტენტი ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის), რომელიც პირველ რიგში განკუთვნილი უნდა იყოს ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად.

ლიცენზიის მფლობელმა, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ რესურსთან საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება. მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდებლად, თუმცა მოცემული გულისხმობს, რომ მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა ლიცენზის

მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული იქნება უპირობოდ უზრუნველყოს მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება.

4.3. ლოტი C, D და E (მულტიპლექს პლატფორმები 3, 4 და 5)

აღნიშნული სამი (C, D და E) ლოტის ფარგლებში, ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის (2015 წლის 17 ივნისის) შემდგომ, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით, ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული დაფარვისა და ეროვნულ დონეზე ერთი და იგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსი.

მოცემული სამი ლოტის ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (პირები) ვალდებული იქნება, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სულ მცირე მოსახლეობის არანაკლებ 50%-ის დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება როგორც მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მიწოდება, ასევე ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელება.

5. ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობა და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირება

ვინაიდან ქვეყნის მიზანია, ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ინტერესები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტელემაუწყებლობის ბაზრის შემდგომ განვითარებას, დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობებს ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, კერძოდ:

- ადგილობრივ მაუწყებლებს, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ მხოლოდ სამაუწყებლო საქმიანობა და მათ მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტი ღია ეთერში გაავრცელონ მხოლოდ მცირე რადიუსით (დღეისათვის არსებული ლიცენზიით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით - კონკრეტული ციფრული სამაუწყებლო ზონის ქვეზონაში (ადგილობრივ დონეზე)), ან გაზარდონ მაუწყებლობის არეალი, როგორც ერთ ან

რამდენიმე ციფრულ ზონაზე, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, შესაძლებლობა ეძლევათ შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ განთავსდნენ ერთ-ერთ ციფრულ მიწისზედა საეთერო სამაუწყებლო მულტიპლექს პლატფორმაში.

- ადგილობრივ მაუწყებლებს (საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებს), რომლებსაც სამაუწყებლო საქმიანობის პარალელურად სურთ, უზრუნველყონ ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება დღეისათვის არსებული ლიცენზიით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით, რათა მათ მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტი ღია ეთერში გაავრცელონ მხოლოდ მცირე რადიუსით (კონკრეტული ციფრული სამაუწყებლო ზონის ქვეზონაში).

ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული პოლიტიკა ითვალისწინებს მაუწყებლებისათვის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის უსასყიდლოდ მინიჭებას, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- თუ ერსა და იმავე ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, კომისია (მაუწყებლის მიერ 2014 წლის მაისის ბოლომდე შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში) უზრუნველყოფს ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭებას.
- თუ ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთზე მეტი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველყონ ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, კომისია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას უსასყიდლოდ და ღია კონკურსის გარეშე მიანიჭებს არსებულ ადგილობრივ საეთერო მაუწყებელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, მისი 2014 წლის მაისის ბოლომდე ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად საჭირო რადიოსიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან ორი თვის განმავლობაში (მინიჭებული სიხშირული რესურსის გამოყენება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ), შემდეგი პირობებით:

რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი ადგილობრივი მაუწყებელი/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ვალდებული იქნება:

- უზრუნველყოს ადგილობრივი მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება 2016 წლის 1 მარტამდე;
- შესაბამისობაში მოიყვანოს ციფრულ ტექნოლოგიაზე მომუშავე გადამცემი სადგურების ეფექტურად გასხივებული სიმძლავრეები (ERP) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რადიოსიხშირული დაგეგმარების ტექნიკურ მახასიათებლებთან.

ადგილობრივი მაუწყებლის/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების მიერ ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელება.

რადიოსიხშირული რესურსის მფლობელმა ადგილობრივმა მაუწყებელმა/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებამ, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ თავისუფალ რესურსთან მსურველი (საქართველოს ფარგლებში ავტორიზებული) მაუწყებლების არადისკრიმინაციული დაშვება.

ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისას შესაძლებელია DVB-T სტანდარტისა და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2 ან MPEG4 ტექნოლოგიის გამოყენება, იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სტანდარტით აგებული ადგილობრივი მიწისზედა ციფრული სამაუწყებლო ქსელი, გაერთიანებული ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში, ყველა მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამის სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატში გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მაუწყებელს/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებას სიხშირული რესურსის გამოყენების უფლება ექნება მხოლოდ ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, ადგილობრივი მაუწყებელი/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ოპერატიულად მოქმედების შემთხვევაში შეძლებს, 2015 წლის 17 ივნისამდე განახორციელოს ქსელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა მოსამზადებელი სამუშაო და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვიდან უმოკლეს ვადაში ექსპლუატაციაში გაუშვას ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადგილობრივ ზონაში ჩამოყალიბდა ერთზე მეტი გაერთიანება (და/ან რომელიმე ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, მისი სურვილის მიუხედავად ვერ გაერთიანდა შესაბამის ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ღია კონკურსის წესით, განახორციელებს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის გაცემას.

ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განახორციელებს საეთერო ლიცენზიის მფლობელ ადგილობრივ მაუწყებელთა გამოკითხვას და მათ შესაბამის ინფორმირებას.

6. პარალელური მაუწყებლობის პერიოდი

პარალელური მაუწყებლობის პერიოდი უნდა მოიცავდეს არანაკლებ სამთვიან, 2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 17 ივნისამდე, პერიოდს. საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმა (ეროვნულ დონეზე ერთიდაიგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელი), პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, ალტერნატიული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებამდე უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამების, ასევე არსებული ეროვნული საეთერო მაუწყებლების შპს „რუსთავი 2-ის“, შპს „ტელეიმედის“, შპს „მაესტროს“ მიერ შესაბამისი ლიცენზიების ფარგლებში წარმოებული საერთო საეთერო სატელევიზიო პროგრამების სტანდარტული გარჩევადობის ფორმატში უფასოდ (მაუწყებლებისათვის უსასყიდლოდ) გავრცელებას. მოცემული მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში ასევე განხორციელდება იმ ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების გავრცელება, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ მხოლოდ სამაუწყებლო საქმიანობა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უარს განაცხადებენ (როგორც ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფარგლებში, ასევე დამოუკიდებლად) ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის დაგეგმარებული სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე. ამის გათვალისწინებით, ამგვარი ადგილობრივი მაუწყებლების მიერ წარმოებული ტელეპროგრამების გავრცელება პარალელური მაუწყებლობის პერიოდში განხორციელდება (უსასყიდლოდ) საქართველოს მასშტაბით.

პარალელური მაუწყებლობის პერიოდში ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში განთავსების უფლების მქონე ზემოაღნიშნული მაუწყებლები, ვალდებულები იქნებიან საკუთარი ხარჯებით მიაწოდონ („საზოგადოებრივი“) ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის შესაბამის ელემენტს (ე.წ. „Head end“-ს) სტანდარტული გარჩევადობის სატელევიზიო სიგნალი არამოდულირებული და არაშემჭიდროებული ფორმით, ისევე, როგორც ელექტრონული პროგრამების გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის შესაბამისი ნუსხა XML ფორმატში.

მიწისზედა ციფრული მაუწყებლობა პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად:

1. სამაუწყებლო კონტენტის (პროგრამის) შექმნა;
2. სადისტრიბუციო ქსელი, რომლითაც გავრცელდება და სარელეო ხაზის ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით ეს პროგრამები მიეწოდება გადამცემ სადგურებს მთელი ქვეყნის მასშტაბით;
3. სატელევიზიო გადამცემი სადგურები, რომლის მეშვეობით ხდება ამ სიგნალის გასხივება ეთერში და მიწოდება თითოეული აბონენტისთვის.

ამ სქემის მიხედვით, დღეს არსებული მდგომარეობით, სატელევიზიო პროგრამებით საქართველოს მოსახლეობის 95%-ია მოცული და ასეთივე ვალდებულება აქვს ციფრული მაუწყებლობის განმახორციელებელ კომპანიებს.

არსებობს სატელევიზიო პროგრამების გავრცელების ალტერნატიული ან შერეული (კომბინირებული) ვარიანტი. ეს არის სატელევიზიო სიგნალის გავრცელება თანამგზავრის მეშვეობით. კერძოდ: მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა თანამგზავრულმა ოპერატორმა „იუტელსატმა“ შემოგვთავაზა სიგნალის გავრცელება თავიანთი თანამგზავრის მეშვეობით.

ამ წინადადების არსი იმაშია, რომ ტელეპროგრამები ჯერ თანამგზავრზე გადაიცემა, შემდეგ იქედან დასხივდება დედამიწაზე და მოიცავს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიას. ამ სატელევიზიო პროგრამებს მიიღებს ყველა მიწისზედა გადამცემი სადგური და ზემომოყვანილი სქემით გასხივდება ეთერში. ამის გარდა, ყველა მოსახლეს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, შეეძლება უშუალოდ თანამგზავრიდან მიიღოს ეს პროგრამები. ამგვარად არა მარტო საქართველოს ტერიტორია იქნება 100%-ით მოცული, არამედ მისი ნახვა შესაძლებელი იქნება ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

მაგრამ ამ პროექტსაც აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი - წვიმისა და თოვლის დროს სიგნალი იკარგება, რაც დაუშვებელია. სატელევიზიო მაუწყებლობის გავრცელების მთავარი პირობაა,

რომ მოსახლეობას მაუწყებლობა არ უნდა გაეთიშოს. ამიტომაც შეუძლებელია მხოლოდ ამ სქემით მუშაობა. ამჟამად განიხილება ამ ორი სქემის პარალელურად მუშაობის საკითხი, თუმცა ორივე სქემის გამოყენება იმდენად აძვირებს პროექტს, რომ საეჭვოა ჩვენისთანა დარიბმა ქვეყანამ შეძლოს ასეთი ხარჯის გაღება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალი ქართული სატელევიზიო არხი უკვე დიდი ხანია მაუწყებლობს თურქულ თანამგზავრ „თურქსატიდან“ და ე.წ. „მკვდარ“ წერტილებში, იქ სადაც მიწისზედა სადგურების სიგნალი მიუწვდომელია, შესაძლებელია ამ პროგრამების მიღება უშუალოდ ამ თანამგზავრიდან.

7. დასკვნა

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო რეფორმაა ჩვენი ქვეყნისათვის და მისი წარმატებით განხორციელება საჭიროებს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივ და კოორდინირებულ მუშაობას.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდი, ანუ პარალელური (ანალოგური და ციფრული) მაუწყებლობისათვის განკუთვნილი დრო ძალიან მცირეა და ამიტომ ხელისუფლების ყველა შტომ და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს პროცესი უმოკლეს ვადაში და წარმატებით დასრულდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მოსახლეობის ინფორმირების საქმეში და ასევე, კონვერტორებით („სეთ-თოფ ბოქსებით“) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფა. ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა დაეხმაროს ადგილობრივ მედიას მულტიპლექს პლატფორმის ორგანიზებაში.

ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ჩვენი ქვეყნისთვის ერთგვარი გამოცდაც არის ევროკავშირთან ასოცირებისკენ მიმავალ გზაზე. იმაზე, თუ როგორ გავართმევთ თავს ამ მნიშვნელოვან გამოცდას, დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი წარმატებები.

ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: სლოვაკეთი და თურქეთი

ოლეგ შატბერაშვილი

1. შესავალი

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირის მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი და განვითარების მძლავრი ინსტრუმენტია¹. შესაბამისად, ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის ამ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება სერიოზული გამოწვევაა, რომელსაც ქვეყანამ აუცილებლად უნდა უპასუხოს. ეს სრულად ეხება საქართველოსაც, სადაც რეგიონულ საინოვაციო პოლიტიკაზე საუბარი ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო², მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება. განსაკუთრებით საინტერესოა ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ და, აგრეთვე, წევრობის კანდიდატი ქვეყნები. ამ მიზნით ჩვენ ავირჩიეთ ორი ქვეყანა - სლოვაკეთი (წევრი) და თურქეთი (კანდიდატი). ამ არჩევანის დასაბუთება სტატიის ძირითად ნაწილშია მოყვანილი.

2. სლოვაკეთი

2.1. რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის საერთო მიმოხილვა

სლოვაკეთი (ნახ. 1) დაახლოებით იგივე ზომისა და მოსახლეობის მქონე ქვეყანაა, როგორც საქართველო (ფართობი - 49 ათ. კმ², მოსახლეობა - 5,300 ათ. კაცი). ისევე, როგორც საქართველომ, მან წინა საუკუნის 90-იან წლებში გაიარა სოციალისტურ-ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველა სიმძნელე. ერთადერთი, რასაც ჩეხოსლოვაკიის დაშლის პროცესში სლოვაკეთი გადაურჩა, იყო ომი.

¹ ო. შატბერაშვილი. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. წიგნში „მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია“. რედაქტორები: ი. გოგომე, ო. შატბერაშვილი. ეგსიგ. თბილისი. 2010. (www.inovdev.ge).

² საქართველოს მთავრობის დადგენილება №172, 25 ივნისი 2010 წელი. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. სტრატეგიაზე მუშაობდა ჯგუფი რევაზ კაკულიას, კობა კიკაბიძისა და სხვათა შემადგენლობით.

სლოვაკეთში ყველაზე განვითარებული რეგიონებია ბრატისლავა და ტრნავა, რომელსაც მოსდევს ჟილინა. ამ რეგიონებმა ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიღეს, განსაკუთრებით ავტომობილების მშენებლობაში. ფოლქსვაგენმა, პეჟო-სიტროენმა და კია მოტორსმა იმდენად დიდი ინვესტიციები განახორციელეს, რომ სლოვაკეთი მსოფლიოს უმსხვილეს ავტომწარმოებელ ქვეყანათა შორის აღმოჩნდა. ამ სამ რეგიონში მძლავრი მანქანათმშენებლობის კლასტერებია შექმნილი, რომელთა სათავეში ტრანსნაციონალური კორპორაციების სლოვაკური განყოფილებები დგანან. ნაკლებად განვითარებულია რეგიონები: ბანსკა ბისტრიცა, პრემოვი და კოშიცე. ჩვენი მიზნებისთვის განგებ ავარჩიეთ ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ ბანსკა ბისტრიცა, რადგანაც ჩვენთვის საინტერესო იყო მისი ადგილობრივი ინიციატივებისა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მოქმედება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა კარგად განვითარებული მძიმე მანქანათმშენებლობა, ძლიერ შემცირდა სახელმწიფო ხარჯები კვლევასა და განათლებაზე. ევროკავშირში შესვლის მომენტისთვის კვლევასა და შემუშავებაზე ხარჯები მშპ-ს 0,48% შეადგენდა, ხოლო ბიზნეს სექტორის კმ ხარჯები - მშპ-ს მხოლოდ 0,2%. შესაბამისი რიცხვები საშუალოდ ევროკავშირში იყო 2,01% და 1,25%. აქედან - სუსტი კავშირები წარმოებასა და მეცნიერებას შორის და, შესაბამისად, განვითარების ყველა იმედის დაკავშირება არაკვლევით ინოვაციასთან.



ნახ. 1. სლოვაკეთი ევროპის ცენტრში³

³ წყარო: Slovak Investment & Trade Development Agency

ამავე დროს, სლოვაკეთში *მსს განვითარების სააგენტო* უკვე 1993 წელს იყო შექმნილი (National Agency for Development of Small and Medium Enterprises (NADSME)). 2003 წელს შეიქმნა *რეგიონული განვითარების სააგენტოების ქსელი* (25 სააგენტო) (Integrated Network of Regional Development Agencies), ძირითადად, *მშენებლობისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს* (Ministry of Construction and Regional Development) ინიციატივით, თუმცა, ზოგიერთი - ადგილობრივი მმართველობის ინიციატივითაც. ამ ორგანიზაციებს საქმიანობაში ძლიერი ინოვაციური შემადგენელი ჰქონდათ. 2007 წელს შეიქმნა სლოვაკეთის *ინოვაციისა და ენერჯის სააგენტო* (Slovak Innovation and Energy Agency), რომელმაც 2009 წლიდან *რეგიონული საინოვაციო ცენტრების* (Regional Innovation Centres) ქსელის შექმნა დაიწყო. გარდა ამისა, უკვე 1992 წლიდან დაიწყო *რეგიონული საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრების* (Regional Advisory and Information Centres (RAIC)) და *ბიზნეს ინოვაციის ცენტრების*, აგრეთვე, *ბიზნეს-ინკუბატორების* (Business Innovation Centres and Business Incubators (BIC/BI)) და *პირველი კონტაქტის ცენტრების* (First Contact Points) შექმნა.

ამჟამად ეს მრავალრიცხოვანი ცენტრები ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავენ. ზემოაღწერილ ორგანიზაციებს საკუთარი შემოსავლებიც გააჩნიათ, მაგრამ, დიდწილად, ისინი დახმარებას იღებენ როგორც ევროკომისიიდან (სტრუქტურული ფონდები), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან. საშუალოდ, საჯარო სახსრებზე მათი დამოკიდებულება 60%-ა. *რეგიონული საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრები* არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი. მათ ასოციაციების სამართლებრივ-ორგანიზაციული სტატუსი აქვთ. მრავალი ცენტრი ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივით შეიქმნა და ზოგიერთი მათგანის მფლობელებიც ისინი არიან.

ადგილობრივ თვითმმართველობებს კორპორაციული გადასახედების 40% ადგილზე დატოვების შედეგად გააჩნიათ საკმარისი სახსრები რაც მათ ბიზნესის განვითარებისკენ უბიძგებს. ადგილობრივი თვითმმართველობები ხშირად უძრავი ქონების მსხვილი მესაკუთრეებიც არიან, რაც მათ საშუალებას აძლევს განკარგონ ქონება, აგრეთვე შეიძინონ და გაყიდონ ქონება ბიზნესის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. მათ სხვა ბერკეტებიც გააჩნიათ - ბიზნესზე ზედამხედველობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და განკარგვა, საზოგადოებრივი მომსახურება (წყალმომარაგება, კანალიზაცია, გარე განათება და ა.შ.). მათ შეუძლიათ შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში სხვა ადმინისტრაციულ ინსტიტუტებთან, მათ შორის სხვა თვითმმართველობებთან და კერძო ორგანიზაციებთან. ამ ბერკეტების გამოყენებითა და ზემოაღწერილი ბიზნესის ხელშემწყობი ორგანიზაციების

დახმარებით თვითმმართველობებმა, თანდათან, უფრო რთული წარმონაქმნების - ინდუსტრიული პარკების დაგეგმვა და ფორმირება დაიწყო⁴.

2.2. ინდუსტრიული პარკები და კლასტერები

ამჟამად, სლოვაკეთში დაახლოებით 20 ინდუსტრიული პარკი არსებობს. მათი პროფილი, დანიშნულება, სიდიდე და ეფექტიანობა სხვადასხვაა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ყველა პარკი რთული ობიექტია (იხ. ნახ. 2. - ინდუსტრიული პარკი დეტვა), რომლის შექმნა თვითმმართველობისგან მაღალ კომპეტენციასა და ინვესტორებთან, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რთული მოლაპარაკების უნარს მოითხოვს. დახმარების მისაღებად *სლოვაკეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოში* (Slovak Investment & Trade Development Agency, SARIO) წინადადების შეტანის უფლება, 2001 წლის ინდუსტრიული პარკების მშენებლობის შესახებ კანონის (Act No 193/2001 On support for the establishment of industrial parks in Slovakia) თანახმად, მხოლოდ თვითმმართველობას აქვს. ამავე დროს თვითმმართველობა დახმარების ერთადერთი უფლებამოსილი მიმღებია.

ყველაზე დიდ, ზაჰორიეს პარკს 1,300 ჰა ფართობი უკავია, შედარებით მცირეებს - რამდენიმე ჰა. ზოგიერთი, მაგალითად, ზაჰორიეს (Zahorie) პარკი, რომელსაც „ევროველის“ უწოდებენ, განკუთვნილი იყო „ფოლქსვაგენ სლოვაკიას“ მაკომპლექტებლების მიმწოდებელი კომპანიებისთვის და სათანადოდ „ფოლქსვაგენის“ მიერ იყო დაფინანსებული, სხვები - ადგილობრივი ინვესტორების მიერ. პარკებში ინვესტორს ხვდება მზა ინფრასტრუქტურა, არენდის ან მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობები. ამდენად, პარკები ინვესტორთა მოზიდვის და სამუშაო ადგილების წარმოქმნის ეფექტიანი მექანიზმია. თითოეულში ათასობით მუშახელია დასაქმებული.

კიდევ უფრო რთულ და სერიოზულ დაგეგმვას მოითხოვს საწარმოო კლასტერების განვითარების ღონისძიება. სლოვაკეთში თვითმმართველობები ამასაც წარმატებით ართმევენ თავს. ამჟამად სლოვაკეთში დაახლოებით 25 კლასტერია, რომელთაგან ზოგიერთი ნახ. 3-ზეა ნაჩვენები.


⁴ Lubica Lesáková. Establishing Industrial Parks for the Development of the Slovak Economy
http://kgk.uni-obuda.hu/system/files/2_LubicaLesakova.pdf



ნახ. 2. ინდუსტრიული პარკი „დეტვა“

ზოგიერთი კლასტერი წარმოიქმნა დიდი ინვესტორის შემოსვლის შედეგად, რომელსაც სჭირდებოდა ნაწილებითა და კომპონენტებით მომმარაგებელი მრავალრიცხოვანი ახლომდებარე საწარმოები. ასეთებია „ფოლკსვაგენის“ ავტომშენებლობის კლასტერი ბრატისლავას, „პეჟოსა“ და „სიტროენის“ კლასტერები ტრნავა-ნიტრას, ხოლო „სამსუნგის“ და „კია მოტორსის“ კლასტერი ტრენჩინ-ჟილინას რეგიონებში. მსხვილ ავტოქარხნებში ათასობით ადამიანია დასაქმებული. წარმოების მაკომპლექტებლებით უზრუნველსაყოფად მათთან კონტრაქტით ათობით ელექტროტექნიკური, ლითონგადამამუშავებელი, პლასტმასის დამამუშავებელი და სხვა მცირე და საშუალო საწარმო უნდა მუშაობდეს. სასურველია, რომ ისინი ძირითად წარმოებასთან და ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობდნენ. ამ შემთხვევაში გაადვილებულია თანამშრომლობა და მცირდება სატრანსპორტო ხარჯები. კლასტერის წარმოქმნის მოტივიც ესაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვილმა ინვესტორებმა თვითონ იზრუნეს ასეთი სატელიტი ფირმების მოზიდვაზე, მათ შორის ინდუსტრიული პარკების შექმნით. მათ დაარწმუნეს მაკომპლექტებელი კომპანიები, რომ სლოვაკეთში მათი საქმიანობა მომგებიანი იქნებოდა. ადგილობრივი მმართველობა ხელს უწყობდა გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას, მიწის გამოყოფას. იგი შუამავლობდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რათა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მიეღო დახმარება (როგორც აღვნიშნეთ, კანონის თანახმად, მხოლოდ მას აქვს უფლება მიიღოს ასეთი დახმარება).

ზემოაღნიშნული საავტომობილო კლასტერების შემთხვევაში კიდევ ერთი თავისებურებაა აღსანიშნავი: ამ საწარმოებისთვის საჭირო კვლევითი სამუშაოები ტარდება სლოვაკეთის გარეთ, კომპანიების ცენტრალურ სტრუქტურებში. ადგილობრივი უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები მხოლოდ მუშაობის დაწყების შემდეგ, თანდათან, ერთვებიან კლასტერის საქმიანობაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტორებისთვის რეგიონების არჩევისას ადგილობრივი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების არსებობა და ხარისხი მნიშვნელოვან მიმზიდველობის ფაქტორს წარმოადგენდა.



ნახ. 3. ინდუსტრიული ზონები და საწარმოთა კლასტერები სლოვაკეთში⁵

ეს მსხვილი კლასტერები, აგრეთვე *ძწვანე ინვესტირების* მაგალითებია⁶.

2.3. თვითმმართველობის ინიციატივები

არსებობს კლასტერის წარმოქმნის სხვა შემთხვევებიც, კერძოდ, როდესაც კლასტერი მთლიანად დაიგეგმა თვითმმართველობის მიერ საწარმოთა განვითარების ზემოხსენებული ცენტრების (RAIS, BIC, RDA და სხვ.) თანამონაწილეობით. ასეთია, მაგალითად, ბანსკა ბისტრიცას რეგიონში I-ლი *სლოვაკური საინჟინრო კლასტერი* (იხ. ნახ. 3).

ბანსკა ბისტრიცა სლოვაკეთის შედარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონს მიეკუთვნება. 2008 წელს, როდესაც კლასტერი დაიგეგმა, სულზე შემოსავალი რეგიონში ევროკავშირში საშუალოს 55% შეადგენდა, ხოლო სლოვაკეთში სულზე შემოსავალი ევროკავშირში

⁵ წყარო: Slovak Investment & Trade Development Agency

⁶ ძწვანე ინვესტირება - ინვესტირება, როდესაც ინვესტორი მანამდე არარსებულ ობიექტებს ქმნის (განსხვავებით ყავისფერი ინვესტირებისგან, რომელიც არსებული ობიექტების შექმნას ნიშნავს).

საშუალოს 75% შეადგენდა. რეგიონის ფართობი 9,450 კმ², მოსახლეობა - 650 ათ. ესაა დიდწილად სოფლის მეურნეობის რეგიონი (მოსახლეობის სიმჭიდროვე 69 კაცი /1 კმ²). მისი ტერიტორიის 49% ტყეს უკავია. მთავარი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ხის დამუშავება, ქიმია და ფარმაცია, მინის და კერამიკის წარმოება, კვების მრეწველობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტურიზმი.

ბანსკა ბისტრიცას რეგიონის კლასტერში 22 ორგანიზაცია გაერთიანდა. მათ შექმნეს საბჭო, რომელშიც ყველა ორგანიზაციიდან თითო წევრი შევიდა. კლასტერი იურიდიულად საწარმოთა ასოციაციას წარმოადგენს. შემადგენლობა ასეთია: ბანსკა ბისტრიცას თვითმმართველობა, 10 მანქანათმშენებელი კომპანია, კვლევითი ინსტიტუტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, საკონსულტაციო კომპანია, 8 საინჟინრო კოლეჯი, რომელთა ძირითადი გაცხადებული მიზნებია:

- საინჟინრო საქმის პოპულარიზაცია;
- კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის ხელშეწყობა;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მომარაგებისა და გასაღების ჯაჭვების განვითარება;
- ახალ ტექნოლოგიებსა და მანქანებში ინვესტიციების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

ამასთანავე, ბანსკა ბისტრიცას რეგიონის კლასტერის სტრატეგიული მიმართულებებია:

1. მანქანები სოფლის მეურნეობისა და სატყეო სექტორისთვის;
2. მანქანები მშენებლობისა და ტრანსპორტის სექტორებისთვის;
3. ენერგეტიკული დანადგარები, განკუთვნილი ბიომასის გამოყენებისა და სხვა განახლებადი წყაროებისთვის.

კლასტერის დაგეგმვა სტრატეგიულ ხედვას საჭიროებს. შესაბამისად, ბანსკა ბისტრიცას თვითმმართველობამ დაამტკიცა, რომ მას მაღალი კომპეტენცია გააჩნია. იგი წლების განმავლობაში კლასტერის მართვის ხარჯების დიდ ნაწილს (40%) ფარავს და შემდგომ განვითარებაზე მუშაობს, კერძოდ:

- დეტვაში ინდუსტრიული პარკის დასრულება;
- დეტვას პარკში საინჟინრო-ინოვაციური ცენტრის შექმნა;
- საერთო სარგებლობის საცდელი ლაბორატორიების შექმნა;
- თვითმმართველობასთან არსებული კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნება და სხვა.

2013 წელს კლასტერების ევროპულ კონკურსში I-ლმა *სლოვაკურმა საინჟინრო კლასტერმა* ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (სულ 8 სლოვაკურმა კლასტერმა მიიღო ბრინჯაოს მედალი).

3. თურქეთი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

თურქეთს ევროინტეგრაციის დიდი გამოცდილება გააჩნია, თანაც საქართველოს უახლოესი მეზობელი ქვეყანაა. იგი მასშტაბებით მკვეთრად განსხვავდება საქართველოსგან (მოსახლეობა - 76,7 მლნ., ტერიტორია - 783,600 კმ², მშპ (PPP)⁷ - 1,4 ტრილიონი დოლარი, მშპ სულზე (PPP) - 18,400 აშშ დოლარი), თუმცა რამდენიმე მიზეზით ჩვენთვის მაინც საინტერესოა.

პირველი ისაა, რომ თურქეთმა სულ ახლახან გაიარა ევროინტეგრაციის რთული პროცესის დიდი ნაწილი, რომელიც საქართველოს გასავლელი აქვს. ეს პროცესი ახლაც გრძელდება. თურქეთი 1963 წლიდან ევროკავშირის ასოცირებული წევრია, 1995 წლიდან - ევროპული საბაჟო კავშირის წევრი, ხოლო 2005 წლიდან - ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ეს პროცესი ფაქტიურად ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამა თუ იმ მიზეზით, ხშირად მოგზაურობს თურქეთში და ცვლილებებს თვალნათლივ ხედავს. მეორე ისაა, რომ თურქეთმა, გადმოიღო რა ევროპული გამოცდილება, ძალიან ბევრი გააკეთა საინოვაციო პოლიტიკის რეალიზაციის, მათ შორის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის მიმართულებით.

სლოვაკეთისგან განსხვავებით, თურქეთში რეგიონული თვითმმართველობა ზედა დონეებზე არ არსებობს. 12 მსხვილ რეგიონს (1-ლი დონის - EU NUTS-1) და 26 ქვერეგიონს (მე-2 დონის - EU NUTS-2) მართავენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული ადმინისტრაციები. არჩეული მმართველობა მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე ფორმირდება. ამდენად, ინციატივები „ქვემოდან ზემოთ“, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, არ არსებობს. ადგილობრივი განვითარების პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტა ცენტრალური ხელისუფლების ამოცანაა. იგი ამ ამოცანას **26 რეგიონული განვითარების სააგენტოს** მეშვეობით ახორციელებს. 2006 წლიდან რეგიონული განვითარების სააგენტო ყოველ ქვერეგიონშია შექმნილი და *განვითარების სამინისტროს* ექვემდებარება. ბოლო დრომდე ინოვაციური განვითარების საკითხები საერთო რეგიონული განვითარების ნაწილს წარმოადგენდა და ცალკე არ იხილებოდა. მიუხედავად ამისა ინოვაციური განვითარების ზოგიერთი მექანიზმი დიდი ხანია მოქმედებს.

⁷ Purchase Power Parity - ექვივალენტი მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით (და არა მხოლოდ ეროვნული ვალუტისა და აშშ დოლარის გადაყვანის ოფიციალური კურსის).



ნახ. 4. თურქეთის 12 რეგიონი (NATS-1 დონე)

3.2. ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და თავისუფალი ზონები

2001 წელს მიღებული იყო კანონი *ტექნოლოგიების განვითარების ზონების (ტექნოპარკების)* შესახებ. ამჟამად 34 ზონაა დაფუძნებული (მაგალითი იხ. ნახ. 5. - ანტალიის ტექნოპარკი), რომელთაგან 16 მუშაობს. 6 ზონაა ანკარაში, 5 - სტამბოლში, კოჩაელიში - 4, იზმირში - 3. ნახ.6.-ზე მონიშნულ დანარჩენ პროვინციებს თითო ტექნოპარკი გააჩნიათ. ტექნოპარკებში მოქმედ კომპანიებს კორპორაციულ და საშემოსავლო გადასახადებზე დიდი შეღავათები აქვთ დაწესებული 2023-2024 წლამდე. ხელისუფლება წყვეტს, მიზანშეწონილია თუ არა კონკრეტული კომპანიის ტექნოპარკში მოქმედება. ზონების ნაწილი უნივერსიტეტებთანაა დაფუძნებული, ნაწილი - კვლევით ორგანიზაციებთან, ზოგიერთი - დამოუკიდებლად. ზოგ ტექნოპარკში რამდენიმე ათეული, ზოგან კი რამდენიმე ასეული ადამიანი მუშაობს.



ნახ. 5. ანტალიის ტექნოპარკი



ნახ. 6. ტექნოლოგიების განვითარების ზონები თურქეთში

2000 წლიდან შეიქმნა სხვა ტიპის ზონები, ე.წ. *ორგანიზებული საწარმოო ზონები*⁸, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ინოვაციასთან (უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ასევე პროვინციებისთვის ორგანიზაციულ ინოვაციას წარმოადგენდნენ). ამჟამად 276 ზონაა დაფუძნებული (იხ. ნახ. 7), რომელთაგან 181 მუშაობს, ხოლო 95 მშენებლობის პროცესშია. *ორგანიზებულ საწარმოო ზონებში* ტექნოპარკებთან შედარებით შეღავათები ნაკლებია, თუმცა საგრძნობი. მიწის შეძენა და გაყიდვა არ იბეგრება, კომპანია წარმოების გაშვების თარიღიდან დაწყებული 5 წლით უძრავი ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია, დაბალია კომუნალური ხარჯებიც. დიდია ზონაში მოქმედებისგან მიღებული სხვა სარგებელიც. საწარმოთა მაღალი კონცენტრაციის გამო ადვილია თანამშრომლობა, ცოდნის გადაცემა, დამატებითი ექსპერტიზის მიღება, იმ ოპერაციების ჩატარება, რომელიც საკუთარ ბაზაზე შეუძლებელია. ადვილია სწავლების ორგანიზება, მარკეტინგის ზოგიერთი ოპერაციის ჩატარება (მაგალითად, გამოფენებისა და პრეზენტაციების ერთობლივად მოწყობა). სხვა სიტყვებით, მცირდება მოლაპარაკებებისა და ოპერაციების/ტრანზაქციების ხარჯები.

ორგანიზებული საწარმოო ზონები მსხვილი წარმონაქმნებია. მათ რამდენიმე ჰექტარიდან რამდენიმე ასეულ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთები უკავიათ. ყველაზე მსხვილი ზონაა „ოსტიმი“ (Ostim) ანკარაში (იხ. ნახ. 8). მას 500 ჰა ნაკვეთი უკავია. ზონაში 5,000 მცირე და საშუალო საწარმო მოქმედებს (თურქეთის კანონმდებლობით საშუალოა საწარმო, სადაც 250-

⁸ Organized Industrial Zones Law #4562, April 12, 2000

ზე ნაკლები მუშახელია). პერსონალის ჯამური რაოდენობა 50,000 აღემატება. ძირითადი დარგებია: მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება, ლითონდამუშავება, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა, სამშენებლო მანქანები, ავტომშენებლობა, პლასტმასის და რეზინის ნაკეთობები, სამედიცინო აპარატურა. „ოსტიმისა“ და კიდევ 9 ორგანიზებული ზონის შექმნით წინა საუკუნის 90-იან წლებში მოხერხდა ანკარის ინდუსტრიულ ქალაქად გარდაქმნა. მანამდე იგი, როგორც დედაქალაქი, მოხელეთა და მომსახურების სფეროს ქალაქს წარმოადგენდა.



ნახ. 7. ორგანიზებული საწარმოო ზონები თურქეთში



ნახ. 8. ორგანიზებული საწარმოო ზონა „ოსტიმი“

კიდევ ერთი ტიპის ზონებია **თავისუფალი ზონები**, ისინი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გარეთ, გეოგრაფიულად კი ადმინისტრაციული საზღვრის შიგნით მდებარეობენ. 1985 წლიდან⁹ დაწყებული 20 ზონა შეიქმნა. აქედან მუშაობს 19. ზონები, ძირითადად, იქ მდებარეობენ, სადაც ხელმისაწვდომია კარგი სატრანსპორტო კომუნიკაციები. საქმე იმაშია, რომ იქ დაფუძნებული კომპანიები მნიშვნელოვანწილად ექსპორტზე მუშაობენ. მათთვის მნიშვნელოვანია პორტების სიახლოვე. ამ ზონებში ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა ხდება.

ზონაში მოქმედი კომპანიები მთლიანად (100%) თავისუფლდებიან: საბაჟო, კორპორაციული მოგების (საწარმოს შემთხვევაში), თანამშრომელთა საშემოსავლო (თუკი ზონაში წარმოებული პროდუქციის 85% ექსპორტზე გადის) გადასახადებისაგან. ზონაში წარმოებული პროდუქცია შეიძლება დარჩეს იქვე განუსაზღვრელი ვადით. მოგების გატანა შეუზღუდავადაა შესაძლებელი სხვა ქვეყნებში ან თურქეთში. დაშვებულია 100% უცხოური მფლობელობა. თურქეთისთვის თავისუფალი ზონებიც სერიოზულ ორგანიზაციულ ინოვაციას წარმოადგენდა. ქვეყნისთვის ასეთი ზონები განვითარების კერას წარმოადგენენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ზონას საწარმოო (და არა სასაწყობო) პროფილი აქვს. ზონებში მომუშავე თურქი პერსონალი ახალ ცოდნას ითვისებდა, რომელიც შემდეგ თანდათან ვრცელდებოდა ქვეყანაში.



ნახ. 9. თავისუფალი ზონები თურქეთში

⁹ Free Zone Law # 3218, 1985

3.3. რეგიონული საინოვაციო სისტემები

1990 წელს დაფუძნდა *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის სააგენტო (KOSGEB)*¹⁰. მისი უმთავრესი დანიშნულებაა მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარება და გამრავლება. ამას ის რამდენიმე დირექციის მეშვეობით ახორციელებს, მათ შორისაა *ტექნოლოგიებისა და ინოვაციის დირექცია*. KOSGEB მჭიდროდ თანამშრომლობს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან. რეგიონებში გახსნილი განყოფილებების მეშვეობით იგი 22 სახის დახმარებას უწევს საწარმოებს. განყოფილებები ოთხი სახისაა: 25 საწარმოთა განვითარების ცენტრი (iGEM), გახსნილი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე *ორგანიზებულ საწარმოო ზონებში*; უნივერსიტეტებში გახსნილი 18 *ტექნოლოგიის განვითარების ცენტრი (TEKMER)*; *ორგანიზებულ საწარმოო ზონებში* გახსნილი 10 *საცდელი ლაბორატორია* - ეხმარება მცირე საწარმოებს პროდუქციისა და მოწყობილობების გამოცდასა და ანალიზში, რაც სხვაგვარად მიუწვდომელი იქნებოდა მცირე საწარმოსათვის; 41 *სინერჯის ცენტრი*, ორგანიზებული არასამთავრობოებთან და სავაჭრო პალატებთან კოოპერაციით, იმ პროვინციებსა და ზონებში, სადაც განყოფილებები ჯერ არ გახსნილა.

ფორმალიზებული საინოვაციო პოლიტიკა თურქეთში ჩამოყალიბდა 2007 წელს *ეროვნული საინოვაციო ინიციატივის* სახით¹¹. მისი ქვეამოცანებია:

- ინოვაციის პროცესის მართვის რეგიონალიზაცია რეგიონული განვითარების სააგენტოებზე დაყრდნობით;
- რეგიონული ინოვაციის სტეიკჰოლდერების დადგენა და გაერთიანება;
- ინოვაციის მხარდამჭერი ზომების დეცენტრალიზაცია;
- ორი პილოტური რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარება და გამოცდილების სხვა რეგიონებისთვის გადაცემა.

პირველი პილოტური რეგიონული საინოვაციო სისტემა განავითარეს იზმირში „იზმირის რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის საფუძველზე“, რომელიც ადგილობრივმა სტეიკჰოლდერებმა იზმირის რეგიონული განვითარების ცენტრის დაფინანსებით შეიმუშავეს. ეს სტეიკჰოლდერებია:

- 9 უნივერსიტეტი (4 სახელმწიფო და 5 კერძო), მათში არსებული 47 საინჟინრო ფაკულტეტით (ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტებში);
- 20 საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრი (სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში);

¹⁰ Law #3264, 1990

¹¹ Marina Ranga. A Triple Helix Systems Strategy for Enhancing Regional Innovation in Izmir. 9th INSME Conference, Izmir, May 22, 2013.

- უნივერსიტეტებს დაქვემდებარებული 27 კვლევითი ინსტიტუტი;
- სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი 8 კვლევითი ინსტიტუტი;
- 34 საშუალო ტექნიკური სასწავლებელი;
- 1 ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (Ege University)¹²;
- 1 ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი (Ege University, KOSGEB-ის დაფუძნებული);
- 1 ტექნოპარკი;
- 23,750 საწარმო (99,8% მიკრო, მცირე და საშუალო, 0,1% - დიდი (მათ შორის 7 შედის თურქეთის 100 უმსხვილესი საწარმოს სიაში));
- იზმირის სავაჭრო პალატა;
- იზმირის რეგიონული განვითარების სააგენტო (განვითარების სამინისტრო);
- სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლობები იზმირის რეგიონში (KOSGEB, TÜBİTAK, მეცნიერების, მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტრო და სხვა).

იზმირის უნივერსიტეტებში და კვლევით ინსტიტუტებში 7,300 მკვლევარი მუშაობს. საწარმოების უმთავრესი მიმართულებებია ავტომშენებლობა, ქიმია, ფარმაცია, კვების პროდუქტები, მანქანები და იარაღები, ქსოვილები. შესაბამის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაფართოებას მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეუძლია. იზმირის რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარების მიზანია რეგიონის კონკურენტუნარიანობის, აგრეთვე ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა, პროდუქციისა და პროცესების განახლება. ამჟამად ანალოგიური სისტემების სრულყოფის პროცესში სხვა რეგიონებიც ჩაერთვნენ.

4. დასკვნა

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნის რეგიონების მოწყობისა და მართვის ტრადიციაზე. ნაჩვენებია, აგრეთვე, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის როლი რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს როლი განსხვავებულია სლოვაკეთსა და თურქეთში, რადგანაც განსხვავებულია ამ ქვეყნების მართვის დეცენტრალიზაციის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ორივე ქვეყანაში შემუშავებულია და მოქმედებს რეგიონული ინოვაციის ის ინსტრუმენტები, რომელიც ევროკავშირის საერთო გამოცდილებას და სტრატეგიულ დოკუმენტებს შეესაბამება. ორივე

¹² ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები იქმნება ან უნივერსიტეტის, ან მთავრობის ინიციატივით (მაგალითად, TÜBİTAK-მა გამოაცხადა კონკურსი უნივერსიტეტებში 10 ცენტრის შესაქმნელად. 10 უნივერსიტეტი წლიურად მიიღებს 1 მლნ. თურქულ ლირას ცენტრების მუშაობის უზრუნველსაყოფად).

ქვეყანაში საინოვაციო პროცესში, ჩართული არიან იგივე მოთამაშეები (ისევე, როგორც ევროკავშირის ყველა ქვეყანაში). თუმცა არსებობს განსხვავებაც. მაგალითად, თურქეთი უფრო აქტიურად იყენებს *თავისუფალ ზონებსა და ორგანიზებულ ინდუსტრიულ ზონებს*, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ნაკლებადაა გამოყენებული. სლოვაკეთში კი, თურქეთისგან განსხვავებით გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვითმმართველობების ინიციატივები. საქართველოს, როგორც არაწევრ, არაკანდიდატ ქვეყანას მოქმედებაში შედარებით მეტი თავისუფლება გააჩნია და, აქედან გამომდინარე, შეუძლია ორივე ქვეყნის გამოცდილება გამოიყენოს. უფრო მეტიც, მიმდინარე ეტაპზე მას, გარკვეული სიფრთხილით, სხვა, არაევროპული ქვეყნების გამოცდილების გამოყენებაც შეუძლია. როგორც ჩანს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონები მრავალი ნიშნით ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება, მათ საინოვაციო სტრატეგიაში შეიძლება აპრობირებული ინსტრუმენტების სხვადასხვა ნაზავი იყოს გამოყენებული.

რეზიუმეები

ოლეგ შატბერაშვილი

საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში:

რეგიონული პოლიტიკა

მე-20 საუკუნეში ის ქვეყნები განვითარდნენ, რომლებმაც სახელმწიფო მართვა სამეცნიერო ექსპერტიზაზე დააფუძნეს, ხოლო ეკონომიკური პროცესები ინოვაციის გზით წარმართეს. ინოვაციის გზით განვითარება ნიშნავს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას მართვის ყველა დონეზე - როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის. ეს მიდგომა (საერთაშორისო პრაქტიკით, პირველ რიგში ევროპულით, შემოწმებული) ფართოდ უნდა იქნას გაზიარებული საქართველოშიც და კამათს არ უნდა იწვევდეს. საქართველოს ევროინტეგრაციული მისწრაფებები, გამოხატული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მომზადებასა და პარაფირებაში, ამ მოსაზრებას აძლიერებს. ამავე დროს მართვის ყველა დონეზე უნდა არსებობდეს ზუსტი აღქმა საინოვაციო პოლიტიკის არსისა და მისი მექანიზმების. საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების დონეზე რეგიონებთან შედარებით ამ მხრივ მეტია გაკეთებული. სტატია განიხილავს საინოვაციო პოლიტიკის არსსა და მექანიზმებს.

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ნაწილი და პირობაა. საქართველოში, მიუხედავად 2010 წელს მთავრობის მიერ რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიღებისა, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით წინსვლა არ ყოფილა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ხსენებული სტრატეგია დონორების კატეგორიული მოთხოვნით იყო მიღებული. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ცნობილ და მრავალჯერ დადასტურებულ ფაქტს: მუშაობს მხოლოდ ის სტრატეგია, რომელიც (1) დაკვეთილია ქართული საზოგადოების მიერ და (2) შემსრულებლებიც ქართველი ავტორები არიან (საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით, მათ შორის, უცხოელი ექსპერტების ჩართვით). საქართველოს პრობლემები გადაწყდება მხოლოდ ქართული საზოგადოების და ქართველი სპეციალისტების ჩართულობის შემთხვევაში. ანალოგიურად, რეგიონების განვითარების საკითხები, მათ შორის საინოვაციო პოლიტიკის საკითხები, ვერ გადაწყდება ადგილობრივი საზოგადოებისა და თვითმმართველობის ჩართულობის გარეშე.

არსებობს მრავალი მაგალითი (პირველ რიგში ევროკავშირში) იმისა, რომ რეგიონული მმართველობა, დაინტერესებული ინსტიტუტებისა და საზოგადოების ჩართულობის პირობებში, ახერხებს რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსების მობილიზაცია (უნივერსიტეტების, კერძო ბიზნესის, სხვა დაინტერესებული მოთამაშეების) საშუალებას იძლევა საერთაშორისოდ აღიარებულიდან გადაირჩეს და განვითარდეს ის ინსტრუმენტები, რომლებიც მიზანშეწონილი და რეალიზებადია კონკრეტულ ადგილობრივ პირობებში. საქართველოში რეგიონების ინოვაციური განვითარებისთვის საჭირო წინაპირობები და

ზოგიერთი პრაქტიკული ინსტრუმენტი უკვე შექმნილია 2013-2014 წლებში: გაზრდილია ხარჯები კვლევასა და შემუშავებაზე, შექმნილია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, მიმდინარეობს მუშაობა საინოვაციო სტრატეგიაზე, ამუშავდა შეღავათიანი კრედიტები სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში და სხვა. რეგიონებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა ეფექტიანად გამოიყენონ ეს შესაძლებლობები.

ლევან დადიანი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროკავშირსა და დანარჩენ

მსოფლიოში: ორიენტირები საქართველოსთვის

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა საქართველოსთვის სოციალური თანაცხოვრებისა და წარმოების ორგანიზების თვალსაზრისით ინოვაციას წარმოადგენს. საქართველოში წინა საუკუნის 90-იან წლებში სოციალისტური ფორმაციისა და კოლექტიური მეურნეობების კრახის შემდეგ საკმაოდ ქაოტურად და არაგეგმავომიერად წარმოებულმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმამ წარმოშვა 800,000-მდე მცირე გლეხური მეურნეობა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე თავისი ეკონომიკური ბაზის სიმწირიდან, დაბალი მსყიდველობით და კრედიტუნარიანობიდან გამომდინარე მსხვილ ბიზნეს ოპერატორებთან შედარებით მეტად არათანაბარ პირობებში იდგა; სწორედ ამიტომ ამ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა დღესაც ნატურალურ, არაკომერციულ მეურნეობას მისდევს და ქვეყნის სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მდგარი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სწორედ რომ ამ გლეხური მეურნეობებით არის წარმოდგენილი. აღწერილ მეურნეობათა კომერციულ და მომგებიან საწარმოებად გადაქცევისა და ამით სასოფლო-სამეურნეო დარგის მდგრადი და მზარდი განვითარების უზრუნველსაყოფად მოწინავე საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დარგის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საწყისეობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს ყველაზე სიცოცხლისუნარიან სისტემას, რომლის პირობებშიც აგრო ბიზნეს სუბიექტებს და მათ შორის განსაკუთრებით მცირე ფერმერებს საშუალება ეძლევათ მაქსიმალურად აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა და სამომხმარებლო და სარეალიზაციო ბაზრებზე გაამყარონ თავიანთი სავაჭრო პოზიციები.

საქართველოში ამჟამად საკანონმდებლო დონეზე, მცირე გლეხობისა და ოჯახური მეურნეობების როგორც სოფლად ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის ინტერესები წინა პლანზე არის წამოწეული, თუმცა მხოლოდ საკანონმდებლო მხარდაჭერა განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად საკმარისი ნამდვილად არ არის. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გრძელვადიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რასაც საკმაოდ საგულისხმო ექსპერტიზა, ცოდნა, გამოცდილება და სხვა სათანადო რესურსები სჭირდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრისთვის მთავრობის როლი შემდეგ საპროგრამო მიმართულებებსა და პრინციპებს უნდა დაეფუძნოს: ფერმერების საქმიანობაში ჩაურევლობა

და კოოპერაციული პრინციპების დაცვა; ხელშემწყობი საკანონმდებლო და სარეგულაციო ბაზა; პოლიტიკური მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეკონსტრუქცია; ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; საკონსულტაციო და სამეცნიერო მხარდაჭერა. თვით პროგრამული ორიენტირები სამ ძირითად ქვეჯგუფად შეიძლება მოვიაზროთ: ცნობიერების ამაღლება და განათლება; ინვესტიციები, სერვისები და ექსტენსია; ლობირება და ადვოკატირება. მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კოოპერაციული სისტემის მრავალსახოვნება და სირთულე მოითხოვს, რომ მხარდაჭერის პროგრამები სამივე აღნიშნულ სფეროში პარალელურად დაიგეგმოს და განხორციელდეს.

დავით გაბუნია

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

სტატია ეძღვნება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებს, მათთან დაკავშირებულ ქმედებათა მიმოხილვას, რომლებიც უკანასკნელ წლებში ხორციელდება საქართველოში, და ევროინტეგრაციის კონტექსტში მათ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოში აგროსექტორის განვითარება და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა საჭიროებს ამ სფეროში ისეთი ინსტრუმენტების ფორმირებას და ეფექტურ გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მრავალფეროვანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, მისი ცნობადობის ამაღლებას და ბაზარზე დამკვიდრებას. დღეს მსოფლიოში ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის არსებობა, მისი განვითარება და სრულყოფილი ფუნქციონირება.

პროდუქტის მახასიათებლები, წარმოების ნოუ-ჰაუ და მოხმარებასთან დაკავშირებული გამოცდილება დროთა განმავლობაში აკუმულირდება უნიკალური პროდუქტის დასახელებაში, რომელიც ამ პროდუქტს სძენს მაღალ რეპუტაციას და იქცევა ღირებულ არამატერიალურ აქტივად. თუ ეს აქტივი დაკავშირებულია პროდუქტის წარმომავლობის გეოგრაფიულ ადგილთან, მაშინ ამ აქტივის აღიარება ხდება ამ პროდუქტის მიმართ გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებით. დღესდღეობით მსოფლიოში ცნობილია ათი ათასამდე გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 50 მლრდ. დოლარს. გეოგრაფიული აღნიშვნების ძირითადი რაოდენობა (90%) მოდის OECD ქვეყნებზე, უპირველეს ყოვლისა ისეთ ევროპულ ქვეყნებზე (მაგ. საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვ.), რომლებსაც გააჩნიათ მაღალხარისხიანი და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები და ადგილობრივ მოსახლეობაში დაგროვილი მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ცოდნა და ტრადიციები. ამჟამად ევროკავშირში, რომელსაც მოწინავე პოზიციები უკავია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სფეროში, არსებობს ამ სახელების რეგისტრაციის ერთიანი სისტემა და დაცულია სამი ათასზე მეტი აგროპროდუქტი, ღვინო და სპირტიანი სასმელი.

გეოგრაფიული აღნიშვნების ორმაგი ბუნება (ინტელექტუალური საკუთრება და ნებაყოფლობითი სტანდარტი) იძლევა საშუალებას ერთი მხრივ დავიცვათ მწარმოებელი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან და მეორე მხრივ შევქმნათ პირობები მაღალი ხარისხისა და განსაკუთრებული თვისებების მქონე პროდუქციის წარმოებისათვის. საყოველთაოდაა აღიარებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის პოზიტიური, ეკონომიკური, სოციალური და ბუნებადაცვითი ასპექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გეოგრაფიული აღნიშვნების როლი ქვეყნების რეგიონალურ განვითარებაში - მათი დაცვა ხელს უწყობს რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას; ამცირებს ამ ადგილებიდან სამუშაო ძალის გადინებას და პირიქით, სტიმულირებს სამუშაო ძალის მოზიდვას; ზრდის რეგიონის ცნობადობას და ხელს უწყობს აგრარული ტურიზმის განვითარებას.

საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის ბოლოს. დღესდღეობით დაცულია ეროვნული წარმოების 35 პროდუქტი (ღვინო, მინერალური წყლები, ყველი და სხვ.). საქართველო არის ამ სფეროში რიგი საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულების (მათ შორის ევროკავშირთან) მონაწილე ქვეყანა. ამჟამად, პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებით, რომლის მენეჯმენტში უშუალოდ იქნებიან ჩართული ადგილობრივი ფერმერების, მწარმოებლების და წარმოების ჯაჭვის სხვა მონაწილეებისაგან შემდგარი ასოციაციები. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პროდუქტის გეოგრაფიულ აღნიშვნების სპეციფიკაციებთან შესაბამისობის კონტროლის იერარქიული სისტემის ჩამოყალიბებას.

სერგო ესაკია

საქართველოში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა და ევროინტეგრაცია

სტატია ეძღვნება საქართველოში ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის პროექტს. ამ პროექტის და სხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც განხილულია ამ სტატიაში, საქართველოში ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა უნდა მოხდეს 2015 წლის 17 ივნისს.

საქართველოში ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა განპირობებულია იმით, რომ ციფრულ ფორმატს აქვს ძალიან ბევრი უპირატესობა ანალოგურ მაუწყებლობასთან შედარებით. პირველი და მთავარი არის ის, რომ უმჯობესდება სატელევიზიო სიგნალის ხარისხი და მას ემატება მთელი რიგი დამატებითი სერვისები და მეორე – თავისუფლდება სიხშირეთა რესურსი, რომელიც შეზღუდული ბუნებრივი რესურსია და იგეგმება მისი გამოყენება მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური სერვისების მისაწოდებლად.

ანალოგური მიწისზედა მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და მისი წარმატებით განხორციელება

დამოკიდებულია როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კოორდინირებულ და ეფექტურ მუშაობაზე. ამასთანავე, ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლა წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელოვან კომპონენტს და მისი წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 5 დეკემბერის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სათათბირო ორგანო „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო“. შედეგად 2014 წლის 7 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები“. ამ გეგმის მიხედვით საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე 2015 წლის 17 ივნისს უნდა გადავიდეს. სტატიაში დეტალურადაა განხილული სამოქმედო გეგმის ძირითადი კომპონენტები, განხორციელების ტექნიკური საშუალებები და ადმინისტრაციული რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლას ისე, რომ გარდამავალი პერიოდის ყოველ ეტაპზე მაუწყებლობა ხელმისაწვდომი დარჩეს მოსახლეობისთვის.

ოლეგ შატბერაშვილი

ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: სლოვაკეთი და თურქეთი

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირის მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი და განვითარების მძლავრი ინსტრუმენტია. შესაბამისად, ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის ამ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება სერიოზული გამოწვევაა, რომელსაც ქვეყანამ აუცილებლად უნდა უპასუხოს. ეს სრულად ეხება საქართველოსაც, სადაც რეგიონულ საინოვაციო პოლიტიკაზე საუბარი ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, თუმცა პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება. განსაკუთრებით საინტერესოა ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ და, აგრეთვე, წევრობის კანდიდატი ქვეყნები. ამ მიზნით შერჩეულია ორი ქვეყანა - სლოვაკეთი (წევრი) და თურქეთი (კანდიდატი). ამ არჩევანის დასაბუთება სტატიის ძირითად ნაწილშია მოყვანილი. განხილულია მათი რეგიონული საინოვაციო სტრატეგიები და ამ სტრატეგიების განხორციელების მიმდინარე შედეგები.

ნაჩვენებია, რომ რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ძლიერაა დამოკიდებული ქვეყნის რეგიონების მოწყობისა და მართვის ტრადიციაზე. ნაჩვენებია, აგრეთვე, ადგილობრივი და

ცენტრალური მთავრობის როლი რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს როლი განსხვავებულია სლოვაკეთსა და თურქეთშიც, რადგანაც განსხვავებულია მათი მართვის დეცენტრალიზაციის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ორივე ქვეყანაში შემუშავებულია და მოქმედებს რეგიონული ინოვაციის ის ინსტრუმენტები, რომელიც ევროკავშირის საერთო გამოცდილებას და სტრატეგიულ დოკუმენტებს შეესაბამება. ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად პროცესში ჩართული არიან იგივე მოთამაშეები და გამოიყენება დაახლოებით იგივე მექანიზმები. თუმცა არსებობს განსხვავებაც. მაგალითად, თურქეთი უფრო აქტიურად იყენებს *თავისუფალ ზონებსა და ორგანიზებულ ინდუსტრიულ ზონებს*, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ნაკლებადაა გამოყენებული. სლოვაკეთში თურქეთისგან განსხვავებით გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვითმმართველობების ინიციატივები. საქართველოს, როგორც არაწევრ, არაკანდიდატ ქვეყანას მოქმედებაში შედარებით მეტი თავისუფლება გააჩნია და, აქედან გამომდინარე, შეუძლია ორივე ქვეყნის გამოცდილება გამოიყენოს. უფრო მეტიც, მიმდინარე ეტაპზე მას, გარკვეული სიფრთხილით, სხვა, არაევროპული ქვეყნების გამოცდილების გამოყენებაც შეუძლია. როგორც ჩანს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონები მრავალი ნიშნით ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება, მათ საინოვაციო სტრატეგიაში შეიძლება აპრობირებული ინსტრუმენტების სხვადასხვა ნაზავი იყოს გამოყენებული.

SUMMARIES

Oleg Shatberashvili

Innovation Policy in EU and Georgia: Regional Policy

The countries, which successfully developed in the 20th century, were those which had based public administration on scientific expertise and directed economic processes on the way of innovation. The innovation-directed development means the innovation policy elaboration and implementation at all levels of management/administration, both national and regional. This approach (tested by international practice, primarily European) should be widely shared in Georgia as well, and should not be a subject of controversy. Georgia's aspirations to European integration, reflected in the preparation and initialing of the association agreement, strengthen this position. At the same time, there must be a clear-cut perception of the innovation policy essence and its mechanisms. In this respect, more has been done in Georgia at the central government level than at the regional one. The article considers the essence and mechanisms of the innovation policy.

The regional innovation policy is a necessary component and condition of the socio-economic development of regions. In Georgia, in spite of the adoption by the government of a regional innovation strategy in 2010, no progress towards development and implementation of an appropriate policy has been observed. The reason of it is also the circumstance that said strategy was approved upon categorical request of donors. This is another evidence of the known and repeatedly confirmed fact: operative is only a strategy, which (1) has been ordered by the Georgian society and (2) the executors of which are also Georgian authors (who use international experience, including the involvement of foreign experts). Georgia's problems will be solved only subject to the involvement of the Georgian society and Georgian specialists. Similarly, the problems of development in regions, including the innovation policy issues, will not be handled without the involvement of local community and local government.

There are many examples (first of all in the EU) showing that the regional government, under conditions of the involvement of interested institutions and society, manages to ensure competitiveness at a national and international level. The mobilization of local intellectual resources (universities, private business, and other interested actors) enables to select and develop from the internationally recognized instruments the ones that are most suitable and realizable under specific local conditions. The prerequisites for innovative development of regions and some practical instruments have already been created in Georgia in 2013-2014: the spending on R&D has increased, an Innovation and Technology Agency has been set up, the work on the innovation strategy is under way, preferential credits in the food sector are under operation, etc. Regions should spare no effort in order to make the best use of these opportunities.

Levan Dadiani

Agricultural Cooperatives in the European Union and the Rest of the World: Guiding Lines for Georgia

The agricultural cooperation in terms of social cohabitation and organization of production represents an innovation for Georgia. Following the collapse of the socialist formation and the collective farms in the 90s of the last century, the rather chaotically and unsystematically carried out agricultural land reform led to the origin of up to 800,000 small farms which, based on their scanty economic resources, low purchasing capacity and solvency, found themselves under rather unequal conditions on local and international markets as compared with large business operators; this is exactly why most of these farms are still engaged in subsistence, non-commercial farming and the absolute majority of the population being on the poverty level and below it is represented by these very farms. The advanced international experience of turning such farms into commercial and profitable enterprises and ensuring thus the sustainable and growing development of the agricultural sector demonstrates that the organization of the sector on the principles of agricultural cooperation represent the most viable system, under conditions of which the agribusiness subjects and particularly small farmers will be given a chance to maximally raise their competitive capacities and strengthen their positions on the consumer and sale markets.

The interest of small peasantry and family farms as of the main driving force are being prioritized at the legislative level in Georgia, although only the legislative support will not really suffice to ensure the development process. For effective realization of the Law of Georgia on Agricultural Cooperatives a long-term national policy should be elaborated and implemented, which will, in turn, require rather serious expertise knowledge, experience and other appropriate resources. The role of the government in determining the national agricultural cooperation development policy should be based on the following program directions and principles: non-interference into activity of farmers and compliance with the cooperative principles; the promotional legislative and regulatory base; political support; infrastructure construction and reconstruction; financial and institutional support; macroeconomic stability; advisory and scientific support. The program guiding lines proper can be perceived as follows: raising awareness and education; investments, services and extension; lobbying and advocacy. Of much importance is to give consideration to the fact that the cooperative system's diversity and complexity require that the support programs in all the three directions would be concurrently planned and implemented.

David Gabunia

Protection of Geographical Indications

The article is dedicated to the problems of protection of geographical indications, it gives a survey of the actions related thereto being carried out in Georgia and their importance for our country in the context of the European integration.

The agricultural sector's development and ensuring competitiveness of its products in Georgia require the formation and effective use in this sphere of the instruments that would foster in the country production of diverse, quality products, enhance their recognizability and market penetration. One of

the effective means for achieving this objective globally has been considered a system of geographical indications, its development and perfect functioning.

The characteristics of a product, production know how and the experience associated with consumption tend to accumulate in the course of time in the name of a unique good/product, rendering to it high reputation and becoming a valuable intangible asset. If this asset is associated with the origin of the product, then it is recognized by using the geographical indication in respect to this product. Currently, up to ten thousand of geographical indications are known in the world, the total worth of which makes USD 50 billion. The major percentage (90%) of geographical indications falls on the OECD countries, primarily on such European countries (e.g., France, Italy, Spain, etc.), which possess particularly favorable natural and climatic conditions and the rich and centuries-old knowledge and traditions necessary for quality and diverse agricultural and food production. Today, a single registration system of geographical indications exists in the European Union, which occupies leading positions in the domain of protection of geographical indications, and where over three thousand agricultural products, wines and spirits have been protected.

The dual nature of geographical indications (intellectual property and voluntary standard) makes it possible to protect the producer from unfair competition on the one hand and to create conditions for making products of high quality and possessing special properties on the other. The positive, economic, social and environmental aspects of geographical indications have been universally recognized. A special mention should be made of the role of geographical indications in the country's regional development – their protection promotes the making of new jobs and growth of income; reduces labor outflow and, on the contrary, stimulates the attraction of labor, enhances the region's recognizability and facilitates the development of agro-tourism.

The system of geographical indications started to form in the end of the last century. Today, 35 products of national production have been protected (wines, mineral waters, cheese, etc.). Georgia is party to a number of international and bilateral agreements in this sphere (including with the European Union). At present, the work on the protection of geographical indications of other agricultural products is going within the framework of the ENPARD programme, aimed at direct involving associations of local farmers, producers and other participants of the production chain in the process of management. Great importance will be given to the establishment of a hierarchic system to control compliance of geographic indications with specifications/standards.

Sergo Esakia

Switchover to Digital Terrestrial Television Broadcasting in Georgia and European Integration

The article is dedicated to a project on switchover to digital terrestrial broadcasting in Georgia. Pursuant to the requirements of this project and other obligations discussed in this article, the switchover to digital terrestrial broadcasting in Georgia should be completed by 17 June 2015.

The switchover to digital terrestrial broadcasting in Georgia is conditioned by the fact that a digital format has many advantages over the analogue broadcasting. The first and principal is that the television signal quality is improved and a whole series of additional services are being added, and the

second – the resource of frequencies, which is a limited natural resource, becomes available and can be used for providing high-technology services to the population.

A switchover from analogue to digital broadcasting is a rather important event in the life of our country and its successful implementation is dependent on the coordinated and effective activities of both the executive and legislative branches, as well as the local self-government bodies. In addition, the switchover to digital broadcasting represents an international obligation of the member states of the International Telecommunication Union (ITU), including Georgia. Also important is that the switchover to digital broadcasting is an important component of Georgia's integration with the European Union and its successful implementation will contribute to the process of Georgia's convergence with Europe.

For the purpose of switchover to digital broadcasting, the Ministry of Economy and Sustainable Development, under its order of 5 December 2012, has set up a special deliberative body "the Council for Switchover to Digital Broadcasting". As a result, on 7 February 2014 the Government of Georgia approved an "Action Plan and Recommendations for Switchover to Digital Terrestrial Television Broadcasting". According to this plan, Georgia should switch over to digital broadcasting on 17 June 2015. The article deals in detail with the main components of the action plan, technical standards and legislative regulations, which are to ensure the switchover to digital terrestrial broadcasting so that at every stage of the transition period broadcasting remains accessible to the population.

Oleg Shatberashvili

Regional Innovation Policy of New EU-Member States and Applicant Member States: Slovakia and Turkey

The regional innovation policy is one of the main components of the EU's multilevel innovation policy and a strong development tool. Accordingly, the elaboration and implementation of such policy for the countries participating in the European integration process is a serious challenge to be necessarily answered by them. This fully concerns Georgia too, where the talk on the regional innovation policy started already in 2010, although without taking practical steps. Hence, the experience of the EU Member-States of developing and implementing the regional innovation policy is of interest for Georgia. Of particular interest are the countries of the former Socialist bloc, who have become EU Member States, also the candidate countries. For this purpose, two countries have been selected – Slovakia (Member) and Turkey (Candidate). This selection is substantiated in the main part of the article. Their regional innovation strategies and current outcomes of implementation of these strategies are considered.

The regional innovation policy is shown to be greatly dependent on the arrangement of a country's regions and administration/management tradition. Also shown is the role of local and central governments in the development and implementation of a regional innovation policy. This role is different in Slovakia and Turkey, because their management decentralization degree is different. This notwithstanding, the both countries have developed and are operating the tools of regional innovation that comply with the general experience and strategic documents of the European Union. Like in other Member States of the EU, the same actors are involved in the process, although differences also exist. For example, Turkey makes more active use of *free zones* and *organized industrial zones*, which are less

applicable in the EU Member States. In Slovakia, in contrast to Turkey, self-government initiatives play much greater role. Georgia, as a non-member, non-candidate country, has comparatively more freedom of action and can, thus, resort to and use the experience of both countries to a greater extent. Moreover, at the current stage it can, with a definite caution, apply to the experience of other, non-European countries as well. As it seems, given that Georgia's regions greatly differ from one another, a different blend of the approved and tested tools may be used in their innovation strategy.

ავტორები



ოლეგ შატბერაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი. ხარისხი დაიცვა ლაზერების ფიზიკაში პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში, ნობელის პრემიის ლაურეატის ნ. ბასოვის ხელმძღვანელობით (1973). 90-მეტი ნაშრომის ავტორი ფიზიკაში, მეცნიერებათმზომელობაში, ინფორმაციასა და სამეცნიერო/საინოვაციო პოლიტიკაში. ჟურნალების „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია“ (VINITI) და „ინფორმაცია და ინოვაცია“ (ICSTI) სარედაქციო კოლეგიის წევრი. რიგი პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე: „საქართველოს მეცნიერების ინდექსი“; „საქართველოში საპატენტო საქმიანობის განვითარების კონცეფცია“; „საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის ჩამოყალიბება“; „საქართველოში კვლევითი ორგანიზაციების განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ და სხვა. ამჟამად და წარსულში რიგი საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული ორგანიზაციის პრეზიდენტი და მმართველი საბჭოს წევრი: ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაცია; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი; ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია; ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის და სხვა. 1976-2004 წლებში საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ტექინფორმის) დირექტორი. საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR და სხვა) პროექტებში - ექსპერტი.

OLEG SHATBERASHVILI - PhD in Laser Physics defended in 1973 at the P. Lebedev Institute of Physics under the leadership of the Nobel Prize Winner, Prof. N. Basov; the author of more than 90 works in physics, information management, scientometrics, information and research policies; member of editorial boards of journals *STI Processing* (VINITI) and *Information and Innovations* (ICSTI). Leader and/or participant of a number of projects: *Georgian Science Index*, *Concept of Patent Activity Development in Georgia*, *Establishing of a Business Communication Centre in Tbilisi*, *Establishing of a Parliamentary Research Service*, *Development of Georgian Research Organizations under Market Economy Conditions*, *R&D Management in Georgia under Market Economy Conditions*, *Georgian Abstracts Journal*, etc;. President and board member of a number of international and national professional organizations: *International Federation for Scientific and Technical Information*, *International Center for Scientific and Technical Information*, *Georgian Federation for Scientific and Technical Information*, *Association European Studies for Innovative Development of Georgia*, etc.; in 1976-2004, Director of the Georgian Institute for Scientific and Technical Information (TECHINFORMI); an expert in projects of international organizations (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR, etc.) in scientific and technological information sphere.



ლევან დადიანი - 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი ისტორიკოსის სპეციალობით, ხოლო 1997 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის ეკონომიკისა და სოციალურ პრობლემათა ინსტიტუტის ბაკალავრიატი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობით. გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები საპროექტო ციკლის მართვის სპეციალობით ბრედფორდის უნივერსიტეტის განვითარებისა და საპროექტო დაგეგმვის ცენტრში (DPPC, ბრედფორდი, აღმოსავლეთ იორკშირი, დიდი ბრიტანეთი, 1996 წ.) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემების განვითარების სპეციალობით (IDACA/ტოკიო, იაპონია, 2007 წ.). აქვს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების პოლიტიკისა და პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება. მუშაობდა ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროსთან არსებული „საქართველოს საინვესტიციო ცენტრის“ კვლევითი დეპარტამენტის უფროსად, გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში (FAO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ (რომი, იტალია), საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მრჩეველად, ხელმძღვანელობდა შვეიცარიის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (SDC) საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამას. მუშაობდა იტალიური კორპორაცია „ფერეროს“ საქართველოს ფილიალის საოპერაციო მენეჯერად. ამჟამად არის ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია ოქსფამის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერი და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის (ENPARD) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პროექტის ოქსფამის კონსორციუმის კოორდინატორი.

LEVAN DADIANI – In 1994 successfully graduated from Tbilisi Ivane Javakhishvili State University specializing as Bachelor of History, and in 1997 also successfully graduated from Tbilisi Institute of Economic and Social Problems specializing as Bachelor of International Economic Relations; attended the post-graduate courses in the specialty of project cycle management in the Development and Project Planning Centre of the University of Bradford (DPPC, Bradford East Yorkshire, UK, 1996) and in the specialty “Agricultural Cooperative Systems Development” at the Institute for the Development of Agricultural Cooperation in Asia (IDACA/Tokyo, 2007); has a long-term practical experience of planning and implementing the agricultural sector development policy and projects; worked as head of the Research Department of the Georgian Investment Centre at the Ministry of Trade and Foreign Economic Relations, Permanent Representative to FAO, First Secretary, Embassy of Georgia (Rome, Italy), adviser of the Minister of Agriculture of Georgia; was leader of the Programme for Development of Mountain

and Highland Regions of Georgia of the Swiss Agency for Development and Cooperation (SDC); worked as operations manager of the Georgian branch of Italian Corporation “Ferrero”; at present is an Agriculture Food Safety Policy Program manager of Oxfam GB and coordinator of the Agricultural Cooperatives Development Project implemented by a consortium (including Oxfam) within the European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD).



დავით გაბუნია - ფილოსოფიის დოქტორი, ხარისხი დაიცვა ბიოკიბერნეტიკაში მოსკოვის უმაღლესი ნერვული სისტემის ინსტიტუტში. მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მეცნიერ მუშაკის თანამდებობებზე. 1991-1993 წწ. იყო მეცნიერების ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილე. მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სამსახური „საკპატენტი“, რომელსაც სათავეში ედგა 1992-2009 წწ. უშუალოდ ხელმძღვანელობდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობის შემუშავებისა და საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთების პროცესს. აქტიურად მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საქმიანობაში, არჩეული იყო ბერნის კავშირისა და ლისაბონის კავშირების ვიცე-პრეზიდენტად. არის 3 წიგნის და 40-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. ჩამოაყალიბა და იყო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინტელექტუალური საკუთრება“ მთავარი რედაქტორი. არის საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოებულია ისმოს ოქროს მედლით და ღირსების ორდენით.

DAVID GABUNIA – PhD degree in bio-cybernetics defended in Moscow Neuroscience Institute; was engaged in different research institutes as a researcher; in 1991-1993 held the position of a Deputy Minister of Science and Technology; under his direct leadership, the National Intellectual Property Center of Georgia - “Sakpatenti” has been established, which he headed in 1992-2009; he personally directed the development of the institutional and legislative system of intellectual property in Georgia and the process of Georgia’s accession to international agreements; he took an active part in the activities of the World Intellectual Property Organization (WIPO); was elected Vice-President of the Berne and Lisbon Unions; he is the author of 3 monographs and over 40 works; founded was an editor-in-chief of a scientific and practical journal “Intellectual Property”; he is a full member of the Engineering Academy of Georgia; has been awarded with the WIPO Gold Medal and the Order of Honor.



სერგო ესაკია - 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რადიო-ტელევიზიის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ტელერადიო კომიტეტში, სადაც მის საქმიანობას უკავშირდება მრავალი ღონისძიებები სატელევიზიო გამოსახულების ხარისხის გასაუმჯობესებლად. 1998-2000 წლებში იყო კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი. ამ პოსტზე ყოფნისას განახორციელა მთელი რიგი რეფორმები დარგის ლიბერალიზაციისა და საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მისი თაოსნობით პირველად განხორციელდა საქართველოს ტელევიზიის პროგრამის თანამგზავრული მაუწყებლობა და შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე. საბჭოს აქტიურმა მუშაობამ მძლავრი იმპულსი მისცა ქვეყანაში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას. ამჟამად ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას „ენერჯეტიკისა და კომუნიკაციების განვითარების ჯგუფი“ და მუშაობს საქართველოში განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყაროების პროექტებზე. ავტორია წიგნების: „ციფრული იერარქიის სინქრონული ქსელები“ და „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები“. არის კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

SERGO ESAKIA – Graduated from the Georgian Polytechnic Institute, specializing in radio and television. For years worked in the Georgian Television and Radio Committee, where his activity was associated with numerous efforts to improve the television image quality. In 1998-2000, occupied the position of the Minister of Communications and Post. While Minister, carried out many reforms for liberalizing and improving the local investment climate. In particular, he initiated satellite television broadcasting and the setting up of a Georgian National Communications Commission (GNCC). Together with the President of Georgia, he co-chaired the Coordination Council for Information and Communications Technologies. The active work of the Council gave a powerful incentive to the development of information technologies in the country. At present, he heads an NGO “Energy and Communications Development Group” and is engaged in different projects concerning renewable energy sources in Georgia. He is the author of the monographs: “Sources of Synchronous Digital Hierarchy” and “The Priorities of Economic Development of Georgia”. He is a Member of the International Communications Academy.

දානාර්ථ



Jean Monnet Program

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში:
მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის
რეგიონებისთვის




*ევროპული კვლევები საქართველოს
ინოვაციური განვითარებისთვის*

საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა
და საქართველოში:
რეგიონული პოლიტიკა

ოლეგ შატბერაშვილი
ეგსიგ მკვლევარი

ინოვაციური განვითარება



საინოვაციო პოლიტიკის არსი (1)

- ❑ **ზემოქმედება არა მხოლოდ სამეცნიერო შედეგების მიღებაზე** (ძველი მიდგომა), არამედ ეკონომიკაში მათ ათვისებაზეც (ცოდნის გადაცემის მიმართ დაინტერესება, საწარმოებისთვის დახმარების გაწევა)
- ❑ **ზემოქმედება იმპორტზე და ინვესტიციებზე**
ტექნოლოგიების შექმნა, ტექნოლოგიების შემცველი უცხოური ინვესტიციების წახალისება
- ❑ **ხელისუფლება - ინვესტორი**
აბანდებს როგორც (და უმთავრესად) განათლებაში, ზოგადად კვლევაში, საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში (კვლევითი ორგანიზაციები, კონსულტაცია, ინკუბაცია, შუამავლობა, საფინანსო ინსტიტუტები), ასევე კონკრეტულ კვლევასა და მისი შედეგების რეალიზაციაში

საინოვაციო პოლიტიკის არსი (2)

□ ხელისუფლება - კატალიზატორი და რეგულატორი

- ✓ ხელსაყრელი გარემოს ფორმირება: კანონმდებლობა - (მაგალითად, საგადასახადო)
- ✓ გრძელვადიანი გეგმები, პრიორიტეტები, ეროვნული პროგრამების მიმართულებები და მოცულობები - მონაწილეთა ორიენტირება
- ✓ მონაწილეთა თანამშრომლობის წახალისება

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა

- ✓ საინოვაციო სტრატეგიას/პოლიტიკას ევროკავშირის ყველა ქვეყანა ახორციელებს
- ✓ ევროკავშირი მთლიანად - წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან (ინოვაციის მწვანე წიგნი, ლისაბონის სტრატეგია, ევროპა - 2020)
- ✓ ევროკომისიის ხარჯების ნახევარი, ეროვნული მთავრობების ხარჯები, ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლებების ხარჯები
- ✓ შესაბამისად, პოლიტიკა მრავალდონიანია
- ✓ ყოველი დონის საინოვაციო პოლიტიკა მისთვის დამახასიათებელ ამოცანებსა და ინსტრუმენტებს მოიცავს
- ✓ ამოცანები და ინსტრუმენტები დამოკიდებულია ქვეყნის/რეგიონის განვითარების დონეზე, სიდიდეზე და სხვა.

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა

მიზანი:

ევროკავშირის ეკონომიკის
მსოფლიოში ყველაზე
კონკურენტუნარიან ეკონომიკად
ჩამოყალიბება

პოლიტიკის ინსტრუმენტები

- ❑ **საფინანსო:** გრანტები უნივერსიტეტებისა და საწარმოებისთვის
- ❑ **საგადასახადო:** შეღავათები
- ❑ **არასაფინანსო:** ტექდახმარება / შუამავლობა (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის სქემები და სხვა)

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში

რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა
(ჩამორჩენა - < 0.75 საშუალო ევროპული შემოსავლის)

კონკურენტუნარიანობის ზრდა ქვეყნის შიგნით

კონკურენტუნარიანობის ზრდა ქვეყნის გარეთ
(კლასტერების განვითარება)

სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობის აღმოფხვრა (სოფლის
განვითარება)

რეგიონიდან ადამიანთა გადინების შემცირება

რეგიონებისთვის დახმარება ევროკავშირის დონეზე (1)

რეგიონულ განვითარებაზე ევროკომისიის ბიუჯეტის
36% იხარჯება (50 მლრ. ევრო წლიურად).
უმეტესი ნაწილი - **საინოვაციო ღონისძიებებზე**

სტრუქტურული ფონდები

რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (ERDF)

- ეკონომიკური სტრუქტურების მოდერნიზაცია
- ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა
- ურბანული, მაღალმთიანი, ძნელადმისაწვდომი და მცირედ დასახლებული რეგიონების პრობლემები
- რეგიონული კონკურენტუნარიანობა
- ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა
- გარემო (დაბინძურებული რაიონების დასუფთავება, ენერგოეფექტურობა, სუფთა ტრანსპორტი და სხვა)
- ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციის წვდომა
- სხვა.

რეგიონებისთვის დახმარება ევროკავშირის დონეზე (2)

სტრუქტურული ფონდები:

ერთობის (თანადგომის) ფონდი (**Cohesion Fund**)

ტრანს-ევროპული ტრანსპორტი, გარემოს დაცვა
(ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია, რკინიგზა,
საზოგადოებრივი ტრანსპორტი)

ევროპული საინვესტიციო ფონდი (**EU Investment Fund**)

მცირე ბიზნესის საფინანსო ხელშეწყობა

ევროპული სოციალური ფონდი (**European Social Fund**)

გადამზადება, მართვის გაუმჯობესება, ადაპტირების უნარის
გაზრდა და სხვა.

ევროპული სოლიდარობის ფონდი (**EU Solidarity Fund**)

მსხვილი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია

რეგიონებისთვის დახმარება ეროვნულ დონეზე

- ევროკომისიის დახმარება ეროვნული ხარჯების დამატებაა
- ეროვნულმა მთავრობამ უნდა გაიღოს ხარჯები იმ სფეროებში, სადაც ევროკავშირი უწევს მას დახმარებას (ეს მოწმდება განსაკუთრებით დიდი დახმარების მიმღები რეგიონების მიმართ)
- **2007 – 2013 წლებში ევროკავშირის მიერ გაღებულ 1 ევროზე მოდიოდა 3 ევრო ეროვნული ხარჯი**

რეგიონული ხელისუფლების როლი

- რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა/ინიცირება
- საინოვაციო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის სქემები და სხვა);
- რეგიონული პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობა (დამოკიდებულია ქვეყნის ტიპზე - თვითმმართველობის უფლებებსა და შესაძლებლობაზე. მაგალითად, ფედერალური მოწყობის ქვეყანაში, როგორცაა გერმანია, მიწების საფინანსო და ფისკალური შესაძლებლობები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში).

ქვეყნებში საინოვაციო პროცესებზე რეგიონული ხელისუფლების ზემოქმედება შეიძლება იყოს „ხისტი“ ან „რბილი“

სამივე მიმართულებით რეგიონულ ინიციატივებს მხარს უჭერს ევროპული და ეროვნული მართვის ორგანოები.

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010 – 2017 წლებისთვის (1)

ინოვაციის, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა

რს სისტემა, რეგიონული ეკონომიკური სტრატეგია ორიენტირებული
ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციასა და ახალ ტექნოლოგიებზე

სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება და ინოვაციის
ხელშეწყობა

- რს სტრატეგიის, როგორც განვითარების ახალი მოდელის დანერგვა
- პროდუქტების შექმნაზე მიმართული განათლების, ინსტიტუციური და საკანონმდებლო ღონისძიებები
- რეგიონული კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა და საწარმოების კლასტერები, მათი მეშვეობით საინოვაციო პოლიტიკის რეგიონული პრიორიტეტების დადგენა
- სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება, ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმები

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010 – 2017 წლებისთვის (2)

რეგიონული საინოვაციო ცენტრების ჩამოყალიბება

- შუამავლობა ტექნოლოგიაზე მოთხოვნილებასა და ხელმისაწვდომ კვლევას შორის
- მონაცემთა ბაზა ტექნოლოგიურ მიღწევებზე, პატენტებზე, პროტოტიპებზე, ლიცენზიებზე
- მსს და უნივერსიტეტების/ინსტიტუტების ქსელის შექმნა, მსს დიდ საწარმოებთან და უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირება
- ტექნოლოგიების კომერციალიზაცია, კონსულტაციები და გადამზადება

საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრების დაფუძნება

- რეგიონული საინვესტიციო პროექტების გამოვლენა და უცხოელი ინვესტორების მოძიება
- რეგიონის ეკონომიკის ვებ-გვერდის შექმნა და რუკის შედგენა
- პრეზენტაციების, ბაზრის ანალიზის, მიზნობრივი სწავლების, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ორგანიზება

კლასტერების დაგეგმვაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010 – 2017 წლებისთვის (3)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

- ხარჯებს კვლევასა და შემუშავებაზე
- ადგილობრივი ადამიანური რესურსის გადამზადებასა და გამოყენებას
- ახალი ტექნოლოგიის შემოტანასა და მისი ადგილობრივი ბაზრიდან მომარაგებას

ექსპორტისა და ექსპორტზე ორიენტირებული მსს მხარდაჭერა

- იმ ნაწარმის სიების შედგენა, რომელიც ადგილობრივად შეიძლება იწარმოოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ჩაანაცვლოს იმპორტი და მოკლე პერიოდში მოახდინოს გავლენა ადგილობრივ ბაზარზე
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია


რეგიონის ბრენდის დამკვიდრება – ნაწარმის მიმართ მომხმარებლის ნდობის მოპოვება

საინოვაციო პოლიტიკა განვითარებად ქვეყანაში (1)

კვლევითი და არაკვლევითი ინოვაცია



შვედეთი



ბულგარეთი

საინოვაციო პოლიტიკა განვითარებად ქვეყანაში (2)

პრიორიტეტულია:


- არაკვლევითი ინოვაცია
- მიზანშეწონილი ინოვაცია
- ადგილობრივი ინოვაცია
- ტრადიციულ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაცია
- სოციალური ინოვაცია
- მათი წახალისებისთვის საჭირო ინსტრუმენტები.

კვლევითი სისტემის როლი:

ფანჯარა სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიების სამყაროში
ტექნოლოგიების ადაპტირება
არსებული პროდუქტების/პროცესების გაუმჯობესება.

ცოდნის დიფუზიის (გავრცელების) სიჩქარე

მიზანშეწონილი ინოვაცია



ადგილობრივი საზოგადოების როლი

საზოგადოება - დამკვეთი

ადგილობრივი მმართველობის როლი:

- ✓ დავალებების ჩამოყალიბება
- ✓ დაფინანსება
- ✓ შეღავათები მისი კომპეტენციის ფარგლებში
- ✓ სხვა დახმარების აღმოჩენა (მაგ., ქონება, მიწა)
(ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის სქემები)

ადგილობრივი უნივერსიტეტების როლი

- რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება (რეგიონისა და მსოფლიო გამოცდილების შესწავლა)
- ფანჯარა ტექნოლოგიების სამყაროში
- შესაბამისი კადრების მომზადება
- იმპორტირებული ტექნოლოგიების ათვისების/ადაპტირების ხელშეწყობა
- ტექნოლოგიების შემუშავება
- ბიზნესთან თანამშრომლობა

ადგილობრივი საზოგადოების კომპეტენცია და უფლებამოსილებები

- გადაწყვეტილებების მიღება და პროცესზე ზეგავლენა - უფლებამოსილებები და კომპეტენცია
- ჩართულობა - კომპეტენცია
- შეჯიბრებითობა ადგილობრივ მმართველობებს შორის
- კონკურენცია ცენტრალიზებული და უცხოური რესურსებისთვის.

საქართველო - მიმდინარე მდგომარეობა

- ❑ მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა უკეთესობისკენ
- ❑ მთავრობამ აღიარა ინოვაციური განვითარების აუცილებლობა
- ❑ დაიწყო კვლევაზე ხარჯების არსებითი ზრდა
- ❑ ჩამოყალიბდა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო
- ❑ ჩამოყალიბდა საწარმოთა ხელშეწყობის სააგენტო
- ❑ მუშავდება ქვეყნის საინოვაციო განვითარების სტრატეგია
- ❑ ამოქმედდა შეღავათიანი კრედიტებისა და თანადაფინანსების სქემები
- ❑ იქმნება სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახური

საჭიროა რეგიონებმა მხარი აუბან ამ მოძრაობას და არსებული შესაძლებლობები ეფექტურად გამოიყენონ

გმადლობთ ყურადღებისთვის

Shatberashvilioleg@gmail.com



Jean Monnet Program

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში:
მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის
რეგიონებისთვის



*ევროპული კვლევები საქართველოს
ინოვაციური განვითარებისთვის*

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები
ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში:
ორიენტირები საქართველოსთვის**

ლევან დადიანი
ეგზიზ მკვლევარი

პრეზენტაციის სტრუქტურა:


- კოოპერაციული ორგანიზაციის რაობა და ფუნდამენტური პრინციპები;
- ს/ს კოოპერაციული ორგანიზაციის სახეობები და კოოპერაციული სისტემის ნაირგვარობა;
- ს/ს კოოპერაციის სისტემის ორგანიზაცია და მართვა;
- ს/ს კოოპერატივების ძირითადი ბიზნეს-სისტემები;
- სახელმწიფოს მიერ ს/ს კოოპერაციული სისტემის მხარდაჭერა და სტიმულირება;
- რეკომენდაციები პოლიტიკისთვის და საპროგრამო ორიენტირები

კოოპერატივის განსაზღვრება

კოოპერატივი წარმოადგენს ინდივიდთა ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნილ ავტონომიურ გაერთიანებას, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს წევრთა ერთობლივი სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, აგრეთვე სხვადასხვა მოთხოვნილება საერთო მფლობელობაში მყოფი და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის გზით.

*კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსი (ICA),
განაცხადი კოოპერატივების
იდენტობის შესახებ (მანჩესტერი, 1995 წ.)*

კოოპერაციის ფუნდამენტური პრინციპები



რატომ კოოპერატივი?

საბაზრო
ეკონომიკა

მწირი ეკონომიკური
ბაზა, არასაკმარისი
ცოდნა და სერვისების
ხელმიუწვდომლობა

წარმოების მაღალი
თვითღირებულება და
დაბალი
კონკურენტუნარიანობა

მცირე ფერმერი

ს/ს კოოპერატივების სერვისები

კონსულტირება

- მენეჯმენტი და ტექნოლოგიები

მომარაგება

- საწარმოო საშუალებები

ფინანსები


- კრედიტი და დეპოზიტები
- დაზღვევა და ლიზინგი

დამატებული ღირებულების შექმნა

- პროდუქციის გადამუშავება
- შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება
- რეალიზაცია

საორგანიზაციო სტრუქტურა

GENERAL PATTERN OF INTERNAL STRUCTURE OF MULTI-PURPOSE AGRICULTURAL COOPERATIVE



კოოპერატივები ევროკავშირში

- „ძველი“ წევრები
- „ახალი“ წევრები (შედეგები)
- „კანდიდატი“ ქვეყნები

ევროკავშირი და საქართველო

- ENPARD – Georgia და კოოპერატივები
- ასოცირების ხელშეკრულება და კოოპერატივები
- საქართველოს მთავრობის გეგმები

პოლიტიკის მიზანი

აგრობიზნეს სუბიექტებს შორის კოოპერაციული სისტემის განვითარების მხარდაჭერით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობისა და აგრობიზნეს სუბიექტების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

კოოპერატივების ინტერესთა ლობირება

წარმოებს მუნიციპალური და ეროვნული მთავრობის დონეზე და მოიცავს განვითარების პოლიტიკის შემდეგ სფეროებს:

1. მიწათსარგებლობა;
2. წარმოება;
3. ფასები;
4. დისტრიბუცია;
5. ბიუჯეტი;
6. გადასახადები;
7. სოციალური დაცვა;
8. ბუნებრივი გარემოს დაცვა.

მთავრობის ხელშემწყობი როლი

1. გლახთა საქმიანობაში ჩაურევლობა;
2. პოლიტიკური მხარდაჭერა;
3. განვითარების პროექტების განხორციელების მხარდაჭერის გეგმაზომიერი პოლიტიკა;
4. ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა;
5. ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
6. ფინანსური და ინსტიტუციონალური მხარდაჭერა (კრედიტები, დაზღვევა და მისთ.);
7. ფასების მხარდაჭერის სისტემა;
8. ექსტენსიის სერვისი და სამეცნიერო მხარდაჭერა.


სახელმწიფოს როლი კოოპერაციული სისტემის ზედამხედველობაში

1. რეგისტრაცია/სტატუსის მინიჭება
2. ინსპექტირება:
 - სხვადასხვა ანგარიშების მოთხოვნა;
 - საორგანიზაციო აუდიტი.
3. კორექცია
 - საზედამხედველო საჭიროების ბრძანებები და ინსტრუქციები;
 - არაკანონიერი ქმედებების აღმკვეთი ღონისძიებები;
 - საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა;
 - ოფიციალური პირების გადარჩევის მოთხოვნა;
 - სტატუსის გაუქმება;
 - ლიკვიდაციის ბრძანება.

პროგრამული ორიენტირები

- ცნობიერების ამაღლება და ტრეინინგი
- ინვესტირება, სერვისები და ექსტენსია
- მხარდაჭერა და ადვოკატირება

ცნობიერების ამაღლება და ტრეინინგი



ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი

- ორგანიზაციული სტანდარტები და მეთოდოლოგია, მარკეტინგული კვლევები, ანალიზი, ბიზნესის დაგეგმვა, კონსულტირება, დაფუძნებასა და რეგისტრაციაში მხარდაჭერა, საცდელი/სადემონსტრაციო ნაკვეთები
- სასწავლო ტურები, გაცვლითი ვიზიტები, სადემონსტრაციო დღეები, ტექნოლოგიური ტრენინგები, მოლაპარაკებათა უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგები, პუბლიკაციები/მედია და ა.შ.
- სურსათის უვნებლობის სტანდარტები

ინვესტირება, სერვისები და ექსტენსია



ინვესტირება, სერვისები და ექსტენსია

- ტექნოლოგიები, მანქანა-დანადგარები
- სასაწყობე და გადამამუშავებელი სიმძლავრეები
- სადაზღვევო და სალიზინგო სქემები, სუბსიდიები

მხარდაჭერა და ადვოკატირება



მხარდაჭერა და ადვოკატირება

- საზოგადოებრივი აქტივობისა და სოციალური კაპიტალის ანალიზი, საზოგადოებრივი კამპანიები, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა, რეგიონალური საზოგადოებრივი ფორუმები, მრგვალი მაგიდები, საშუამავლო შეხვედრები, ლობირება
- პროდუქციის ბრენდირება და სერტიფიცირება
- სასურსათო და ს/ს გამოფენები

გმადლობთ ყურადღებისთვის

levandadiani@hotmail.com



Jean Monnet Program

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში:
მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის
რეგიონებისთვის



*ევროპული კვლევები საქართველოს
ინოვაციური განვითარებისთვის*

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა

დავით გაბუნია
ეგსიგ მკვლევარი

პრეზენტაციის სტრუქტურა

- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემა
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ევროკავშირში
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა საქართველოში
- ❑ მიმდინარე საქმიანობა და სამომავლო ხედვები

რა არის გეოგრაფიული აღნიშვნა?

გეოგრაფიული ადგილის სახელი, რომელიც გამოიყენება იქ წარმოებული ისეთი პროდუქტის აღსანიშნავად, რომლის განსაკუთრებულ ხარისხსა და თვისებებს განაპირობებს იმ ადგილისთვის დამახასიათებელი გარემო პირობები და ადამიანური ფაქტორი.

გარემო პირობები: ნიადაგის შემაღენლობა, კლიმატი, ლანდშაფტი, წყლები და სხვა ბუნებრივი მახასიათებლები

ადამიანური ფაქტორი: ადგილობრივ მოსახლეობაში არსებულ წარმოების ტრადიციულ ცოდნა და გამოცდილება

მაგალითები: შამპანური, კონიაკი, პარმას ლორი, როქფორი, ხვანჭკარა, მეგრული სულგუნი და სხვ.

გეოგრაფიული აღნიშვნების ორმაგი ბუნება

- გეოგრაფიული აღნიშვნა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია და ექვემდებარება ისეთივე დაცვას, როგორც პატენტები, დიზაინი, სასაქონლო ნიშნები და საავტორო უფლებები
- გეოგრაფიული აღნიშვნა ნებაყოფლობითი სტანდარტია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის განსაკუთრებულ ხარისხს, მახასიათებლებსა და ნამდვილობას

გეოგრაფიული აღნიშვნა ინტელექტუალური საკუთრება

- ❑ ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მსგავსად, გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია მის მფლობელს
- ❑ გეოგრაფიულ აღნიშვნაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობა უმნიშვნელოვანესი პირობაა გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირების, განვითარებისა და ფართოდ აღიარებისათვის განხორციელებული ინვესტიციების დასაცავად

გეოგრაფიული აღნიშვნების თავისებურებანი

❑ გეოგრაფიული აღნიშვნა, ისევე როგორც სასაქონლო ნიშანი, ემსახურება ერთი პროდუქტის მეორისაგან განსხვავების ამოცანებს

❑ გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს რიგი ძირეული განსხვავება:

გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებს პროდუქტის წარმოშობის გეოგრაფიულ ადგილს და არა მწარმოებელ კომპანიას

გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოადგენს კოლექტიურ საკუთრებას (ფერმერები, მწარმოებლები, კომერციული ორგანიზაციები და სხვ.)

გეოგრაფიული აღნიშვნა არ არის ტრანსფერებადი, დაუშვებელია წარმოების სხვა გეოგრაფიულ არეალში გადანაცვლება

გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირების წინაპირობები

- ❑ განსაკუთრებული ხარისხის, თვისებებისა და რეპუტაციის პროდუქტი
- ❑ პროდუქტის წარმოების ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი
- ❑ პროდუქტის ხარისხისა და მახასიათებლების ნათლად გამოკვეთილი კავშირი კონკრეტული ადგილის ბუნებრივ პირობებთან და ადამიანურ ფაქტორთან

რეგისტრაციისთვის აუცილებელი სპეციფიკაციები

- ❑ პროდუქტის დასახელება
- ❑ პროდუქტის აღწერა
- ❑ პროდუქტის დამზადების პროცესის აღწერა
- ❑ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა
- ❑ გეოგრაფიული არეალის ბუნებრივი და კლიმატური პირობების და პროდუქციის განსაკუთრებული თვისებების ამ ადგილთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტები
- ❑ გამოყენებულ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების დასახელება
- ❑ პროდუქტის ეტიკეტირება
- ❑ პროდუქტის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების სრული ჯაჭვის კონტროლის (შიგა და გარე) მექანიზმის აღწერა

პროდუქტის დასახელება და აღწერა

პროდუქტის დასახელებად ძირითადად გამოიყენება შესაბამისი არეალის გეოგრაფიული სახელი ან სხვა აღნიშვნა, რომელიც ამ ადგილთან არის ასოცირებული.

პროდუქტის აღწერა უნდა შეიცავდეს:

- ❑ უშუალოდ პროდუქტის ძირითად ფიზიკურ, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ორგანოლექტიკურ მახასიათებლებს;
- ❑ ინფორმაციას ნედლეულსა და ინგრედიენტებზე, რომლებიც უნდა (ან არ უნდა) იყოს გამოყენებული პროდუქტის წარმოებისას.

პროდუქტის წარმოების აღწერა

- ❑ პროდუქტის წარმოების აღწერა უნდა ეხებოდეს დამზადების პროცესის ყველა ეტაპს (ნედლეულის დამზადება, ტრანსპორტირება, გადამუშავება და ა.შ.), საჭირო კონდიციამდე მიყვანა, შეფუთვა, ეტიკეტირება და სხვ.
- ❑ საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს გარკვეული ინგრედიენტების გამოყენების დაუშვებლობა.

სპეციფიკური გარემო პირობების აღწერა

უნდა აღიწეროს გარემოს განსაკუთრებული პირობები, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს პროდუქტის თვისებებზე. ეს გამოიხატება მის სხვადასხვა მახასიათებელში, რომელთაგან ძირითადია:

- ❑ სეზონური ტემპერატურული რეჟიმი, ტენიანობა, ქარი, ნიადაგისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები, ექსპოზიცია, სამოვრების მცენარეული შემადგენლობა;
- ❑ ადგილობრივი გენეტიკური რესურსი - მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც ადაპტირდნენ ადგილობრივ პირობებთან და წარმოადგენენ პროდუქტის განსაკუთრებული ხარისხის ერთ-ერთ წყაროს.

გეოგრაფიული საზღვრების დადგენა

ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით:

- ❑ ფიზიკური კრიტერიუმი: ნიადაგი, კლიმატური პირობები, ტოპოგრაფია, წყლის მოწოდება და სხვ.
- ❑ ადგილობრივი პრაქტიკა: კულტივაციის წესები, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, მოსავლის აღებისა და გადამუშავების პრაქტიკა და სხვ.
- ❑ პროდუქციის წარმოების ისტორია და რეპუტაცია
- ❑ პროდუქციის მწარმოებლების დისლოკაცია

სპეციფიკაციებთან შესაბამისობის კონტროლი

სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით:

- ❑ ნედლეულისა და დამზადების პროცესები, სპეციფიკაციებში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ❑ პროდუქტის მიკვლევადობა, რომელიც ადასტურებს მის წარმოშობას დადგენილი გეოგრაფიული არეალიდან;
- ❑ საბოლოო პროდუქტის შეფუთვა, ეტიკეტირება და გემო.

გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების დადებითი ეფექტები

- ❑ **ეკონომიკური:** მოთხოვნის ზრდა, მაღალი ფასები, ახალი ბაზრები
- ❑ **ბუნებისდაცვითი:** ადგილობრივი ჯიშების, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის შენარჩუნება
- ❑ **სოციალური:** მოსახლეობის წარმოების ერთიან ჯაჭვში ჩართვა, დამატებითი ღირებულების სამართლიანი განაწილება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ადგილებზე დამაგრების ხელშეწყობა

გეოგრაფიული აღნიშვნები და ფასები

გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტები სარგებლობენ მაღალი მოთხოვნით და, შესაბამისად, მყიდველი მზადაა გადაიხადოს მეტი თანხა მათ შესაძენად.

მაგალითები

- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნის ყველების ფასი დანარჩენი ყველების ფასს საშუალოდ 30% აჭარბებს.
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოები სარგებლობენ მაღალი პოპულარობით და სხვა ღვინოებთან შედარებით იყიდება გაცილებით მაღალ ფასებში.
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნის ყავის მარცვლების ფასი მსოფლიო ბაზარზე სამჯერ-ოთხჯერ აღემატება მათ საშუალო ფასს. კერძოდ, BLUE-MO (იამაიკა) ფასი (დაახლოებით 45\$/ფუნტში) 15-ჯერ აღემატება ყავის საშუალო საბაზრო ფასს.

გეოგრაფიული აღნიშვნები და მდგრადი განვითარება

გეოგრაფიულ აღნიშვნებს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ადგილობრივი გარემოს, აგრეთვე რესურსების შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებაში.

ამ პოტენციალს განაპირობებს პროდუქტის გასაკუთრებული მახასიათებლები, რომელიც არის შედეგი ადგილობრივი პირობების (ნიადაგი, კლიმატი, ადგილობრივი ჯიშები), მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებისა და იქ არსებული სხვადასხვა სახის ტრადიციული ცოდნის უნიკალური შეხამების.

არსებული პირობების შენარჩუნება არის უმთავრესი გარანტია გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი პროდუქტის მდგრადი წარმოებისთვის, რადგან სწორედ ამ პირობების შეხამება იძლევა უნიკალური პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას და გამორიცხავს ანალოგიური პროდუქტის სხვაგან დამზადებას.

გეოგრაფიული აღნიშვნები და რეგიონალური განვითარება

გეოგრაფიული აღნიშვნები :

- ❑ შესაბამის რეგიონებში ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას
- ❑ შესაბამის რეგიონებში ამცირებს სამუშაო ძალის გადინებას და სტიმულირებს სამუშაო ძალის მოზიდვას
- ❑ ზრდის რეგიონის ცნობადობას და ხელს უწყობს აგრარული ტურიზმის განვითარებას.

გეოგრაფიული აღნიშვნების კანონმდებლობის განვითარება ევროკავშირში

ევროპული კანონმდებლობა საწყისს იღებს ორი ფრანგული კანონიდან:

- ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ(1919წ.)
- კონტროლირებადი ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ (1935წ.)

ევროკავშირში პირველი საერთო ევროპული რეგულაცია მიიღეს 1992 წ.

2006 წ. ამოქმედდა ახალი ევროპული რეგულაცია - **(EC) No510/2006** აგრო და კვების პროდუქტების ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ.

მოქმედი ევროპული კანონმდებლობა

□ (EU) No 1151/2012

აგრო და კვების პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის სქემების შესახებ

(ჩაანაცვლა რეგულაცია (EC) No 510/2006)

□ ღვინოები – Regulation (EC) No 1234/2007

□ სპირტიანი სასმელები – Regulation (EC) No 110/2008

ევრორეგულაციების საგანი

- ❑ დაცვის ობიექტების (ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნები) განსაზღვრებები
- ❑ ურთიერთდამოკიდებულება გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის
- ❑ უფლებამფლობელთა უფლებები
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციები
- ❑ პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციებთან შესაბამისობის კონტროლი

ადგილწარმოშობის დასახელების დეფინიცია

ადგილწარმოშობის დასახელება არის სახელი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება პროდუქტი:

- წარმოშობილი სპეციფიკური ადგილიდან, რეგიონიდან ან გამონაკლის შემთხვევებში ქვეყნიდან;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია განსაკუთრებული გეოგრაფიული გარემოთი მისგან განუყოფელი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების ჩათვლით;
- რომლის წარმოების **ყველა სტადია** ხორციელდება მოცემულ გეოგრაფიულ ადგილას.

გეოგრაფიული აღნიშვნის დეფინიცია

გეოგრაფიული აღნიშვნა არის სახელი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირდება პროდუქტი:

- ❑ წარმოშობილი სპეციფიკური ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან;
- ❑ რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;
- ❑ რომლის წარმოების **ერთი სტადია** მაინც ხორციელდება დადგენილი გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ძირითადი მოთხოვნები

აკრძალულია:

- გეოგრაფიული აღნიშვნების კომერციული გამოყენება მისი მფლობელის ნებართვის გარეშე
- იმიტაცია, მიმსგავსება, თარგმნის გამოყენება (მაგ. „შამპანური“)
- გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მითითებულია პროდუქტის წარმოშობის ნამდვილი ადგილიც (კალიფორნიული შამპანური)
- გამოყენება ისეთ სიტყვებთან ერთად როგორცაა: „მსგავსი“, „სტილი“, „მეთოდით“ და სხვ.

მაკონტროლებელი ორგანო

- ❑ ევროპული კანონმდებლობით რეგისტრაციისათვის მაკონტროლებელი ორგანოს მითითება სავალდებულოა;
- ❑ ეს შეიძლება იყოს საჯარო ორგანიზაცია (მაგ. სტანდარტების ბიურო) ან კერძო სამართლის პირი, რომელიც აკრედიტირებულია ევროპული სტანდარტით **EN 45011 (ISO guide 65)**;
- ❑ მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებს პროდუქტის მახასიათებლების შესაბამისობას გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციებთან;
- ❑ კონტროლი მოიცავს პროდუქტის წარმოების სრულ ჯაჭვს - მინდვრიდან სავაჭრო დაწესებულებამდე.

გეოგრაფიული აღნიშვნების მართვა

- ❑ ევროპული კანონმდებლობით გეოგრაფიული აღნიშვნის მართვისთვის იქმნება გაერთიანება, რომელშიც შედიან ფერმერები, მწარმოებლები, დისტრიბუტორები, სავაჭრო ორგანიზაციები და სხვ.
- ❑ გაერთიანება არ ახორციელებს კომერციულ (ყიდვა-გაყიდვასთან) დაკავშირებულ საქმიანობას.
- ❑ მისი მიზანია გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასთან, ცნობადობის გაზრდასთან, ანტიკონტრაფაქციასთან დაკავშირებული და სხვ. საქმიანობის კოორდინაცია.
- ❑ გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების მოთხოვნების დაცვის თვითკონტროლი, რომელიც ხორციელდება ნომინირებულ ოფიციალურ მაკონტროლებელ ორგანოსთან კოოპერაციაში.

ევროკავშირის აგროპროდუქტების რეესტრის მონაცემები (15.08.13)

- ევროკავშირში რეგისტრირებულია **1124** ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა, მათ შორის: **567** ადგილწარმოშობის დასახელება;
- განხილვის სტადიაშია **266** განაცხადი;
- რეგისტრირებულია :
 - ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული - **314**
 - ხორცის ნაწარმი - **132**
 - კარაქი, მარგარინი, ზეთი - **118**
 - ყველი - **205**

მაგალიტები



მაგალიტები



ევროკავშირის აგროპროდუქტების რეესტრის მონაცემები (15.08.13)

- იტალია - **254**
- საფრანგეთი - **200**
- ესპანეთი - **164**
- პორტუგალია - **118**
- საბერძნეთი - **99**
- გერმანია - **91**
- დიდი ბრიტანეთი - **49**

ევროკავშირის აგროპროდუქტების რეესტრის მონაცემები (15.08.13)

- ადგილწარმოშობის ღვინოები - **1263**
იტალია - **476**
საფრანგეთი - **376**
ესპანეთი - **97**
- გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოები - **460**
იტალია - **129**
საბერძნეთი - **97**
საფრანგეთი - **75**
- სპირტიანი სასმელები - **331**

EU GI labels



საქართველოს კანონმდებლობა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ

- 1999 წ. - კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“

კანონი ეფუძნება ევროკავშირში მოქმედ სამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს

- საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საფუძველს წარმოადგენს საქპატენტში რეგისტრაცია, აგრეთვე საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულებები

დაცული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები

18 ღვინო (2005 წ.) - უფლებამფლობელი „სამტრესტი“

3 მინერალური წყალი (2011წ.) - უფლებამფლობელი
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

11 ყველი - უფლებამფლობელი სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

3 სხვა პროდუქტი (2012 წ.) - უფლებამფლობელი
სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დაცული ქართული ლეინოები



საქართველო საერთაშორისო ხელშეკრულებებში

- ❑ 1991წ. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია
- ❑ 1999წ. საქართველო მიუერთდა ვმო და შესაბამისად აიღო ტრიპს-ით გათვალისწინებული ვალდებულებები
- ❑ 2004წ. ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ
- ❑ 2004წ. საქართველოს ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან, რომელიც 2012 წ. დასრულდა ხელშეკრულების დადებით.

საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება

- ❑ ცალკეული გეოგრაფიული აღნიშვნის მართვის გაერთიანებების ჩამოყალიბება და უფლება მფლობელობის სახელმწიფო სტრუქტურებიდან მათთვის გადაცემა
- ❑ გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება ევროპული მოდელის და გამოცდილების საფუძველზე
- ❑ პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების იდენტიფიკაცია და საქმიანობის წარმართვა მათი რეგისტრაციისათვის.

მიმდინარე საქმიანობა

ENPARD-ის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სოფლის მეურნეობის რამდენიმე პროდუქტის გეოგრაფიული აღნიშვნის ფორმირების, მათი სპეციფიკაციების დადგენის და გაერთიანებების შექმნის მიმართულებით.

შერჩეული ობიექტები:

- ახალციხის კარტოფილი
- ქუთაისის (წყალტუბოს) მწვანილი
- მაჭახელას (აჭარა) თაფლი.

გმადლობთ ყურადღებისთვის

gabunia.david@yahoo.com



Jean Monnet Program

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში:
მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის
რეგიონებისთვის



*ევროპული კვლევები საქართველოს
ინოვაციური განვითარებისთვის*

საქართველოში ციფრულ მიწისზედა
ტელემაუწყებლობაზე გადასვლა და
ევროინტეგრაცია

სერგო ესაკია
ეგსიგ მკვლევარი

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის უპირატესობები

1. ტექნიკური

- ერთი გადამცემით შესაძლებელია 15 სატელევიზიო პროგრამის (SD) გადაცემა;
- შესაძლებელია მაღალი გარჩევადობის (HD) 4-6 არხის გადაცემა;
- გაცილებით მაღალია გამოსახულების და ხმის ხარისხი;
- ციფრული არხები მდგრადია ხელშემშლელ სიგნალების მიმართ;
- მრავალარხიანი ხმის თანხლების შესაძლებლობა;
- გადამცემი სადგურების დაბალი სიმძლავრე და გამოსხივება.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის უპირატესობები

1. ტექნიკური (გაგრძელება)

- „პროგრამული მეგზურის“ ინტერფეისის შესაძლებლობა;
- ფართოკრანიანი ფორმატის (16x9) გამოსახულების შესაძლებლობა;
- სიხშირული სპექტრის უფრო ეფექტური გამოყენება;
- მობილური და პორტატული მიმღებებით მიღების შესაძლებლობა;
- დამატებითი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა: ტელეპროგრამა, ამინდი, განცხადებები, რეკლამები და სხვა.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის უპირატესობები

2. პოლიტიკური

- სამაუწყებლო ბაზრის, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის განვითარების ხელშეწყობა;
- უქმდება ტელემაუწყებელთა ლიცენზირების რეჟიმი;
- საეთერო სამაუწყებლო ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანა;
- შეზღუდული ბუნებრივი რესურსის-რადიოსიხშირეების მაღალეფექტურად გამოყენების ხელშეწყობა;
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება;
- მრავალფეროვან და **მრავალხარისხიან** საეთერო სამაუწყებლო პროგრამებზე მოსახლეობის წვდომის შესაძლებლობა;
- საქართველოში **ინფორმაციული** საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

სიხშირეთა განაწილების ცხრილი

სიხშირე	სიხშირული დიაპაზონი	დანიშნულება
VLF Very Low Frequency ძალიან დაბალი სიხშირე	3 კჰც-30 კჰც	ზუსტი დროის სიგნალი მეტეოროლოგიური რადარები
LF Low Frequency დაბალი სიხშირე	30 კჰც-300 კჰც	საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის გარაჟის დისტანციური; სათამაშოები; განგაშის სიგნალები
MF Medium Frequency საშუალო სიხშირე	300კჰც-3 მჰც	საშუალო სიხშირის რადიოსადგურები საჰაერო მიმოსვლა; GPS
HF High Frequency მაღალი სიხშირე	3 მჰც-30 მჰც	მოკლეტალღოვანი რადიოსადგურები
VHF Very High Frequency ძალიან მაღალი სიხშირე	30 მჰც-300მჰც	ტელევიზია; FM რადიო
UHF Ultra High Frequency ულტრა მაღალი სიხშირე	300 მჰც-3 გჰც	ტელევიზია; მობილური კავშირი; ინტერნეტი; WiFi; სამხედრო კავშირი
SHF Super High Frequency ზემაღალი სიხშირე	3 გჰც-30 გჰც	რადიოსარელეო ხაზები; თანამგზავრული კავშირი

სიხშირული დიაპაზონები და მათი სამომავლო გამოყენების საკითხი

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერსპექტივით, სამაუწყებლო სიხშირეთა ნაწილი, კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან, ხოლო 700 მჰც დიაპაზონი 2015 წლის შემდეგ გამოყენებული იქნება უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დასანერგად.

UHF, კერძოდ-694-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში არსებული რესურსი გამოთავისუფლდება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ და ხანგრძლივი პერიოდით ხელმისაწვდომი გახდება ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის.

694-790 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსი გამოყენებული იქნება გარადავალ ეტაპზე ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფუნქციონირებისათვის


ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 17 ივნისის შემდეგ, VHFIII, კერძოდ 174-239 მჰც სიხშირულ დიაპაზონში არსებული რესურსი გამოყენებული იქნება ადგილობრივი DVB_T ან T2 სტანდარტის მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის.

ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების სტანდარტები და ტექნოლოგიები

ეროვნული დაფარვის შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დანერგვისას გამოყენებული უნდა იყოს დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და აპრობირებული DVB-T2 (EN 302 755) სტანდარტი მონაცემთა შემჭიდროების MPEG 4 (ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი მულტიპლექს პლატფორმისათვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის ფარგლებში, გავრცელდეს საშუალოდ 15-მდე სტანდარტული გარჩევადობის (SD) ან 4-დან 6-მდე მაღალი გარჩევადობის (HD) სატელევიზიო პროგრამა.

ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, ასევე, DVB-T სტანდარტი და მონაცემთა შემჭიდროების როგორც MPEG 4 ასევე MPEG 2 ტექნოლოგია, იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სტანდარტით აგებული ადგილობრივი მიწისზედა ციფრული სამაუწყებლო ქსელი, ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში შესული ყველა მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამების სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატში გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

სამაუწყებლო სისტემების განაწილება მსოფლიოში




- **DVB-T** Digital Video Broadcasting-Terrestrial Europe, Africa, Australia, NZ
- **ATSC**-Advanced Television System Committee Usa, Canada, Mexico.
- **ISDB-T** Terrestrial Integrated Services Digital Broadcasting Japan Phill
- **DTMB** Digital Terrestrial Multimedia Broadcasting China

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	დაწყება	დამთავრება	ქვეყნები	დაწყება	დამთავრება
დანია	2006	2011	რუსეთი	2010	2015
შვეცია	1999	2007	ავსტრია	2006	2011
ესპანეთი	2005	2010	საფრანგეთი	2005	2011
ფინეთი	2001	2007	ირლანდია	2011	2012
შვეიცარია	2001	2008	ლიტვა	2008	2012
გერმანია	2002	2008	უნგრეთი	2008	2014
ბელგია	2002	დასრ.	უკრაინა	2008	2014
ნიდერლანდი	2003	2006	ჩეხეთი	2005	2011
ესტონეთი	2005	2010	პორტუგალია	2009	2012
ხორვატია	2009	2011	პოლონეთი	2009	2013
ლატვია	2009	დასრ.	სლოვაკია	2009	2012
სლოვენია	2006	დასრ.	ინგლისი	1998	2012
ნორვეგია	2007	2009	კანადა	2003	2011
იტალია	2004	2012	თურქეთი	2006	2015
აშშ	1998	2015	რუსეთი	2010	2015
სომხეთი		2015	აზერბაიჯანი	2011	

ევროპაში ციფრულ მათემატიკაზე გადასვლის ვადები



ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპები

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის
სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება

ინსტიტუციონალური მოწყობის
სტრატეგიის შემუშავება

საბაზრო მოთამაშეთა სტრატეგია

საკანონმდებლო ბაზის შემუშავება

კანონმდებლობა შედის ძალაში

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპები (გაგრძელება)

ტენდერების ორგანიზება

წარმატებული ტენდერი
ლიცენზიების გაცემა

ქსელისა და გადამცემების გამართვა

მოსახლეობის ინფორმირება

პარალელური მუშაობა
ანალოგური + ციფრული

ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა

სამომხმარებლო კონვერტორები

EBRD-ის ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შემუშავდა „სეთ-თოფ-ბოქსების“ დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტი, რომლითაც რეკომენდებულია, იხელმძღვანელონ მიმღები მოწყობილობების იმპორტით დაინტერესებულმა პირებმა. ყველა მიმღები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისთვის, რეკომენდებულია, იყოს სერტიფიცირებული და შეესაბამებოდეს დოკუმენტით განსაზღვრულ ერთიან ნორმებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ „სეთ-თოფ-ბოქსებმა“ უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა სტანდარტის (DVB-T /DVB-T2) ციფრული ქსელების ფარგლებში გავრცელებული ღია საეთერო და კრიპტო-კოდირებული, როგორც სტანდარტული, ასევე მაღალი გარჩევადობის სიგნალების ანალოგურ ფორმატში გარდაქმნა ან/და დეკოდირება.

„ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ და საზოგადოების ინფორმირება

- ❑ სსიპ - „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ფუნქციონირების ფარგლებში მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების საინფორმაციო უზრუნველყოფისა და შესაბამისი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენის მიზნით:
- ❑ ამოქმედდება 24/7 მულტიენოვანი საინფორმაციო ცხელი ხაზი;
- ❑ შეიქმნება სპეციალური საინფორმაციო ვებ-გვერდი (www.digitaltv.ge), სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია;
- ❑ უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება იმ სავაჭრო ობიექტების შესახებ, რომლებიც აწარმოებენ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ-ბოქსების“ რეალიზაციას;
- ❑ განხორციელდება საინფორმაციო სახის სოციალური რეკლამებისა და კლიპების დამზადება და უზრუნველყოფილი იქნება მათი მედიის საშუალებებით გავრცელება;
- ❑ ჩატარდება სპეციალური სატრენინგო სესიები ჟურნალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის;
- ❑ გამყიდველებისა და მომხმარებლებისათვის შედგება საცნობარო ბუკლეტები და მოხდება მათი საცალო სავაჭრო ობიექტებში დისტრიბუცია.

დაგეგმარებული სიხშირული რესურსი და მათი გაცემის სქემა

მულტიპლექს პლატფორმები 1, 2, 3, 4 და 5

ეროვნულ დონეზე დაფარვის შესაძლებლობის მქონე ხუთი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შესაბამისი სიხშირული რესურსი ხელმისაწვდომი გახდება ღია კონკურსის წესით.

მულტიპლექს პლატფორმა 6

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმაში განთავსების უზრუნველყოფის მიზნით, მეექვსე მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი („დროებითი“ და ასევე შემდგომი პერიოდისათვის განკუთვნილი) სიხშირული რესურსი უსასყიდლოდ მიენიჭება შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“.

დაგეგმარებული სიხშირული რესურსი და მათი გაცემის სქემა (გაგრძელება)

ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმები

VHF III სიხშირულ დიაპაზონში არსებული რადიოსიხშირული რესურსი (რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ) უსასყიდლოდ მიენიჭებათ ადგილობრივ საეთერო მაუწყებლებს/მაუწყებელთა გაერთიანებას ადგილობრივი (DVB-T ან T2 სტანდარტის) მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის.

მულტიპლექს პლატფორმა 7

მეშვიდე ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შესაბამისი რესურსი დარეზერვებული იქნება შემდგომი პერიოდისათვის, რომლის სარგებლობის უფლების გაცემაც განხორციელდება მხოლოდ ღია კონკურსის ჩატარების შემდგომ, მათი შედეგების გათვალისწინებით.

ღია კონკურსი

კონკურსის ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდება შემდეგი სახის სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის ხუთი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი (შემდგომში „ლოტი“):

ლოტი A (მულტიპლექს პლატფორმა 1)

- აღნიშნული ლოტის ფარგლებში: კონკურსის დასრულებისთანავე, ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული დაფარვისა და ათი ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი „დროებითი“ სიხშირული რესურსი.

ღია კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება, 2015 წლის 17 ივნისამდე უზრუნველყოს შესაბამისი ქსელის ფორმირება. 2015 წლის 17 ივნისის შემდგომ, ხელმისაწვდომი გახდება სიხშირული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ათი ციფრული ზონისა და თითოეული ზონის ქვეზონების ფარგლებში (ადგილობრივ დონეზე) განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებას.

- ღია კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება, ეტაპობრივად უზრუნველყოს შესაბამისი ქსელის ფორმირება.

ღია კონკურსი (გაგრძელება)

ლოტი B (მულტიპლექს პლატფორმა 2)

- აღნიშნული ლოტის ფარგლებში:

2015 წლის 17 ივნისის შემდგომ ხელმისაწვდომი გახდება სიხშირული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული დაფარვისა და ეროვნულ დონეზე ერთი და იმავე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირების შესაძლებლობას.

- ღია კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება **2015 წლის 17 აგვისტომდე** უზრუნველყოს შესაბამისი ქსელის ფორმირება.

ღია კონკურსი (გაგრძელება)

ლოტი C, D და E (მულტიპლექს პლატფორმები 3, 4 და 5)

- აღნიშნული ლოტების ფარგლებში:

სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (პირები) ვალდებული იქნება, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მოსახლეობის არანაკლებ 50%-ის დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება როგორც მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მიწოდება, ასევე ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელება.

- 2015 წლის 17 ივნისის შემდგომ ხელმისაწვდომი გახდება სიხშირული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული დაფარვისა და ეროვნულ დონეზე ერთი და იმავე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირების შესაძლებლობას.

სამომხმარებლო საკითხები, სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა და საინფორმაციო უზრუნველყოფა

რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულია:

იმ ოჯახების დახმარების საკითხი („სეთ-თოფ-ბოქსებით“ უზრუნველყოფა/დამონტაჟება), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაც ნაკლებია 70 000-ზე (ამჟამად მათი რიცხვი 225 000-დან - 240 000-მდე მერყეობს).

გმადლობთ ყურადღებისთვის

sergoesa@gmail.com



Jean Monnet Program

EU Regional Innovation Policy as a Model for the EaP Country Regions

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში:
მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნის
რეგიონებისთვის



*ევროპული კვლევები საქართველოს
ინოვაციური განვითარებისთვის*

ევროკავშირის

ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა:

სლოვაკეთი და თურქეთი

ოლეგ შატბერაშვილი

ესიგ მკვლევარი

პრეზენტაციის მიზნები

❑ ჩვენთვის საინტერესოა:

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება ევროკავშირში.

❑ განსაკუთრებით საინტერესოა:

ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნების და წევრობის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება.

სლოვაკეთი

- ტერიტორია - 49 ათასი კმ²
- მოსახლეობა - 5,300 ათასი
- მშპ (PPP) - 134 მლრ. აშშ დოლარი (91)
- მშპ სულზე (PPP) - 25,300 აშშ დოლარი
- 1993 - ევროკავშირის ასოცირებული წევრი (მშპ სულზე 2,500)
- 1995 - ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა (მშპ სულზე 3,600)
- 2004 - ევროკავშირის წევრი
- გაიარა სოციალისტურ-ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველა სირთულე

სლოვაკეთი ევროპის ცენტრში



სლოვაკეთის საინოვაციო სისტემა (1)

ევროკავშირში შესვლის მომენტისთვის (2004):

- კარგად განვითარებული მძიმე მანქანათმშენებლობა დაეცა
- მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო ხარჯები კვლევასა და განათლებაზე
- კმ ხარჯები - მშპ-ს 0.48% (ევროკავშირში - 2%)
- კმ ხარჯები მრეწველობაში - მშპ-ს 0.2% (ევროკავშირში - 1.25%)

სლოვაკეთის საინოვაციო სისტემა (2)

1992 წლიდან

- რეგიონული საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრები
- ბიზნეს ინოვაციის ცენტრები
- ბიზნეს-ინკუბატორები
- პირველი კონტაქტის ცენტრები

1993 - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტო

2003 - რეგიონული განვითარების სააგენტოების ქსელი (25 სააგენტო)

2007 - სლოვაკეთის ინოვაციისა და ენერჯის სააგენტო

2009 - რეგიონული საინოვაციო ცენტრები

ამჟამად საინოვაციო ცენტრები სლოვაკეთის მთელ ტერიტორიას ფარავს

საჯარო სახსრებზე მათი დამოკიდებულება - 60%

რეგიონების არაერთგვაროვნება

სლოვაკეთის რეგიონები



ბანსკა ბისტრიცა, პრეშოვი და კოშიცე
- შედარებით ჩამორჩენილი

ბრატისლავა, ტრნავა, ტრენჩინი, ჟილინა -
განვითარებული
(ტრანსნაციონალური კორპორაციები)

თვითმმართველობების ინსტრუმენტები

- ✓ კორპორაციული გადასახადების 40% ადგილზე დატოვება (ბიზნესის განვითარებაში დაინტერესება)
- ✓ თვითმმართველობები - უძრავი ქონების მსხვილი მესაკუთრეები
- ✓ შეუძლიათ განკარგონ ქონება, შეიძინონ და გაყიდონ ქონება ბიზნესის განვითარების ინტერესების მიხედვით
- ✓ ბიზნესზე ზედამხედველობა
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება და განკარგვა
- ✓ საზოგადოებრივი/კომუნალური მომსახურება (წყალმომარაგება, კანალიზაცია, გარე განათება და ა.შ.)
- ✓ სახელმწიფოებო ურთიერთობაში შესვლის უფლება (სხვა ადმინისტრაციულ ინსტიტუტებთან, სხვა თვითმმართველობებთან და კერძო ორგანიზაციებთან).

ამ ბერკეტების გამოყენებითა და
ბიზნესის ხელშემწყობი ქსელების
დახმარებით თვითმმართველობებმა
დაიწყეს ინდუსტრიული პარკების
დაგეგმვა და ფორმირება.

ინდუსტრიული პარკები (1)

- ❑ ამჟამად 20 ინდუსტრიული პარკი არსებობს
- ❑ მათი პროფილი, დანიშნულება, სიდიდე და ეფექტიანობა სხვადასხვაა
- ❑ ყველა პარკი რთული ობიექტია
- ❑ პარკის შექმნა თვითმმართველობისგან ითხოვს:
 - ✓ მაღალ კომპეტენციას
 - ✓ ინვესტორებსა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან რთული მოლაპარაკებების უნარს
- ❑ დახმარების მისაღებად *სლოვაკეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოში* წინადადების შეტანის უფლება მხოლოდ თვითმმართველობას აქვს
- ❑ თვითმმართველობაა დახმარების ერთადერთი უფლებამოსილი მიმღები.

ინდუსტრიული პარკი დეტვა (ბანსკა ბისტრიცა)



ინდუსტრიული პარკები (2)

- მზა ინფრასტრუქტურა
- არენდის ან მშენებლობის ხელსაყრელი პირობები
- პარკები ინვესტორთა მოზიდვის და სამუშაო ადგილების წარმოქმნის მექანიზმია
- თითოეულში ათასობით მუშახელია დასაქმებული
- ყველაზე დიდი, ზაპორიეს პარკი - 1,300 ჰა
- მცირე პარკები - რამდენიმე ჰა.
- ზაპორიეს პარკი - „ფოლქსვაგენ სლოვაკიას“ მიმწოდებლებისთვის „ფოლქსვაგენმა“ დააფინანსა
- სხვები - ადგილობრივმა ინვესტორებმა

ინდუსტრიული ზონები და საწარმოო კლასტერები (1)


- სლოვაკეთში დაახლოებით 25 კლასტერია
- ზოგიერთი კლასტერი მსხვილი ინვესტორის შემოსვლის შედეგად წარმოიქმნა

საავტომობილო კლასტერები – ფოლქსვაგენი, პეჟო, კია

კლასტერი რთული ობიექტია

თვითმმართველობა ხელს უწყობს დაგეგმვას, მიწის გამოყოფას, ცენტრალური ხელისუფლებისგან დახმარების მიღებას

ინდუსტრიული ზონები და საწარმოო კლასტერები (2)



საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010 – 2017 წლებისთვის (1)

ინოვაციის, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა

რს სისტემა, რეგიონული ეკონომიკური სტრატეგია ორიენტირებული
ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციასა და ახალ ტექნოლოგიებზე

სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება და ინოვაციის
ხელშეწყობა

- რს სტრატეგიის, როგორც განვითარების ახალი მოდელის დანერგვა
- პროდუქტების შექმნაზე მიმართული განათლების, ინსტიტუციური და
საკანონმდებლო ღონისძიებები
- რეგიონული კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა და
საწარმოების კლასტერები, მათი მეშვეობით საინოვაციო პოლიტიკის
რეგიონული პრიორიტეტების დადგენა
- სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება, ტექნოლოგიების გადაცემის
მექანიზმები

ინვესტორის მიერ მართული კლასტერები

- ფოლქსვაგენი - 9,400 თანამშრომელი, პეჟო-სიტროენი - 3,500, კია მოტორსი - 3,700, სამსუნგი - 900
- მათთან კონტრაქტით - ათობით ელექტროტექნიკური, ლითონგადამამუშავებელი, პლასტმასის და სხვა მსს
- გეოგრაფიული სიახლოვე - ადვილდება თანამშრომლობა და მცირდება სატრანსპორტო ხარჯები
- ინვესტორებმა თვითონ იზრუნეს სატელიტების მოზიდვაზე
- თავისებურება - ამ წარმოებებისთვის კვლევითი სამუშაოები ტარდება სლოვაკეთის გარეთ
- ადგილობრივი უნივერსიტეტები მუშაობის დაწყების შემდეგ, თანდათან, ერთვებიან კლასტერის საქმიანობაში
- თუმცა, უნივერსიტეტების არსებობა და ხარისხი მიმზიდველობის ფაქტორია
- ეს კლასტერები მწვანე ინვესტირების მაგალითებია.

ბანსკა ბისტრიცა - ადგილობრივი ინიციატივა

ტერიტორია **9 450** კმ², მოსახლეობა - **650 000**

- ❑ კლასტერი მთლიანად იგეგმება თვითმმართველობის მიერ საწარმოთა განვითარების ცენტრების თანამონაწილეობით
- ❑ მრავალი ცენტრი ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივით შეიქმნა. ზოგიერთის მფლობელებიც თვითმმართველობებია
- ❑ მაგალითი - ბანსკა ბისტრიცას *1-ლი სლოვაკური საინჟინრო კლასტერი (2008)*
- ❑ შედის 22 ორგანიზაცია (თვითმმართველობა, 10 მანქანათმშენებელი კომპანია, კვლევითი ინსტიტუტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, საკონსულტაციო კომპანია, 8 საინჟინრო კოლეჯი)
- ❑ სტრატეგიული მიმართულებები:
 - ✓ მანქანები სოფლის მეურნეობისა და სატყეო სექტორისთვის
 - ✓ მანქანები მშენებლობისა და ტრანსპორტის სექტორებისთვის
 - ✓ ენერგეტიკული დანადგარები, განკუთვნილი ბიომასის გამოყენებისა და სხვა განახლებადი წყაროებისთვის.

ბანსკა ბისტრიცა - საინჟინრო კლასტერის მიზნები

- საინჟინრო საქმის პოპულარიზაცია
- კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის ხელშეწყობა
- ადამიანური რესურსის განვითარება
- მომარაგებისა და გასაღების ჯაჭვების განვითარება
- ახალ ტექნოლოგიებსა და მანქანებში ინვესტიციების ხელშეწყობა
- უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერება
- დეტვას ინდუსტრიული პარკის დასრულება
- დეტვას პარკში საინჟინრო-ინოვაციური ცენტრის შექმნა
- საერთო სარგებლობის საცდელი ლაბორატორიების შექმნა
- თვითმმართველობასთან არსებული კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნება

2013 წელს კლასტერების ევროპულ კონკურსში
მიიღო ბრინჯაოს მედალი

ბანსკა ბისტრიცა - თვითმმართველობის როლი

- ბანსკა ბისტრიცის თვითმმართველობამ დაამტკიცა, რომ მას მაღალი კომპეტენცია გააჩნია.
- იგი წლების განმავლობაში კლასტერის მართვის ხარჯების დიდ ნაწილს (40%) ფარავს და მის შემდგომ განვითარებაზე მუშაობს.
- მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად (>60%) ბრატისლავას რეგიონში მიდიოდა, ბანსკა ბისტრიცას რეგიონში მშპ სულზე, როგორც საშუალო სლოვაკეთის % ერთსა და იმავე დონეზე რჩება - 73-74%.

თურქეთი


- მოსახლეობა - 76,7 მლნ.
- ტერიტორია - 783,600 კმ²
- მშპ (PPP) - 1,4 ტრილიონი დოლარი
- მშპ სულზე (PPP) - 18,400 აშშ დოლარი
- თურქეთმა გაიარა ევროინტეგრაციის რთული პროცესის დიდი ნაწილი, რომელიც საქართველოს გასავლელი აქვს. ეს პროცესი ახლაც გრძელდება.
- 1963 - ევროკავშირის ასოცირებული წევრი
- 1995 - ევროპული საბაჟო კავშირის წევრი
- 2005 - ევროკავშირის წევრობის კანდიდატი

**თურქეთმა, გადმოიღო რა ევროპული გამოცდილება,
მძლავრი ნაბიჯები გადადგა საინოვაციო პოლიტიკის
რეალიზაციის მიმართულებით**

თურქეთის რეგიონული მართვა

- სლოვაკეთისგან განსხვავებით, თურქეთში რეგიონული თვითმმართველობა ზედა დონეებზე არ არსებობს. 12 მსხვილ რეგიონს (1-ლი დონის - EU NUTS-1) და 26 ქვერეგიონს (მე-2 დონის - EU NUTS-2) მართავენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული ადმინისტრაციები
- არჩეული მმართველობა მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე ფორმირდება
- ამდენად, ინციატივები „ქვემოდან ზემოთ“, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, არ არსებობს
- ადგილობრივი განვითარების პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტა ცენტრალური ხელისუფლების ამოცანაა
- იგი მას 26 **რეგიონული განვითარების სააგენტოს** მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც განვითარების სამინისტროს ექვემდებარებიან.

თურქეთის 12 რეგიონი (NUTS -1 დონე)



მს ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის სააგენტო (KOSGEB)

1990 წელს დაფუძნდა.

- ამოცანა - მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარება და გამრავლება
- რამდენიმე დირექცია - მათ შორის *ტექნოლოგიებისა და ინოვაციის*
- რეგიონული განყოფილებები - 22 სახის დახმარება საწარმოებს:
 - საწარმოთა განვითარების 25 ცენტრი

ორგანიზებულ საწარმოო ზონებში

- 18 *ტექნოლოგიის განვითარების ცენტრი* უნივერსიტეტებში
- 10 *საცდელი ლაბორატორია* - *ორგანიზებულ საწარმოო ზონებში* - პროდუქციისა და მოწყობილობების გამოცდა და ანალიზი
- 41 *სინერჯის ცენტრი* - არასამთავრობოებსა და სავაჭრო პალატებთან კოოპერაციით.

ტექნოლოგიების განვითარების ზონები (ტექნოპარკები)

- 2001 - კანონი *ტექნოლოგიების განვითარების ზონების (ტექნოპარკების)* შესახებ
- ამჟამად 34 ტექნოპარკია დაფუძნებული, **16 მუშაობს**, აქედან ანკარაში - 6 , სტამბოლში - 5, კოჩაელიში - 4, იზმირში - 3. დანარჩენ პროვინციებს თითო ზონა გააჩნიათ
- ტექნოპარკებში მოქმედ კომპანიებს დიდი შეღავათები აქვთ:
 - 2023-2024 წლამდე - კორპორაციული გადასახადების და პირად შემოსავალზე გადასახადების მიმართ
 - ხელისუფლება წყვეტს, მიზანშეწონილია თუ არა კონკრეტული კომპანიის ტექნოპარკში დაფუძნება.

ტექნოპარკები



უნივერსიტეტებთან, კვლევით ორგანიზაციებთან,
ან დამოუკიდებლად.
რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე
დასაქმებული

ანტალიის ტექნოპარკი



ორგანიზებულ საწარმოო ზონები (1)

- ორგანიზაციული ინოვაცია - როგორც ქვეყნის, ასევე პროვინციებისთვის, 2000 წლიდან
- ამჟამად 276 ზონაა დაფუძნებული, 181 მუშაობს, 95 მშენებლობის პროცესშია
- *EM ზონებში* ტექნოპარკებთან შედარებით შეღავათები ნაკლებია, თუმცა:
 - მიწის შეძენა და გაყიდვა არ იბეგრება
 - წარმოების გაშვებიდან 5 წლით გათავისუფლება ქონების გადასახადისგან
 - დაბალი კომუნალური ხარჯები.
- საწარმოთა მაღალი კონცენტრაციის გამო გაადვილებულია:
 - თანამშრომლობა, ცოდნის გადაცემა, სწავლება, დამატებითი ექსპერტიზის მიღება
 - იმ ოპერაციების ჩატარება, რომლის საშუალებას საკუთარი ბაზა არ იძლევა
 - მარკეტინგული ოპერაციების ჩატარება (მაგალითად, გამოფენებისა და პრეზენტაციების)
- სხვა სიტყვებით, მცირდება მოლაპარაკებებისა და ოპერაციების/ტრანზაქციების ხარჯები.

ოსტამი



500 ჰა, 5,000 მსს (250 მომუშავემდე), 50,000 დასაქმებული.
მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება, ლითონგადამუშავება,
ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა, სამშენებლო მანქანები,
ავტომშენებლობა, პლასტმასის და რეზინის ნაკეთობები,
სამედიცინო აპარატურა.

თავისუფალი ზონები

- თავისუფალი ზონები - ქვეყნის საბაჟო საზღვრის გარეთ, გეოგრაფიულად ადმინისტრაციული საზღვრის შიგნით, 1985 წლიდან 20 ზონა შეიქმნა. აქედან 19 მუშაობს
- იქ, სადაც კარგი სატრანსპორტო კომუნიკაციებია (პორტები)
- დაფუძნებული კომპანიები მნიშვნელოვანწილად ექსპორტზე მუშაობენ და ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა ხდება
- ზონაში კომპანიები მთლიანად (100%) თავისუფლდებიან:
 - საბაჟო გადასახადისაგან
 - კორპორაციული მოგების გადასახადისგან (საწარმოს შემთხვევაში)
 - საშემოსავლო გადასახადისგან (თუკი ზონაში წარმოებული პროდუქციის 85% ექსპორტზე მიდის)
 - ზონაში წარმოებული პროდუქცია შეიძლება დარჩეს ზონაში განუსაზღვრელი ვადით
 - მოგების გატანა შეუზღუდავად შეიძლება სხვა ქვეყნებში ან თურქეთში
 - დაშვებულია 100% უცხოური მფლობელობა.

თავისუფალი ზონები თურქეთში



- ❑ თავისუფალი ზონებიც ორგანიზაციული ინოვაციაა
- ❑ ზონები - განვითარების კერები, განსაკუთრებით - საწარმოო ზონები (არასასაწყობო)
- ❑ ზონებში თურქი პერსონალი ახალ ცოდნას ითვისებს. შემდეგ თანდათან, ხდება ამ ცოდნის ქვეყანაში გავრცელება.

რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა

- 2007 წელს - *ეროვნული საინოვაციო ინიციატივა*. მანამდე ინოვაციური განვითარება რეგიონული განვითარების ნაწილს წარმოადგენდა. მისი ქვეამოცანებია:
 - ინოვაციის პროცესის მართვის რეგიონალიზაცია, რეგიონული განვითარების სააგენტოებზე დაყრდნობით
 - რეგიონული ინოვაციის სტეიკჰოლდერების დადგენა და გაერთიანება
 - ინოვაციის მხარდამჭერი ზომების დეცენტრალიზაცია
 - ორი პილოტური რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარება და გამოცდილების სხვა რეგიონებში გადაცემა.
- პირველი - „იზმირის რეგიონული საინოვაციო სტრატეგია“
- იზმირის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში 7,300 მკვლევარი მუშაობს
- იზმირშია 23,750 საწარმო (99,8% მიკრო, მცირე და საშუალო, 0,2% - დიდი). უმთავრესი მიმართულებებია: ავტომშენებლობა, ქიმია, ფარმაცია, კვების პროდუქტები, მანქანები და იარაღები, ქსოვილები.

რეგიონული საინოვაციო სისტემის მონაწილეები იზმირში

იზმირის რეგიონული საინოვაციო სტრატეგია შეიმუშავეს ადგილობრივმა სტეიკჰოლდერებმა:

- 9 უნივერსიტეტი (4 სახელმწიფო და 5 კერძო)
- 47 საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრი და დაქვემდებარებული კვლევითი ინსტიტუტი
- სამინისტროებთან არსებული 8 კვლევითი ინსტიტუტი
- 34 საშუალო ტექნიკური სასწავლებელი
- 1 ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, 1 ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი (Ege University) და 1 ტექნოპარკი
- იზმირის სავაჭრო პალატა და იზმირის რეგიონული განვითარების სააგენტო (განვითარების სამინისტრო)
- სხვა სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლობები იზმირის რეგიონში (KOSGEB, TÜBİTAK, მეცნიერების, მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტრო და სხვა).

შედარება

ზოგადი დაკვირვებები

- საინოვაციო სისტემების მონაწილეთა თანამშრომლობას მნიშვნელოვანი წარმატებები მოაქვს
- რეგიონული სისტემის მიზანი რეგიონის კონკურენტუნარიანობის გაზრდაა
- საინოვაციო სისტემების სრულყოფაში მრავალი რეგიონია ჩართული.

განსხვავებები

- რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა დამოკიდებულია რეგიონების მოწყობის ტრადიციაზე
- თურქეთი უფრო აქტიურად იყენებს *თავისუფალ ზონებს*, სლოვაკეთში უფრო მეტია თვითმმართველობების ინიციატივები.

მსგავსება

- ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობები პოლიტიკის განხორციელებაზე ერთობლივად მუშაობენ
- ორივე ქვეყანაში ძირითადად მოქმედებს ინოვაციის ინსტრუმენტები, რომელიც ევროკავშირის გამოცდილებას შეესაბამება
- ჩართულია იგივე მოთამაშეები, რაც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

დასკვნა

- ❑ როგორც არაკანდიდატ ქვეყანას ევროპული და არაევროპული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება შეუძლია
- ❑ საქართველოს რეგიონები განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ საინოვაციო სტრატეგიებში შეიძლება ინსტრუმენტების სხვადასხვა ნაზავი იყოს გამოყენებული.

გმადლობთ ყურადღებისთვის

Shatberashvilioleg@gmail.com